



ციხეხანი

№ 74 / 2 - 8 მაისი / 2011

სელმისაწვდომია თუ არასაჯარო ინფორმაცია? **გვ. 06**

„ვიკილიქსი“: გზა გუნათანამომღვა **გვ. 12**

სახელმძღვანელო პრინციპები მანიფესტანტთათვის **გვ. 26**

რეპორტაჟი კახეთიდან: წყალნაღვული მიწები **გვ. 28**

როგორ ემზადება აჭარა ახალი ტურისტული სეზონისთვის? **გვ. 32**

მსოფლიოს ახალი საქსუალური რეპოლუცია **გვ. 38**

საქორწინო კონტრაქტი **გვ. 42**

ურბანისტიკა: ხელოვნება ქარხანაში **გვ. 45**

კულტურა: თბილისური ელისოგა **გვ. 52**



ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



საძმე, რამდენჯერაც

შეძრე საძარსიველს

გვ. 20

მთავარი თემა

"ჯანსახანნი" სტუდენტების ჯანსახანი

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



IB VB TBII TBI UTB





ფოტო: იმეო ბარბაქაძე/ეპიკა

ყოფილი აბრეშუმის ქარხნის ერთ-ერთი დარბაზი, თბილისი, 27 აპრილი 2011

ნომერი:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
ხელმისაწვდომია თუ არა საჯარო ინფორმაცია საქართველოში?
ჩიორა თავთაქიშვილი VS ვახუშტი მენაბდე
მსოფლიო
- 08 რეფორმები და რეპრესიები
- 09 **იემენი**
ხელისუფლების გადაცემის გეგმა
- 10 **აფრიკა და ევროპა**
მიგრაციის ახალი ტალღა ევროპაში

- 12 **ვიკილიქსი**
გზა გუანტანამომდე
ფოკუსი
- 14 საქმე, რომელმაც შეძრა საქართველო
მთავარი თემა
- 20 „ჰალსტუხიანი“ სტუდენტების კავშირი
პოლიტიკა
- 26 სახელმძღვანელო პრინციპები მანიფესტანტთათვის
რეპორტაჟი
- 28 წყალნალეული მიწები
ეკონომიკა
- 32 მთიდან ზღვაზე
საზოგადოება
- 38 მხოლოდ შენ! და შენ! და შენ!

- 42 **ოჯახი**
კონტრაქტი, ძვირფასო, კონტრაქტი!
ურბანისტიკა
- 45 ხელოვნება ქარხანაში
თვალსაზრისი
- 48 2012 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში
გიორგი ცხადაია
რევიუ
- 50 შავი, შიშველი და ამაზრზენი
კულტურა
- 52 თბილისური ელისობა
- 54 **ტექნოლოგიები**
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 56 ენთუზიასტები

გარეკანზე:

საქმე, რომელმაც საქართველო შეძრა



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

არის თუ არა სტუდენტების პროტესტი საქართველოს კავშირებისთვის?

მხოლოდ „თარგმნეზე“ არ ყოფილა აქციაზე საუბარი და უნდობლობაც გამოუცხადეთ თვითმმართველობას ასეა თუ ისე. ვეთანხმები შოთას, მაგრამ რიგგარეშე არჩევნების იდეა არ მომწონს: პრობლემა პიროვნებებში არ არის და მათი შეცვლა მას არ გადანყვევებს.

ანტაგონისტი

ბოლომდე ნუ გამოვეკიდებით იდეალებს და რეალობაში დავბრუნდეთ. ვთქვით, მოვითხოვეთ რიგგარეშე არჩევნები, როგორ ფიქრობთ, დანიშნავს ვინმე ამ არჩევნებს? ან რომც დანიშნონ, რა მექანიზმებით გავაკონტროლებთ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას? მხოლოდ ჩვენი სურვილით და შეძახილით? – მეეჭვება.

სტუმარი

„მცირედი მსხვერპლი“ თუ „გამომწვევი“ სტრატეგია? სასამართლო



ნაც არხებმა ტრადიციულად „ივაჟკაცეს“. ხანდახან ნამუსიც კარგი საქონელიაო....

თიკო

ძალიან კარგი სტატიაა მედიასთან დაკავშირებულ ძალიან მნიშვნელოვან თემაზე.

თორნიკე

საზიზღრობა იყო „კურიერის“ სიუჟეტი. მეც კი, მიუხედავად იმისა, რომ „ნეტ-

გაზეთსა“ და „ლიბერალი“ უკვე ნაკითხული მქონდა ინფო, კინაღამ დავიჯერე, რომ გირგვლიანებმა საქმე წააგეს. „კურიერს“ თუ ვენდობთ, გირგვლიანებმა ნამდვილად წააგეს საქმე. რა მარაზშია.

გიორგი კვიციანი

ეთანხმებით თუ არა ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებას?

რამდენადაც ვიცი, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს სცემენ ეთანხმებიან თუ არა. ჩვენი სახელმწიფო ისევეა სამართლებრივი, როგორც მე აშშ-ს პრეზიდენტი.

Mamuka

მიმაჩნია, რომ 50 კიდევ ერთი 0 მიმატებოდა და ესეც არანაირად საკმარისი არ იქნებოდა!!! ჩემი აზრით, საქმე უნდა დაბრუნებულიყო ხელახალ ძიებაში.

ბათუნა

50 ათასი ევრო, რომელიც ისევ ჩვენი გადახდილი გადასახადებიდან უნდა გადაიხადოს სახელმწიფომ და არა შეწყალებულია დამნაშავეებმა, ძალიან მაშინარებს.

სალომე

50 ათასი ევრო თუ შეუმსუბუქებს ამ ოჯახს და მის ახლობლებს იმ ყველა ტყვიას, რაც მათ „დემოკრატიულმა“ სახელმწიფომ მიაყენა, სადაც უპირველესი „კანონის უზენაესობა“, მაშინ დაეთანხმები!!!

სტუმარი

რა სურათი ქალებს?

თვითრეალიზაცია 100 %-ით არ არის გათხოვება არ გათხოვებაზე დამოკიდებული,

თუ, რა თქმა უნდა, როგორც ნათესავს არ მიყვები ცოლად ან შენს უფროსს.

სტუმარი

გათხოვება თვითრეალიზაციისთვის, ალბათ, პირობითი რაღაცაა, თუმცა ჩემი აზრით, პირადი ბედნიერება ისევე, როგორც ქალის, ასევე კაცის თვითრეალიზებაშიც აუცილებელია.

სტუმარი

ვინ არის ბავშვის მამა?



საინტერესო ინიციატივაა, თუმცა, ჩემი აზრით, სამოსამართლო სამართლით გადაიჭრა უკვე ეს პრობლემა. წარმატებები ინიციატივას.

ალუბალიძი

ძალიან აქტუალური და საჭირო თემაა. მე ვეთანხმები, რომ სასამართლომ აუცილებლად უნდა დაავალდებულოს-აიძულოს, ე.წ. უღირსი მამები – გაიკეთონ დნმ-ის ანალიზი.

Magdu

დავუშვათ და დენემის ანალიზი გახდეს სავალდებულო. ვინ უნდა გადაიხადოს ეგ 1500+ ლარი?

ყვავცკი

როგორც სტატიაში წერია, ქალები მზად არიან ხოლმე ამ თანხის გადასახდელად, თუმცა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სახელმწიფომაც დააფინანსოს.

nino natroshvil

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდუაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაბა / კეკელიძე სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი / შპს ნიკელაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზოვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნათია გულიაშვილი კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადია, მანანა ვარდიანი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპს ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეოთხედი, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

"მსიხილი შუადროები" თუ "ბაობნაბანი" სხიხბუხის სასაბუთო

ნინო ბექიშვილის ბლოგი

არაფერს ვიტყვი ახალს, თუ დავწერ, რომ უკვე კარგა ხანია, ნაციონალური ტელემაუწყებლები ინფორმაციას ხელისუფლების სასარგებლოდ ფილტრავენ. ის თემები, რაც საზოგადოებისთვის შეიძლება ყველაზე მეტად მტკივნეული და საინტერესო იყოს, ხშირად მათი ყურადღების მიღმა რჩება ან ცალმხრივად და ფრაგმენტულად შუქდება. „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებების პირველი ბლოკები, თუკი პრეზიდენტი რაიმე ახალ ობიექტს არ ხსნის ან ორიგინალურ ადგილას არ ატარებს მთავრობის სხდომას, უკვე კარგა ხანია, კრიმინალურ და საეკლესიო ქრონიკებად იქცა – საქართველოს მასშტაბით მომხდარი მძიმე და ხანდახან, არცთუ მძიმე დანაშაულის დეტალები ქართველმა მაყურებელმა კარგად იცის, ეცნობა დანაშაულში ეჭვმიტანილის და დაზარალებულის მეზობლების და ახლობლების ვერსიებს; ისმენს საკვირაო ქადაგებებს და ამბებს ახალი ეკლესიების მშენებლობების შესახებ და ამასობაში კულტურის და სპორტის დროც მოდის ხოლმე.

ასე მოხდა გუშინაც, როცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ განაჩენი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს სახელმწიფო სიცოცხლის უფლების ნაწილობრივ დარღვევაში და არასრულფასოვან გამოძიებაში დადანაშაულა და მოსარჩელის სასარგებლოდ 50 000 ევროს გადახდა დააკისრა.

ამ მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ „ქრონიკამ“ და „კურიერმა“ მხოლოდ გადაცემის მეორე ბლოკში ამცნეს საზოგადოებას და სიუჟეტების დროის უმეტესი ნაწილი იმაზე საუბარს დაუთმეს, რომ სტრასბურგის სასამართლომ მოსარჩელე მხარის გარკვეული მოთხოვნები არ გაითვალისწინა და ჯარიმაც მოთხოვნილი 300 000 -ის ნაცვლად 50 000-მდე შეამცირა. უბრალო მაყურებელი ნამდვილად იფიქრებდა, რომ დიდიც არა-

ფერი მომხდარა – სანდრო გირგვლიანის მამის მიერ გასაჩივრებული ევროკონვენციის ხუთი მუხლიდან სასამართლომ მხოლოდ ორი დააკმაყოფილა.

ასევე მოიქცა საზოგადოებრივი მაუწყებელიც, რომელიც, ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ფულით ფინანსდება და კანონი ავალდებულებს, ობიექტური და დაბალანსებული იყოს. რეასათიანი მოამბის გამოშვება დაიწყო მალაიზიაში დაპატიმრებული საქართველოს მოქალაქეების ამბით, შემდეგ ისაუბრეს სეზონურ ინფექციებზე და იმაზე, რომ ქვეყანაში ლეიშმანიოზით დაავადებული ადამიანების რაოდენობა მატულობს, გააგრძელეს ფიროსმანის „შავი ლომის“ სკანდალით, რომელზედაც ბოლო ერთი კვირაა დაუსრულებლად საუბრობენ და მხოლოდ ამის შემდეგ უჩვენეს სიუჟეტი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ზუსტად იმავე შეფუთვით – ჟურნალისტმა, სანამ ირაკლი ალასანიას და ადვოკატ შალვა შავგულიძის მოკლე კომენტარს გაუშვებდნენ, თქვა, რომ ევროპული სასამართლოს დასკვნაში „მცირედ შეცდომებზე“ ყურადღება გამახვილებული და „ხელახალი გამოძიება საჭირო არ არის“. სახელმწიფოს ინტერესებს თინა ბურჯანიანი და აკო მინაშვილი მონდომებით იცავდნენ და საუბრობდნენ იმ მუხლების შესახებ, რომლებიც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. აკო მინაშვილმა განაცხადა, „ძალიან სამწუხაროა, რომ წარუმატებელი პოლიტიკოსები ამ საქმეს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ“ და სიუჟეტიც დამთავრდა. არადა, მაყურებლისთვის ბუნდოვანი დარჩა ის, რაც რეალურად მოხდა: არ წაუკითხავთ არც ერთი ციტატა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებიდან, სადაც საკმაოდ მკაცრი და უხეში ლექსიკა გამოყენებული ქართველი სამართალდამცავების მიმართ, მაგალითად ასეთი: „სასამართლო გაოგნებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლების ხმაშეწყობილი მოქმე-

დებით იმისათვის, რომ ამ უმძიმეს დანაშაულზე სამართლიანი მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო“ ან ასეთი: „თბილისის პროკურატურაში საქმის გამოძიების პერიოდში გამოძიებას სრულიად აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და, რაც ყველაზე მთავარია, პატიოსნება“ – ეს მასალა ქართულად ნათარგმნი გუშინ საღამოს ინტერნეტში უკვე იყო გამოქვეყნებული და მათი ტელემაყურებლისთვის გაცნობა დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს საქმის ხელახალი გამოძიება არ დააკისრა, ამ თემაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია – თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებას სამი თვის განმავლობაში დიდი პალატის წინაშე არც საქართველოს სახელმწიფო და არც მოსარჩელე მხარე არ გასაჩივრებს, ის ძალაში შევა და ევროსასამართლოს აღმასრულებელი ორგანო მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცემს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად გაიწერება, რა კონკრეტული ქმედებები უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ.

უკვე კარგა ხანია, ჩემ ირგვლივ ადამიანები საინფორმაციო გამოშვებებს მხოლოდ იმისთვის უყურებენ, რომ გაიგონ, ამჯერად რას და როგორ გააშუქებენ ქართული ნაციონალური მაუწყებლები. ჩვენ ინფორმაციას, ძირითადად, ინტერნეტიდან და ბექტური მედიიდან ვიღებთ, მაგრამ რა ქნან ჩვენმა თანამოქალაქეებმა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ არც ინტერნეტზე და არც ბექტურ მედიაზე?

არადა, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობს და აქვს თუ არა ინტერნეტის ან ჟურნალ-გაზეთების შესაძენი ფული, ისეთივე უფლება აქვს გაეცნოს ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას, როგორც ჩვენ – დიდი ქალაქების ეკონომიკურად ასე თუ ისე უზრუნველყოფილ მცხოვრებლებს. ■



სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე საპროტესტო მიტინგზე, თბილისი 2006

ფოტო: ზ. ბუაჩიძე

AMNESTY INTERNATIONAL საქართველოს ეჭვმიტანილთა ბაზაზე დასჯის ალსაჩინოებას მოუწოდებს

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International სანდრო გირგვლიანის საქმეს ეხმაურება და საქართველოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისკენ მოუწოდებს. ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, საქმე „ზედმინდვნი და მიუკერძოებლად“ გამოიძიოს.

„საქართველოს მთავრობამ უნდა აღასრულოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება... საქართველომ ვერ შეძლო მკვლელობის ფექტიანი გამოძიება, რომელიც მთავრობის მაღალჩინოსნების მონაწილეობით მოხდა“, – ნათქვამია Amnesty International-ის განცხადებაში.

„ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება ახსენებს საქართველოს ხელისუფლებას მის ვალდებულებას, აღკვეთოს საჯარო მოხელეების დაუსჯელობა. Amnesty International-მა რამდენჯერმე გამოხატა შეშფოთება იმის გამო, რომ საქართველომ ვერ შეძლო სამართალდამცავების სამართალში მიცემა,“ – განაცხადა Amnesty International-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის დირექტორის მოადგილემ ჯონ დალჰუსენმა.

საქართველოს მთავრობამ სწრაფი, ზედმინდვნი და ფექტიანი გამოძიება უნდა ჩაატაროს ადამიანის უფლებათა დარღვევის

ფაქტებზე და პასუხისმგებელი პირები, თანამდებობებისა თუ ძალაუფლების მიუხედავად, სამართალში უნდა მისცეს“, – დასძინა დალჰუსენმა.

Amnesty International-მა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა ყოველგვარი „შეფერხების გარეშე“ განახორციელოს ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება.

Amnesty International-ის სპეციალურ განცხადებაში საუბარია ევროპული სასამართლოს მიერ გამოვლენილ დარღვევებზე, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიერ ოთხი კანონდამრღვევის „არაკეთილგონივრულ“ შეწყალებაზე. განცხადებაში ასევე საუბარია ევროპული სასამართლოს შეშფოთებაზე სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებული მოქმედების გამო, რომელიც დანაშაულის დაფარვისკენ იყო მიმართული. სასამართლოს შეშფოთება გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, სასამართლოს და ქვეყნის პრეზიდენტის მცდელობამ, ხელი შეეშალათ სამართლის აღსრულებისთვის.

„ეს გადაწყვეტილება შეახსენებს საქართველოს მთავრობას მისი მოვალეობის შესახებ – ბოლო მოუღოს საჯარო მოხელეების დაუსჯელობას“, – ნათქვამია Amnesty International-ის განცხადებაში.

ხუათი საქართველოს თავისი მოქალაქის სჯიმ დასაწყობებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

„რუსეთის მოქალაქეს უცნობი პირები თავს თბილისის აეროპორტში დაესხნენ“, – ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქე – როდიონოვა – ნინო ბურჯანაძის ნათესავია.

“ჩვენ ვაფასებთ ამ ფაქტს, როგორც საქართველოს ხელისუფლების მორიგ პროვოკაციულ გამოხტომას რუსეთის მოქალაქის წინააღმდეგ“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბუჩანაძე ახივებს ბებეშვილს

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის თქმით, 2 მაისს „სახალხო კრება“ საპროტესტო აქციების დაწყების თარიღს გამოაცხადებს.

ბურჯანაძე ამბობს, რომ ბოლო თვეებში „სახალხო კრება“ აქტიურ კამპანიას აწარმოებდა რეგიონებში, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით კარგად ორგანიზებულ აქტივისტთა ჯგუფი შეექმნა.

ჩაიღეწა სახიჯვრო ხაფოხის მნიშვნელობაზე საუბრობს



გასულ კვირას, თბილისში სტუმრობისას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში, თინა ქეიდენაუმ „ძალიან მნიშვნელოვანი“ უწოდა საარჩევნო კოდექსის რეფორმის წელს

დასრულებას. „ძალიან მოხარულები ვართ, რომ ოპოზიციური პარტიების ჯგუფმა მმართველ პარტიასთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა,“ – განაცხადა ქეიდენაუმ. მისი თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მხარი დაუჭიროს რაიმე კონკრეტულ რეფორმებს, „აშშ-ის როლი ისაა, რომ ხელი შეუწყოს დიალოგს“, რათა „მიღწეულ იქნას შეთანხმება და რის გაკეთებაც საჭიროა, არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე გაკეთდეს“, – დასძინა ქეიდენაუმ.

ეკონომიკური რეფორმების მიზანმიმართული პოლიტიკის შესახებ

ევროკავშირმა „შეშფოთება“ გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ცხინვალსა და სოხუმში ვიზიტთან დაკავშირებით. „ევროკავშირი არ მიიჩნევს, რომ ეს ვიზიტები შეესაბამება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს“, – ნათქვამია საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის

პრესსპიკერის განცხადებაში. „ევროკავშირი კიდევ ერთხელ გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ხაზს უსვამს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით, – ნათქვამია განცხადებაში.

ობამა დაბადების მონობა ბამოაქყყნა

პრეზიდენტი ობამას დაბადების ადგილის შესახებ ორწლიანი მითქმა-მოთქმის შემდეგ თეთრმა სახლმა პრეზიდენტის დაბადების მონობა გამოაქვეყნა. მონობა ადასტურებს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნამდვილად ჰონოლულუში, ჰავაის შტატში, 1961 წლის 4 აგვისტოს დაიბადა. ობამას შტატებში დაბადების საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი დონალდ ტრამპი, რომელმაც არაერთხელ გამოთქვა სურვილი, კენჭი



იყაროს ქვეყნის პრეზიდენტად. ტრამპი ირწმუნებოდა, რომ ობამა კონსტიტუციას არღვევდა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი შეერთებული შტატების ტერიტორიაზე უნდა იყოს დაბადებული.

ჩისხვანი

36%-ით

გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობა პირველ კვარტალში.

4

მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა საქართველოდან გადინებულმა უკანონო ფულის მოცულობამ ათი წლის განმავლობაში.

2.5

მილიონის გამოყოფას გეგმავს გუდაურისთვის თბილისის მერია.

305

ადამიანი დაიღუპა აშშ-ში ტორნადოსა და შტორმის შედეგად.

სიტყვები



„ახლა ჩვენ დაუნდობელ დათვთან იმ გალიაში ვსხედვართ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს დაგვესხას თავს, ჩვენი დასავლელი პარტნიორები კი გვეუბნებიან: დაელაპარაკეთ დათვის! მოეფერეთ, გაუღიმეთ, სცადეთ მისი მოხიბვლა.“

საქართველოს ელჩი აშშ-ში – თემურ იაკობაშვილი – შავი ზღვისა და კასპიის რეგიონის ქვეყნების კვლევის ცენტრში გამოსვლისას

„რუსეთის ვმო-ში განევრიანება საქართველოს თანხმობის გარეშე შეუძლია“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი – სერგეი ლავროვი – ვმო-ში რუსეთის განევრიანებაზე

„მანტაყი და ბლეფია მოსკოვის განცხადებები ვმო-ში თბილისის თანხმობის გარეშე განევრიანებაზე“.

საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს თანხმობის გარეშე განევრიანების შესაძლებლობებზე

„ჭექა-ქუხილი არის გზა ჩიხისკენ“.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის რეკოლუციურ გეგმებზე

პი

ჩიორა თაქთაქიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი

1999 წლიდან ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება და დღეს ხელისუფლებაში სწორედ ის გუნდია, რომელიც მეტი გამჭვირვალობის მომხრე იყო.

შედეგები თვალშისაცემია: ხელმისაწვდომი გამჭვირვალე ბაზები და ამ სფეროში ერთ-ერთი მოწინავე კანონმდებლობა არა მარტო რეგიონის თვალსაზრისით, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც.

ახალი ინიციატივების ფარგლებში გაკეთებულია სპეციალური ვებგვერდები, მათ შორის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის გვერდები. ასევე საარჩევნო სისტემა, სადაც მნიშვნელოვანია ვებგვერდზე დაფუძნებული ინფორმაციის სისტემის არსებობა და მოქალაქის შესაძლებლობა, მაგალითად, გადაამოწმოს თავისი თავი საარჩევნო სიაში.

ასევე, 2010 წლიდან ამოქმედდა თანამდებობის პირთა დეკლარაციის გამჭვირვალე სისტემა, სადაც ყოველგვარი ზედმეტი ბარიერის გარეშე, კომპიუტერზე ერთი დაკლიკებით, მოქალაქეს შეუძლია, გაიგოს ყველა სახის ინფორმაცია, რაც თანამდებობის პირთა დეკლარაციებს ეხება.

ამავდროულად, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას კანონმდებლობის დასახვეწად, რადგანაც არ არსებობს ისეთი კანონმდებლობა, რომელსაც ერთხელ მიიღებ და შემდგომში დახვეწა აღარ სჭირდება. ჩვენ ახლა ვინყებთ მუშაობას პროექტზე, რომელიც გაითვალისწინებს საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მინიმალურ სტანდარტებს.

ინფორმაციის პროაქტიულად ვებგვერდზე განთავსება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ უფრო მარტივი იყოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და აღარ იყოს პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგი დაწესებულება გასცემს გარკვეული ტიპის ინფორმაციას და ზოგი – არა.

ამ ცვლილებების მიზანი და იდეა მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენ ვიყოთ ორიენტირებულები საჯარო ინფორმაციის წინასწარ ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობაზე, რათა ამისთვის არ იყოს საჭირო დაწესებულებებისთვის ცალკეული განცხადებებით მიმართვა.

ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებული ხარვეზები, ზოგ შემთხვევებში, დაკავშირებულია საქმის წარმოების წესის გაუმართაობასთან, რაც ინფორმაციის დამუშავებისთვის და გაცემისთვისაა საჭირო.

ამ პრობლემის გადასაჭრელად არსებობს კონკრეტული სტრატეგია – ელექტრონულად საქმის წარმოებაზე გადასვლა. ჩვენი მიზანია, არ დარჩეს არც ერთი სახელმწიფო დაწესებულება, სადაც საქმის წარმოება არ იქნება გამართული და მოქალაქეს არ შეეძლება სრული ინფორმაციის მიღება. ■



ხელმისაწვდომი ინფორმაცია ს

■ შედეგები თვალშისაცემია: ხელმისაწვდომი გამჭვირვალე ბაზები და ამ სფეროში ერთ-ერთი მოწინავე კანონმდებლობა არა მარტო რეგიონის თვალსაზრისით, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც.



პრა

ვახუშტი მენაბდე

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ჩაატარა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ სასამართლო გადანყვეტილებების კვლევა, სადაც გაანალიზებული იყო 2008-2010 წლებში სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადანყვეტილება.

ყურადღებას იმ უარყოფით ტენდენციებზე გავამახვილებ, რომელიც კვლევამ გამოავლინა, რადგან ჩვენ გვსურს, რომ ეს უარყოფითი ტენდენციები გამოსწორდეს,

გამოვლინდა, ძირითადად, სამი პრობლემა: პირველი – ეს არის პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის გამიჯვნა ღია ინფორმაციისგან. მეორე პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით, არის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამიჯვნა ღია ინფორმაციისგან და მესამე – სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამიჯვნა ღია ინფორმაციისგან.

პირველი პრობლემის საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მაგალითად მოვიტანოთ თანამდებობის პირების პრემიების და მივლინებების ხარჯები. ჩვენ ძალიან ბევრი ქვეყანა გამოვიკვლიეთ და ყველა მათგანში მსგავსი ინფორმაცია იყო ღია და საჯარო. საქართველოს შემთხვევაში კი ეს ინფორმაცია დახურულია. მართალია, ხელმისაწვდომია თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები, მაგრამ ძალიან რთულია დეკლარაციიდან გამოთვალო ის, თუ რა თანხა დახარჯა თანამდებობის პირმა კონკრეტულ მივლინებაში, რაც შესაძლოა საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იყოს.

რაც შეეხება კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამიჯვნას ღია ინფორმაციისგან, ამ პრობლემის საილუსტრაციოდ მაგალითია საქართველოს ხელისუფლების „ინტერ რაო ეესთან“ დადებული მემორანდუმი. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას შეეძლო დაეფარა მემორანდუმის ის ნაწილი, რომელიც კომერციულ საიდუმლოებას ეხებოდა და ჩვენთვის გადმოეცა მემორანდუმის დანარჩენი ტექსტი, რაც არ მომხდარა. ამ შემთხვევაში არ მოხდა კომერციული ინფორმაციის გამიჯვნა ღია ინფორმაციისგან, რაც მნიშვნელოვანი დარღვევაა. თუ დოკუმენტში ერთი წინადადება არის კომერციული საიდუმლო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელი დოკუმენტის გასაიდუმლოება უნდა მოხდეს.

რაც შეეხება მესამე პრობლემას, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ღია ინფორმაციისგან გამიჯვნას, არსებობს პროცედურები, რომლითაც უნდა გასაიდუმლოვდეს ინფორმაცია. ხშირ შემთხვევაში, ეს პროცედურები არ არის დაცული, ან სასამართლო განხილვის დროს მათ არ ექცევათ სათანადო ყურადღება. **■**

თუ ახა საჯარო აქაითველოში?

■ გამოვლინდა, ძირითადად, სამი პრობლემა: პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოების და სახელმწიფო საიდუმლოების ხელმისაწვდომობის გამიჯვნა ღია ინფორმაციისგან.

სირია

ჩეფოხმები და ჩეჰხეხეხები

სპეცსამსახურებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებები უკვე ყოველდღე ხდება.

თუმცა სირიაში საქმე შეიარაღებულ კონფლიქტთან არ გვაქვს. აქ ხელისუფლება სასტიკი რეპრესიებით უიარაღო დემონსტრანტებს უსწორდება.

ვასო კუჭუხიძე



ანტისამთავრობო მიტინგი, სირია, 26 აპრილი 2011

სირიაში საპროტესტო გამოსვლების დაწყებისთანავე ქვეყნის მმართველობამ რამდენიმე დამთმობი ნაბიჯი გადადგა. სირიის მმართველმა ბაშარ ალ-ასადმა სოციალურ-ეკონომიკური გეგმა წარმოადგინა. თუმცა, ამ პოლიტიკური მანევრის პარალელურად, მთავრობა სპეცსამსახურების საშუალებით სასტიკად უსწორდებოდა აქციების მონაწილეებს. რეჟიმის ძალადობამ ახლადინიცრებული რეფორმები გადაფარა და მოსახლეობა კიდევ უფრო გააღიზიანა.

ეთნოფსიქოლოგების აზრით, არაბი ხალხისთვის უზენაესი პრინციპი საკუთარი ოჯახის, ნათესავების და მეზობლების დაცვაა. სწორედ ამიტომ, გახშირებული ძალადობის ფაქტების შედეგად, ისინიც კი, ვინც ხელისუფლების კურსს პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდა, ახლა ასადის რეჟიმის დამხობას ითხოვს. სპეცრაზმის მიერ მოკლული თითოეული მოქალაქის დაკრძალვა კი ახალი გამოსვლებისა და ახალი შეტაკების წინაპირობა ხდება.

მკაცრმა რეპრესიებმა რეჟიმს მოსახლეობის დამინების ნაცვლად სრულიად საპირისპირო შედეგები მოუტანა – თითოეულმა მოკლულმა დემონსტრანტებს ათეულობით ახალი მომხრე შესძინა. მოთხოვნებმაც ტრანსფორმაცია განიცადა, ახლა პოლიტიკური რეფორმების ნაცვლად სირიის მოსახლეობა სისხლიანი რეჟიმის გადადგომას ითხოვს.

ხალხის დაშოშმინება ვერც 1963 წლიდან მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებით და ვერც ოდიოზური უწყების – სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს დაშლით მოხერხდა. უშედეგოდ დასრულდა ასადის დაპირებებით აღსავსე ორი სატელევიზიო გამოსვლა. საპროტესტო აქციები სულ უფრო მასშტაბური ხდება.

ხელისუფლების შიგნითაც ქაოსია. მმართველი ბაასისტური პარტია უკვე ასეულობით ნევრმა დატოვა. საკუთარი ნებით გადადგა პარლამენტისა და მთავრობის რამდენიმე გავლენიანი ფიგურა. არის სამხე-

დროების მიერ ბრძანებებზე დაუმორჩილებლობის შემთხვევებიც.

ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული ანტაგონიზმის მიუხედავად, კონფლიქტს ჯერ კიდევ არ მისცემია ეთნიკური ან რელიგიური ელფერი. გამომსვლელებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, ინიციატივის ხელში ალებას ვერ ახერხებს ვერც ერთი დაჯგუფება. ეს კი დემონსტრანტთა არაკოორდინირებულ ქმედებას ინვეს – დღემდე ვერ ხერხდება საპროტესტო მუხტის დამასკოში შეტანა. დემონსტრანტთა ცენტრად ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქის – ჰომსის მთავარი მოედანი ითვლება, რომელსაც სირიელებმა ეგვიპტის მოვლენების შემდეგ თაპირირი უწოდეს.

ასადის რეჟიმის სისასტიკემ დასავლური სამყაროს აღშფოთებაც გამოიწვია. თურქეთისა და საფრანგეთის მაგალითის იტალიამ, ბრიტანეთმა, ესპანეთმა მიბაძეს და დიპლომატიური ურთიერთობა განწყვიტეს დამასკოსთან. გერმანიამ კი მკაცრი სანქციების შემოღების ინიციატივა წამოაყენა, რომელსაც მხარი თეთრმა სახლმაც დაუჭირა. ვაშინგტონსა და პარიზში აქტიურად განიხილება სირიის შიდა კონფლიქტში ინტერვენციის გეგმებიც. ჩარევის კატეგორიულ მონინალმდეგეთა შორისაა რუსეთი და ირანი. რუსი მაღალჩინოსნების განცხადებით, ჩარევამ შესაძლოა კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავოს და გაახანგრძლივოს. ირანის მთავრობამ კი რამდენიმე დღის წინ მასმედიას საერთოდ აუკრძალა მეზობელ სირიაში მიმდინარე მოვლენების გაშუქება.

სირიაში არსებული ვითარება სულ უფრო ემსგავსება ლიბიაში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე მიმდინარე მოვლენებს. ■

იამენი

ხელისუფლების გადასვლის ბეზმა

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს შუამავლობით იემენის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოებული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. თუმცა პროტესტანტთა ნაწილი აქციების შეწყვეტას არ აპირებს.

ვასო კუჭუხიძე

ბოლო სამი თვეა, ალი აბდულა სალუჰის რეჟიმი სხვადასხვა მეთოდით ცდილობს დემონსტრანტების დაშლას. წერილობრიმა პოლიტიკურმა რეფორმებმა და სოციალურმა დაპირებებმა შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებელი აღმოჩნდა რეპრესიებიც, ასობით უიარაღო დემონსტრანტის დაღუპვამ საპროტესტო ტალღის მასშტაბები კიდევ უფრო გაზარდა. ხელისუფლების მიერ ძალის გადამეტებამ კი მმართველი პარტიის რღვევას შეუწყო ხელი. ერთიანი სახალხო კონგრესის მრავალი წევრი დემონსტრანტთა ბანაკში გადაბარგდა. ბზარი გაჩნდა არმიამიც, რომელიც სალუჰის რეჟიმის მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა. მარტის ბოლოს, შეტაკების დროს, 50 დემონსტრანტის დახოცვის შემდეგ ხელისუფლებას ერთ-ერთი ყველაზე ერთგული გენერალი ალი აჰმარიც კი გაწუღდა.

ბერკეტების დაკარგვის შემდეგ იემენის პრეზიდენტს სხვა გზა აღარ დარჩენია, გარდა იმისა, რომ მუბარაქს მიბაძოს და ხალხის ნებას დაჰყვეს. თუმცა ეგვიპტის პრეზიდენტის მაგალითმა სალუჰს კარგად დაანახა, რომ დემონსტრანტთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და გადადგომა შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს მისი უსაფრთხოების გარანტი. ამიტომაც პრეზიდენტის ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში იმუნიტეტის შენარჩუნების საკითხს წამყვანი ადგილი უჭირავს.

მხარეებს შორის წინასწარი მოლაპარაკებების შემდეგ სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს მიერ შემუშავებული ხელისუფლების გადაცემის გეგმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს ითვალისწინებს. კერძოდ: შეთანხმების ხელმოწერიდან 7 დღის ფარგლებში უნდა მოხდეს დროებითი მთავრობის ფორმირება, რომელიც თანაბრად იქნება დაკომპლექტებული ოპოზი-



ციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. 30 დღის შემდეგ უნდა გადადგეს პრეზიდენტი და ხელისუფლება გადაბაროს ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს, 60 დღის ფარგლებში დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები.

მომავალმა პრეზიდენტმა არჩევისთანავე უნდა დაიწყოს კონსტიტუციის შეცვლაზე მუშაობა. ახალი კონსტიტუცია ქვეყნის მოსახლეობამ რეფერენდუმის საშუალებით უნდა მიიწონოს. ამავე კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები. გამარჯვებული პარტია შექმნის ახალ კაბინეტს, რომელიც დროებით მთავრობას შეცვლის.

ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი ხელისუფლება ითხოვს პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვისათვის აბსოლუტურ ხელშეუხებლობას, ასევე გარანტიას, რომ მათ არ წაუყენებენ არანაირ ბრალდებას და არ დაიწყება სასამართლო დევნა.

თუმცა, თუკი ოპოზიციის ერთი ნაწილი

მოლაპარაკებების გზით აპირებს ხელისუფლების შეცვლას, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ რეჟიმის დამხობის ერთადერთი გზა ქუჩის საპროტესტო აქციებია და სისხლიანი რეჟიმის წინაშე დათმობებზე წასვლა და მათთვის უამრავი დანაშაულის პატიება, სამარცხვინო ლაქად დარჩება იემენის ისტორიაში.

შესაბამისად, ქუჩაში გამოსული ოპოზიციის დიდი ნაწილი საპროტესტო აქციების შეწყვეტას არ აპირებს. მოლაპარაკების დაგეგმვის შემდეგაც კი ხელისუფლების მიერ მოკლული დემონსტრანტების რიცხვმა 20 ადამიანს გადააჭარბა. ოპოზიცია შეთანხმების ჩაშლით იმუქრება, თუკი ხელისუფლება სისხლის ღვრას არ შეწყვეტს. იმავე მუქარას იმეორებს ხელისუფლებაც, თუკი დემონსტრანტები ქუჩის საპროტესტო აქციებს არ შეწყვეტენ. აქედან გამომდინარე, სულ უფრო იზრდება იმის ალბათობა, რომ მოლაპარაკებები მართლაც ჩაიშალოს. ■

აფრიკა და ევროპა

მიბჩასიის ახალი ტალღა ევროპაში

ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენებმა ევროპა ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლის ქვეყნებს ათიათასობით მიგრანტი მიანყდა. ევროპის ქვეყნებს მათთან გამკლავების ერთიანი პოლიტიკა არ აქვთ.

ვასო კუჭუხიძე



ფოტო: სტრინგერი / REUTERS

ტუნისელი დევნილები იტალიის სანაპიროს მახლობლად, 8 პარილი 2011

ბოლო ათწლეულია, აფრიკელი არალეგალური მიგრანტებისგან სამხრეთ ევროპის დაცვის მისია მუამარ კადაფის ჰქონდა აღებული საკუთარ თავზე. მართალია, „მწვანე დიქტატორი“ იტალიის ხელისუფლებისაგან სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხას ღებულობდა და განუღო სამსახურს ხშირად ევროპასთან შანტაჟისთვისაც იყენებდა, მაგრამ ვალდებულებას პირნათლად ასრულებდა. ლიბიის საპატრულო ფლოტი თითქმის გადაულახავი ბარიერი იყო ხმელთაშუა ზღვის გავლით ევროპაში არალეგალურად მოხვედრის მსურველი აფრიკელებისთვის.

ლიბიაში სამოქალაქო ომის დანაშაულის შემდეგ კი ხელისუფლებას კონტროლის სისტემის შესანარჩუნებლად აღარც ძალა შერჩა და აღარც სურვილი. ცნობილი გახდა, რომ ლიბიის საპატრულო სამსახურები ზემდგომი ორგანოების მითითებით, პირიქით, ხელსაც უწყობენ მიგრანტების გამგზავრებას ევროპისკენ. ევროპაში კარგად ახსოვთ კადაფის მუქარა – ლიბიის

სამინაო საქმეებში ჩარევის შემთხვევაში ევროპელებს სამაგიეროს გადაუხდოდა და ბებერ კონტინენტს არალეგალუბით „გავაშავებო.“ პოლკოვნიკი დანაპირებს ასრულებს – ლიბიაში კონფლიქტის გამწვანების შემდეგ ევროპაში აფრიკიდან შესულ მიგრანტთა რიცხვი ოცჯერ გაიზარდა.

ყველაზე რთულ მდგომარეობაში იტალია აღმოჩნდა, ევროპაში მოხვედრის მსურველი აფრიკელები, პირველ რიგში, სწორედ აპენინის ნახევარკუნძულს მიადგებიან ხოლმე. ლტოლვილთა ბანაკები თავშესაფრის მაძიებლებს ვეღარ იტევს, ჰუმანიტარული კრიზისის ზღვარზეა აფრიკის სანაპიროსთან მდებარე იტალიური კუნძული ლამედეუზა. ბოლო თვეებში მხოლოდ ტუნისიდან ჩასულ მიგრანტთა რიცხვი 21 ათასს აჭარბებს. მათი შენახვა იტალიის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. მსგავს მდგომარეობაშია მალტაც.

იტალიისა და მალტის ხელისუფლებამ დახმარებისთვის ბრიუსელს მიმართა და მიღებული მიგრანტების ევროკავშირის

წევრ ქვეყნებში განაწილება შესთავაზა. კატეგორიული უარის მიღების შემდეგ იტალიის ხელისუფლებამ სასონარკვეთილი ნაბიჯი გადადგა: მიგრანტებს, რომლებიც კრიმინალურ ქმედებაში არ არიან ექვმიტანილნი და წარსულში საემიგრაციო სამსახურთან პრობლემები არ ჰქონიათ, ექვსთვიანი საცხოვრებელი ვიზები მისცა. წინასწარი მონაცემებით, იტალიის ეს ნაბიჯი ახლო მომავალში ევროპას 26 ათას ლეგალურ მიგრანტს შესძენს.

იტალიას უკვე აქვს ამგვარი სიტუაციიდან თავის დაძვრენის გამოცდილება. 90-იანი წლების დასაწყისში ბალკანეთის არეულობის დროს იტალიას უამრავი დევნილი მიანყდა. საემიგრაციო სამსახურმა მათ დროებითი საცხოვრებელი ვიზები დაურიგა და ბანაკებიდან ქუჩაში გამოუშვა. განუღმა რისკმა გაამართლა, ბალკანელ დევნილთა უმრავლესობა უკეთესი საცხოვრებელი პირობების პოვნის იმედით იტალიას ტოვებდა და ჩრდილოეთ ევროპაში მიდიოდა. ამ სცენარის გამეორება სურს იტალიის ხელისუფლებას ახლაც.

შენგენის შეთანხმების შედეგად ევროპის 25 ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმი მოქმედებს და შიდა საზღვრები, ფაქტობრივად, არ არსებობს. კანონმდებლობით, ევროკავშირში მოხვედრილ მიგრანტს, დროებითი საცხოვრებელი უფლების მიღების შემთხვევაში, შეუძლია დაუბრკოლებლად გადაადგილდეს შენგენის ზონის ნებისმიერ ქვეყანაში და იქ კანონიერად დაჰყოს 3 თვე.

იტალიის საემიგრაციო ბანაკებში თავმოყრილ აფრიკელ მიგრანტთა შორის ჩატარებული გამოკითხვებით, დაახლოებით, მათ 80 %-ს ნათესავები ჰყავს საფრანგეთსა და გერმანიაში, ამიტომაც ვიზის მიღების შემთხვევაში ისინი სწორედ ამ ქვეყნე-

ბს მიაშურებენ.


რომის მიერ მათთვის ვიზების მიცემა დიდი აღშფოთება გამოიწვია პარიზში. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, საბუთების წესრიგში ქონის შემთხვევაშიც კი აფრიკელი მიგრანტები საფრანგეთში ვერ შეაღწევენ, თუკი თან არ აღმოაჩნდებათ საკმარისი რაოდენობის ფინანსური დანაზოგი და საფუძვლიანად არ დაასაბუთებენ საკუთარი ვიზიტის მიზანსა და მიზეზს. საფრანგეთმა იტალიის საზღვართან სამედიცინო სამსახურის მობილიზაცია გამოაცხადა და განსაკუთრებულად გაამკაცრა ქვეყანაში შესვლის პირობები, რაც ევროკავშირის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. შენგენის შეთანხმების შედეგად ევროპული გაერთიანების წევრ ქვეყანას 30-დღიანი საზღვრის კონტროლის დაწესება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული. თანაც, საკუთარი საზღვრების დროებით აღდგენის მსურველ სახელმწიფოს არ აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების

უფლება. მან გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეუთანხმოს იმ ქვეყანას, რომელთან არსებულ საზღვარსაც უწესებს კონტროლს. პარიზის მიერ საერთო საზღვარზე კატეგორიულმა და შეუთანხმებელმა მოქმედებამ იტალიელთა გალიზიანება გამოიწვია.

პარალელურად, ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს საფრანგეთის საზღვაო საპატრულო სამსახური. ის ყოველდღიურად აკავებს მიგრანტებით სავსე ათობით ნავს და მათ აფრიკის სანაპიროზე აბრუნებს. ამ ფრონტზე პარიზს ადამიანთა უფლებების დამცველთა მხრიდან შეხვედა დიდი წინააღმდეგობა. ერთ-ერთი აქტივისტის განცხადებით, სწორედ საფრანგეთი იყო ლიბიაში სამხედრო ოპერაციების დაწყების ინიციატორი და ახლა ის ვალდებულია, ყოველნაირად დაეხმაროს კონფლიქტის ესკალაციის შედეგად იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას.

საფრანგეთის ხელისუფლება მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნ-

და. პრეზიდენტმა სარკოზიმ ევროკავშირის უმაღლეს ორგანოებს ოფიციალური წერილით მიმართა, სადაც ის შენგენის შეთანხმების ნაკლოვანებებს უსვამს ხაზს, მოითხოვს საკითხის დაუყოვნებლივ შესწავლასა და მასში შესწორებების შეტანას. სარკოზი აცხადებს, რომ ქვეყნებს უნდა მიეცეთ უფლება, საჭიროების შემთხვევაში, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღონ და საკუთარ საზღვრებზე კონტროლი აღადგინონ განუსაზღვრელი ვადით. ეს კი ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – მუშახელისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას ეწინააღმდეგება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პარიზი საკუთარ საკმაოდ საკამათო ინიციატივის განაცხადს მოახერხებს, ევროკავშირის სტრუქტურების ბიუროკრატიული ხასიათიდან გამომდინარე ცვლილებების მიღება თუ მათი იმპლემენტაცია საკმაოდ დიდხანს გაინელება და საფრანგეთს საზღვართან მომდგარი აფრიკელი მიგრანტების ტალღისგან ვერ იხსნის. 

Radio Commerciant

marketing@commerciant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commerciant.ge



ფოტო REUTERS

ვიკილიქსი

გუანტანამოს საპატიმრო

ბზა ბუნსანაოძე

წლების განმავლობაში გუანტანამოს ციხე ეჭვმიტანილების დაკითხვის, ცდის და წამების ადგილი იყო, სადაც, „ვიკილიქსის“ საიდუმლო მასალების თანახმად, ხშირად უდანაშაულო ადამიანებიც ხვდებოდნენ.

დიანა ჩაჩუა

2007 წლის 27 სექტემბერს გუანტანამოს ციხის 47 წლის ლიბიელი ტუსადი იბრაჰიმ აჰმედ ჰამუდა ბინ ოუმუ ლიბიის ციხეში გადაიყვანეს. დღეს იბრაჰიმ ოუმუ ლიბიელი აჯანყებულების ლიდერია და ნატოს კოალიციური ჯარების მხარდამხარ იბრძვის.

იბრაჰიმ აჰმედ ჰამუდა ბინ ოუმუ მას შემდეგ გახდა აქტუალური ფიგურა, რაც 25 აპრილს მისი სახელი „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მორიგ საიდუმლო მასალებში ამოიკითხეს. 779 დოკუმენტი 2002-2009 წლებში გუანტანამოს ციხეში არსებულ მდგომარეობასა და საპრობლეუმი მყოფი ეჭვმიტანილების შესახებ აქამდე უცნობ დეტალებს ახმაურებს.

გუანტანამოს მასალების გამოქვეყნება აშშ-ის და ევროპის ახალი ამბების ორგანიზაციებმა 25 აპრილს დაიწყეს.

გრიფით საიდუმლო დოკუმენტები გუანტანამოში პენტაგონის ერთობლივი ძალების მისიის შეფასებებს, ინტერვიუებს და შიდა ინფორმაციას შეიცავს. ამ მისიას უნდა დაედგინა, ვინ იყვნენ ეს დაკავებულები, რა კავშირი ჰქონდათ მათ ტერორიზმთან და რა დონის საფრთხეს უქმნიდნენ აშშ-ს და მის მოკავშირეებს.

საიდუმლო მასალები მოწმობს, რომ საომარ ზონებში დაზვერვა ნაჩქარევად და იმპროვიზებულად მოქმედებდა, რასაც შედეგად ხშირად უდანაშაულო პირების დაპატიმრება მოჰყვებოდა.

კუბაზე მდებარე გუანტანამოს დროებითი დაკავების ბანაკი 2002 წელს ბუშის ადმინისტრაციამ ავღანეთის და ერაყის ომის ეჭვმიტანილების დასაკავებლად შექმნა. სულ სამი ბანაკი არსებობდა: ბანაკი Delta, ბანაკი Iguana და ბანაკი X-Ray. ეს უკანასკნელი უკვე დახურულია. თუმცა Associated Press-ის თანახმად, ბაზაზე კიდევ ერთი - „ბანაკი 7“ არსებობს, სადაც ყველაზე მკაცრი უსაფრთხოების წესები მოქმედებს და რომლის მდებარეობაც გასაიდუმლოებულია.

გამოქვეყნებული საიდუმლო მასალები დეტალურ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რა მოტივით ატყვევებდნენ ადამიანებს გუანტანამოს ციხეში: არაბ

მოიჯარეს გუანტანამოს საპრობლეში იჭერდნენ იმიტომ, რომ მან მთავი გამავალი გზები იცოდა, ავლანელ ტაქსისტს იმისთვის, რომ თავისი საქმიდან გამომდინარე ხშირად უწევდა ხოსტის და ქაბულის ბაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მოძრაობა და „იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ ზოგადი ცოდნა გააჩნდა“, უზბეკს მხოლოდ იმ მიზეზით აკავებდნენ, რომ მას თავისი ქვეყნის დაზვერვის სამსახურის შესახებ შეეძლო მოეყოლა, დემენციით დაავადებულ 89 წლის მოხუცს იმისთვის, რომ ის დოკუმენტები აეხსნა, რომელიც, მოხუცის მტკიცებით, მის შვილს ეკუთვნოდა, არაბ იმამს, რათა მას მეჩეთში მორწმუნეების გეგმების შესახებ მოეყოლა, Al Jazeera-ს ოპერატორს თავისი საქმიანობის შესახებ სალაპარაკოდ, თალიბანის ყოფილ ბრიტანელ ტყვეს, რადგან მას „თალიბანის მიერ ტყვეებთან მოპყრობის და დაკითხვის ტაქტიკის შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონოდა“, თავად თალიბანის ახალწვეულებს, რათა მათ თალიბანის ჯარში განვეყის ტექნიკა აეხსნათ, 14 წლის ნაქიბ ულაჰს კი მხოლოდ იმიტომ მოუწია ერთი წლის განმავლობაში გუანტანამოს ციხეში ყოფნა, რომ მას „შესაძლოა თალიბანის იმ წევრების შესახებ სცოდნოდა რამე, რომლებმაც ის გაიტაცეს.“

გრიფით საიდუმლო დოკუმენტები გუანტანამოში გამოვლილი 750-ზე მეტი ტუსალის შესახებ ინფორმაციას მოიცავს. აქედან 172 ეჭვმიტანილი ჯერაც გუანტანამოს ციხეში იმყოფება.

„გაურკვეველია, რატომ გადაიყვანეს ეს დაკავებულები გუანტანამოში,“ - ერთ-ერთ მოხსენებაში ბაზის პოლკოვნიკი ორ ტავჯიკ პატიმარზე წერდა. მათ გუანტანამოს ციხეში ორი წლის გატარება მოუწიათ.

დროთა განმავლობაში გუანტანამოს ციხე ჩაშვების მანქანად იქცა. მრავალწლიანი დაკითხვების შემდეგ ერთადერთი, რაც პატიმრებს დარჩენოდათ, სხვა ტუსალებზე საუბარი იყო. ზოგს ამისკენ წამებით უბიძგებდნენ.

მოჰამედ ალ-ქაბთანი „ძალიან დააბეეს, სექსუალური შეურაცხყოფა მიაყენეს და აიძულეს ტანსაცმელში მოეშარდა“, ეს მანამ გაგრძელდა, სანამ მან თანამონაწილეობა არ აღიარა და 16 სხვა პატიმარი არ ჩაუშვა.

ამერიკულ მხარეს დამნაშავეის სახიფათოობის დასადგენად რამდენიმე მეთოდი ჰქონდა: რეაქცია აშშ-ის სახელმწიფო პინზე და ხელზე შემწეული Casio F91W-ის მოდელის საათი გუანტანამოს ბილეთის მისაღებად აუცილებელი კომპონენტი იყო.

საიდუმლო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პატიმრებისგან ჩვენებების ასაღებად

■ გრიფით საიდუმლო დოკუმენტები გუანტანამოში გამოვლილი 750-ზე მეტი ტუსალის შესახებ ინფორმაციას მოიცავს. აქედან 172 ეჭვმიტანილი ჯერაც გუანტანამოს ციხეში იმყოფება.

გუანტანამოში აგენტებს აშშ-ის გარდა არაერთი სხვა ქვეყანაც აგზავნიდა, მათ შორის ჩინეთი, რუსეთი, იემენი, საუდის არაბეთი, იორდანია, კუვეიტი, ალჟირი და ტუნისი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ „ვიკილიქსის“ მორიგი ქმედება დაგმო, თუმცა არც იმის ხსენება არ დაინიშნა, რომ არც ერთი გამოკვლევებული საიდუმლო დოკუმენტი ობამას პრეზიდენტობის პერიოდს არ ასახავს.

გუანტანამოს ციხის დახურვა ბარაკ ობამას წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო, რადგან ობამას თქმით, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ციხის არსებობამ მსოფლიოში ამერიკის მორალურ ავტორიტეტს ზიანი მიაყენა. გუანტანამოს საპრობლეის დახურვის შესახებ ბრძანებას ბარაკ ობამამ პრეზიდენტობის მეორე დღესვე მოაწერა ხელი.

თუმცა ციხის დახურვა დღემდე ვერ მოხერხდა. ეს ობამას ადმინისტრაციის კიდევ ერთი შავი ლაქაა, რომელთან გამკლავებასაც ის, სავარაუდოდ, მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეეცდება.

როდესაც 2005 წელს შეერთებული შტატების სამთავრობო დელეგაცია

გუანტანამოს ეწვია, ციხის ადმინისტრაციამ ტური ცარიელ საკნებში მოაწყო. სადემონსტრაციო საკნიდან კოხტად დაკეცილი პატიმრის სამოსი და სხვა ატრიბუტები მოჩანდა, რომელსაც ციხის ზედამხედველმა „კომფორტის საგნები“ უწოდა. მათ შორის იყო ტუალეტის ქალაღლი.


„ამაყი ვარ, ყოველივე ეს მედიას ვაჩვენო. მეამაყება თუ როგორ ჰუმანურად ეპყრობიან მცველები პატიმრებს. საკვებიც შესანიშნავია: პატიმრები თავლში ამოვლენულ ქათამსა და ფლავს და ლიმონში შემწვარ თევზს მიირთმევენ. აქ მშობელივით უნდა მოიქცე. ასე წარმოგვიდგენია ჩვენი მისია. აქ ერთი დიდი ოჯახი ვართ“, - მიმართავდა პოლკოვნიკი მაიკ ბუმგარნერი გუანტანამოს სტუმრებს.

როდესაც სტუმრები შენობის ბოლოში გავიდნენ, ისტერიკული ყვირილი შემოესმათ. ნარინჯისფერ მასიურში და შორტებში გამოწყობილი შუა ხნის ასაკის ტუსალი დამტვრეული ინგლისურით ყვიროდა: „ისინი გატყუებენ! ძილი დავკარგეთ! საკვები არ გვაქვს! წამლები არ გვაქვს! ყველანი ავად ვართ!“.

„საკმაოდ კარგი ინგლისურით საუბრობს,“ - იხუმრა ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა და თან დაცვას სტუმრების გაყვანა სთხოვა.

გუანტანამოს ციხის პატიმრების მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობას საიდუმლო დოკუმენტებში არაერთი პარაგრაფი ეთმობა. დოკუმენტში ნახსენებ, დაახლოებით, 100 პატიმარს მწვავე დეპრესია, შიზოფრენია და მწვავე ფსიქიკური აშლილობები აწუხებდა.

ოფიციალური ინფორმაციით, გუანტანამოს ციხეში, დაახლოებით, 5-მა ადამიანმა მოიკლა თავი, ათობით პატიმარს კი თვითმკვლელობების მცდელობა ჰქონდა.

ფსიქოლოგიური ზენოლის ერთ-ერთ მეთოდად გუანტანამოში ხმამაღალი მუსიკა გამოიყენებოდა. 2005 წელს გუანტანამოდან გათავისუფლებულმა ჰაჯ ალიმ Daily Mirror-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა, რომ პატიმრებს არასოდეს ასმენინებენ სიმღერას სრულად, მხოლოდ კონკრეტულ ნაწყვეტს: „Babylon... Babylon... Babylon... Babylon... Babylon... Babylon...“ და ასე დაუსრულებლად. 

ადამიანის უფლებები

საქმე, ხობეიბას შეძიხა საქართველო

სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს დასკვნა პოლიტიკური დავის საგანი გახდა.

სოფო ბუკია, ნინო რობაქიძე

„ქეშიქი და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“

26 აპრილს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ოთხნობიანი განხილვის შემდეგ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოიტანა.

ევროსასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი სახელწოდებით „ქეშიქი და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ და საქართველოს ხელისუფლებას მოსარჩელე მხარისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50 000 ევროს გადახდა დააკისრა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო არ არის დამნაშავე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში, თუმცა გამოძიების პროცესსა და სხვა მოვლენებს, რომელიც ამ გახმაურებულ მკვლელობას მოჰყვა, ევროსასამართლო „გამოგნებელს“ და „მიუღებელს“ უწოდებს. „საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების წარმოება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე“, – წერია ევროსასამართლოს განაჩენში. გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას „ამკარად აკლდა საჭირო დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და საფუძვლიანობა“, – აღნიშნულია იქვე.

ევროსასამართლოში 2007 წელს გაგზავნილ სარჩელში გირგვლიანის მშობლები მიუთითებდნენ რამდენიმე მუხლის დარღვევაზე: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება); მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა); მე-9 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის



სანდრო გირგვლიანი

ფოტო: სანდრო გირგვლიანი, პირადი არქივი

უფლებას; მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება).

მოსარჩელები აცხადებდნენ, რომ მათი შვილი შსს-ს მაღალჩინოსნებმა მოკლეს და ხელისუფლებამ ეს მკვლელობა არაეფექტიანად გამოიძია; შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც საქმის არსებით ნაწილს – უშუალოდ სანდრო გირგვლიანის მკვლელობას, ისე პროცედურულს – მკვლელობის გამოძიების პროცესს მიმოიხილავს.

არსებით ნაწილთან დაკავშირებით სასამართლომ ხელისუფლების არგუმენტები გაიზიარა: მართალია, სანდრო გირგვლიანი შსს-ს თანამშრომლებმა მოკლეს, მაგრამ დამნაშავეები დანაშაულის ჩადენისას მოქმედებდნენ, როგორც კერძო პირები და არა როგორც შსს-ს ოფიცრები.

რაც შეეხება პროცედურულ ნაწილს, აქ ევროსასამართლო ძალზე კრიტიკულია სახელმწიფოს მიმართ:

– „სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტის გამო, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ, გაერკვიათ საქმის რამდენიმე ძირითადი გარემოება.“

– „ხელისუფლების მიერ ამგვარი შერჩევითი მიდგომა სასამართლოსთვის მიუღებელია, რადგანაც იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, დასკვნები ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ყველა ელემენტის ღრმა, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს,“ – ნათქვამია განაჩენში.

ისევე, როგორც ქართული სასამართლოს განაჩენი, სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაც პოლიტიკური დავის საგანი გახდა.

ავტორიტეტული ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილმა განაჩენმაც ვერ მოახერხა ამ გახმაურებულ მკვლელობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული ეჭვების სრულად უარყოფა ან დადასტურება.

ევროპის სასამართლოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ განაჩენს 7 მოსამართლიდან 4 -მა დაუჭირა მხარი. სამი

მოსამართლე კი მიიჩნევდა, რომ საქმეში საკმარისად არის გარემოებები, რომელთა მიხედვითაც, გირგვლიანის გატაცებასა და გარდაცვალებაში სახელმწიფოს სავარაუდო მონაწილეობა იკვეთება.

26 აპრილს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოქვეყნებას საქართველოში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. განაჩენი საკუთარ წარმატებად მიიჩნია როგორც მომჩივანმა მხარემ, ანუ გირგვლიანის ოჯახმა და ადვოკატებმა, ისე მოპასუხემ – საქართველოს სახელმწი-

■ ამბავმა, რომელიც „დროების“

სიუჟეტში იყო მოთხრობილი, მთელი საქართველო შეძრა და 2006 წელს ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ საკითხად იქცა. 2006 წელს და შემდეგაც თბილისში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა, მთავარი მოთხოვნა ვანო მერაბიშვილის გადადგომა იყო.

ფომ.

ხელისუფლება მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოს განაჩენის არსებით ნაწილზე აპელირებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, თინა ბურჯალიანმა აღნიშნა: „განაჩენში წერია, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი სანდრო გირგვლიანის სიკვდილის ფაქტზე. ეს აბსოლუტურად გამორიცხავს ყოველგვარ სპეკულაციას ამ მკვლელობის შეკვეთისა და მასში მაღალჩინოსნების შესაძლო მონაწილეობის თაობაზე“.

დაზარალებული მხარისთვის კი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის ნაწილია, სადაც ევროპელი მოსამართლეები მკაცრად აკრიტიკებენ გამოძიების პროცესს, ქართულ სამართალდამცავ სტრუქტურებსა და ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასა-

მართლოს განაჩენი მისი გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესში მონაწილე არცერთი მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს.

საქართველოს ხელისუფლება განაჩენის გასაჩივრებას არ აპირებს. პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი მინაშვილის განცხადებით, სახელმწიფო გაითვალისწინებს სასამართლოს რეკომენდაციას და დაზარალებულის ოჯახს მორალური კომპენსაციის სახით 50 000 ევროს გადაუხდის.

არასამთავრობო ორგანიზაციები, გირგვლიანის ოჯახის წევრები და დამოუკიდებელი ოურისტიები კი მიიჩნევენ, რომ ევროპის სასამართლოს ასეთი მკაცრი განაჩენის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება არასაკმარისია და საჭიროა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება ევროპის სასამართლოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გვკლილობა ოძროყანის ტყეში

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ პირველი ინფორმაცია 2006 წლის 12 თებერვალს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაიცა.

ამ დღეს, კვირას, საღამოს 9 საათზე გადაცემა „დროება“ სკანდალური ჟურნალისტური გამოძიებით დაიწყო.

ამბავმა, რომელიც „დროების“ სიუჟეტში იყო მოთხრობილი, მთელი საქართველო შეძრა და 2006 წელს ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ საკითხად იქცა. 2006 წელს და შემდეგაც თბილისში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა, მთავარი მოთხოვნა შსს მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომა იყო.

„გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელის, 28 წლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 5 წელზე მეტი გავიდა, თუმცა გირგვლიანის ფოტოები დღესაც უჭირავთ თითქმის ყველა საპროტესტო აქციაზე.

„დროების“ ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი თავის სიუჟეტში 2006 წლის

27 იანვარს თბილისში, შარდენის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტზე ჰყვებოდა, რომელსაც გირგვლიანის მკვლელობა მოჰყვა. „იმედი“ მომხდარში შსს-ს მაღალჩინოსნების ბრალზე მიანიშნებდა.

„იმედის“ ეთერით გასულ სიუჟეტში აღწერილი იყო შემდეგი ვერსია: სანდრო გირგვლიანმა 27 იანვარს მეგობართან, ლევან ბუხაიძესთან ერთად „შარდენ-ბარში“ მეგობარ გოგონას – თამარ მაისურაძეს მიაკითხა, რომელიც ბარში შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მეუღლესთან, თაკო სალაყაიასთან და შსს-ს მაღალჩინოსნებთან – დათა ახალაიასთან, ვასილ სანოძესთან, ოლეგ მელნიკოვთან და გურამ დონაძესთან ერთად იმყოფებოდა. ამავე ვერსიით, გირგვლიანმა მეგობარი გოგონას შსს-ს წარმომადგენლებთან ერთად ყოფნა უსაყვედურა და შსს-ს მაღალჩინოსნები ხმამაღლა უხეში სიტყვებით მოიხსენია.

„იმედთან“ ინტერვიუში, თამარ მაისურაძე იხსენებდა, რომ გირგვლიანმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გურამ დონაძეს და კაფე შსს მაღალჩინოსნებთან შეკამათების შემდეგ მალევე დატოვა. მისი თქმით, გირგვლიანის გასვლიდან რამდენიმე წუთში მაგიდა დატოვა ოლეგ მელნიკოვმაც, რომელიც იმ დროს შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მელნიკოვმა თქვა, რომ სიგარეტის საყიდლად გადიოდა, თუმცა ბარში დაახლოებით 40 წუთის შემდეგ დაბრუნდა.

იმავე საღამოს, ბარიდან გამოსვლის შემდეგ გირგვლიანი და მისი მეგობარი ბუხაიძე უცნობმა პირებმა გაიტაცეს და სასტიკად სცემეს. ბუხაიძემ გაქცევა მოახერხა. სანდრო გირგვლიანის გვამი კი, რომელსაც მრავალი დაზიანება ჰქონდა, მეორე დღით – 28 იანვარს თბილისის შემოგარენში – ოქროყანაში იპოვეს.

21 თებერვალს სანდრო გირგვლიანის დედამ ირინა ენუქიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი შვილის მკვლელობა „შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დაგვემეს“. ენუქიძე შვილის მკვლელობაში შარდენ-ბარის მავიდასთან მსხდომებს ადანაშაულებდა.

გირგვლიანის საქმესთან დაკავშირე-

ბით პირველი საჯარო განცხადება შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 25 თებერვალს გააკეთა. მან თქვა, რომ შსს-ს თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლებას ჯერ არ აპირებდა. 28 თებერვალს კი ოპოზიციონერი დეპუტატების მოთხოვნით, მერაბიშვილს პარლამენტში მისვლა და გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით დეპუტატების

■ გირგვლიანის საქმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების დასაწყისი გახდა. ოპოზიცია, რომელიც მანამდე ერთიანად გამოსვლას ვერ ახერხებდა, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების სათავეში ჩადგა. „იმედის“ როლი გირგვლიანის საქმის პოლიტიზებაში სულ უფრო იზრდებოდა.

კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწია.

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე უახლოეს მომავალში იქნება გამოძიებული და საზოგადოება მალე გაიგებს მათ შესახებ, ვინც ეს საზარელი მკვლელობა ჩაიდინა... არის მცდელობები, ეს საქმე ჩემი ოჯახის წევრებს დაუკავშირონ. ეს მიზანმიმართულად კეთდება, რომ ჩემს წევრებზე იმოქმედონ“, – განაცხადა მინისტრმა პარლამენტში.

მკვლელობიდან ერთ თვეში – 6 მარტს ჟურნალისტები შს სამინისტროში საგანგებო ბრიფინგზე დაიბარეს. იმ დღეს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა: „გია ალანია – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი და ამავე დეპარტამენტის ოფიცრები: ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ყაჭავა და მიხეილ ბიბილურიძე – ჩვენ მოვიპოვეთ ნივთმტკიცებები, რომ სწორედ ამ ადამიანებმა ჩაიდინეს ეს დანაშაული“, – მერაბიშვილმა მკვლელობის მოტივი არ

დააზუსტა.

„ეს საქმე იყო პირადად ჩემი პრესტიჟის საქმე, ამიტომ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით დანაშაულის გახსნამდე გამოძიებას ანარმოებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. დღეიდან საქმე გადაეცა გენერალურ პროკურატურას“, – თქვა მინისტრმა.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე არსებობდა ეჭვი ჩადენილ დანაშაულში შსს-ს მაღალჩინოსანთა მონაწილეობის შესახებ, გამოძიებას თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სწორედ შსს ანარმოებდა. სწორედ ამ პერიოდში ჩატარდა ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის ისეთიც, რომელმაც მოგვიანებით გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია საქმის გახსნაზე. სწორედ ის ფაქტი, რომ გირგვლიანის მკვლელობას შსს იძიებდა, ევროპის სასამართლოსთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, რაც 2011 წლის ევროსასამართლოს განაჩენში აღნიშნულია კიდევ.

2006 წლის 6 მარტის ბრიფინგზე გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ მინისტრის უკან „შარდენ-ბარის“ ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე – გურამ დონაძე იდგა, რომელიც მაშინ შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელი იყო. მის თანამდებობიდან გათავისუფლებას განსაკუთრებით ითხოვდნენ გირგვლიანის ოჯახის წევრები და ოპოზიცია. 6 მარტის ბრიფინგი დონაძისთვის შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის რანგში უკანასკნელი აღმოჩნდა. მეორე დღეს იგი თანამდებობიდან მართლაც გაათავისუფლეს, თუმცა მოტივად მერაბიშვილმა „ჟურნალისტებთან დონაძის ცუდი ურთიერთობა“ დაასახელა.

მთელი მარტის განმავლობაში და მეორეც თბილისი საპროტესტო აქციების ტალღამ მოიცვა. აქციებს მოკლულის დედა – ირინა ენუქიძე და ოპოზიციონერი ლიდერები აწყობდნენ. მთავარი მოთხოვნა დამკვეთების დასჯასთან ერთად ვანო მერაბიშვილის გადადგომა იყო.

ჟურნალისტები და ექსპერტები დიდი ალბათობით ვარაუდობდნენ, რომ ხელისუფლება მზარდ საზოგადოებრივ ზენოლას ვერ გაუძლებდა და იძულებული გახდებოდა, მაშინ უკვე „სახელმწიფოს

ხერხემლად“ წოდებული მინისტრი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა.

2006 წლის 15 მარტს „სივილ ჯორჯიასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია აცხადებდა: „გირგვლიანის საქმე, ალბათ, ყველაზე სერიოზული კრიზისული მოვლენაა ამ ხელისუფლებისათვის 2004 წლის აგვისტოს მოვლენების [ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული შეტაკებების] შემდეგ. მან აჩვენა, რომ ერთგვარი დაუსჯელობის სინდრომი არსებობს ხელისუფლების გარკვეულ ნაწილში, სამართალდამცავ ორგანოებში. ხელისუფლების რეაგირება იყო არაადეკვატური. ისინი ძალიან დიდხანს უძალიანდებოდნენ პასუხისმგებლობის აღებას გირგვლიანის საქმეზე. ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში და ძლიერ სახელმწიფოში რომ მომხდარიყო ასეთი სკანდალი, რა თქმა უნდა, ამას მოჰყვებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა... შეცდომა იყო ის, რომ ხელისუფლებამ ასე განელა ეს საქმე და ვერ მიხვდა, რომ ახალაიას, სანოძეს და იმ ადამიანებს, რომლებიც „მარდენ-ბარში“ იყვნენ, უნდა შეელოდა... მე არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, ახლა უკვე იძულებულიები გახდნენ, მერაბიშვილსაც შეელონ.“

გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე პრეზიდენტთან პირადად შეხვედრას ეცადა. იგი ამბობდა, რომ შვილის მკვლელობის გამოძიების საქმეში მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის და მისი სამართლიანობის იმედი ჰქონდა. პრეზიდენტი ირინა ენუქიძეს არ შეხვდა, გახმაურებულ საქმეზე პირველი კომენტარი მხოლოდ მკვლელობიდან თვენახევარში – 16 მარტს გააკეთა. მან თქვა: „ნებისმიერი ასეთი საქმე ჩემი პირადი ტრაგედიაა“. თუმცა ამავე გამოსვლაში სააკაშვილმა ოპოზიციის მოწოდებებს ვანო მერაბიშვილის გადაყენების თაობაზე „ძალიან სასაცილო“ უწოდა და განაცხადა, რომ იგი მხარს დაუჭერს მერაბიშვილს დანაშაულთან ბრძოლის გზაზე.

„რა თქმა უნდა, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირები აღმოჩნდნენ ჩარეული, საქმე ორმაგად მძიმდება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ფაქტი შეიძლება მომხდარიყო



საპროტესტი აქცია პარლამენტის წინ, თბილისი, 7 ივლისი 2006

ფოტო: დავით ბიძაგაძე/REUTERS

ინგლისში, საფრანგეთში და ძალიან ხშირად ამგვარი ფაქტები ამერიკაშიც ხდება. საქართველომ ისევე უპასუხა ამ დანაშაულს, როგორც უპასუხებდნენ ამ ქვეყნებში... ვინც დასაჭერი იყო, დაჭერილია. თუ კიდევ ვინმე იქნება, იმათაც ვაგებიანებთ პასუხს. რაც გამოსაძიებელია, გამოძიებული იქნება ბოლომდე“, – განაცხადა სააკაშვილმა.

გირგვლიანის საქმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების დასაწყისი გახდა. ოპოზიცია, რომელიც მანამდე ერთიანად გამოსვლას ვერ ახერხებდა, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების სათავეში ჩადგა. საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის სხდომების ბოიკოტირება დაიწყო, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები ერთიან განცხადებებს, მემორანდუმებს აწერდნენ ხელს, ერთად მართავდნენ აქციებს, რომლებსაც პირდაპირ ეთერში აშუქებდა ტელეკომპანია „იმედი“.

ამ ტელეკომპანიის როლი გირგვლიანის საქმის პოლიტიკურებაში სულ უფრო იზრდებოდა. „იმედი“ და მისი მფლობელი პოლიტიკური პროცესებში მთავარ მოთამაშებად იქცნენ.

გირგვლიანის შესახებ სიუჟეტის გასვლიდან თვენახევარში 2006 წლის 29 მარტს „იმედის“ მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც მანამდე ხელისუფლებასთან ღია დაპირისპირებაზე არ მიდიოდა, საქართველოს ბიზნესმენტა ფედერაციის შეხვედრაზე სკანდალური განცხადებით გამოვიდა. მან თქვა, რომ ხელისუფლებამ ზეწოლა გააძლიერა მის ტელევიზიაზე მას შემდეგ, რაც „იმედი“ გირგვლიანის მკვლელობის საქმის დეტალები გააშუქა.

„პირადად მე, და არა რომელიმე ყურნალისტი, ვარ პასუხისმგებელი ამ სიმართლეზე. ზუსტად ეს გახდა ხელისუფლების უკმაყოფილების მიზეზი და ამის გამო ძალიან და საფინანსო სტრუქტურები



ფოტო: ზაზა ნაქვლიანი

სანდრო გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მღუმარე აქცია, თბილისი 2006

აქტიურად სწავლობენ ჩემს კომპანიებს, რათა შექმნან მოტივაცია, რომ განვახორციელო ზენოლა იმედის ჟურნალისტებზე და ხელი შევეწყო ხელისუფლებისათვის სასურველი სურათის შექმნას“, – განაცხადა ბადრი პატარკაციშვილმა. ამ განცხადებამ ოფიციალურად გააფორმა პატარკაციშვილსა და ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირება. 17 აპრილს კი რუსულ გაზეთ „კომერსანტ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ ბიზნესში ყოფნა მისთვის „უფრო სასიამოვნოა“, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ხვალ ან თუნდაც დღეს“ პოლიტიკაში წასვლას არ გეგმავს.

„მინდა, ბატონ ბადრის მადლობა ვუთხრა. პირველ რიგში იმიტომ, რომ როგორც იქნა, ის გამოვიდა ჩრდილიდან და ჩვენ ვიხილეთ ოპოზიციის რეალური ლიდერი და შესაძლოა სპონსორიც,“ – აცხადებდა მაშინ დეპუტატი გიგა ბოკერია.

27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. 30 ივნისი სასამართლომ „შარდენ-ბარის“ მაგიდასთან მსხდომნი დაკი-

თხა, მათ შორის მინისტრის მეუღლეც. დაკითხულებმა კაფეში რაიმე კონფლიქტი უარყვეს და განაცხადეს, რომ მათ სანდრო გირგვლიანისგან რაიმე შეურაცხყოფელი სიტყვები არ გაუგიათ, რადგანაც მუსიკა კაფეში ხმამაღლა უკრავდა.

ოფიციალური ვერსიით, გირგვლიანის მკვლელობა ალანისა, სხვა დაკავებულებსა და გირგვლიანს შორის შარდენ-ბარის გარეთ მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შედეგი იყო და ამ საქმესთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ სამინისტროს მაღალჩინოსნებს, როგორც ამას მოკლულის ოჯახი ამტკიცებდა.

2011 წლის 26 აპრილის განაჩენში ევროპის სასამართლომ დაადასტურა, რომ ხედავს კავშირს სუფრის წევრებსა და მკვლელობის შემსრულებლებს შორის და ქართული მართლმსაჯულება ამ კავშირის დაფარვასა და არასათანადოდ გამოძიებაში დაადანაშაულა.

2006 წელს საქალაქო სასამართლოში მთავარ მონმედ გამოძახებულმა გირგვლიანის მეგობარმა ლევან ბუხაიძემ, რომელიც ტრაგედიის დღეს სანდროს-

ეპიზოდის აღმინის უკლებათა სასამართლოს განაჩენის 276-ე პუნქტი:

„სასამართლო შეძრა სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ერთობლივმა ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემადრწუნებელ საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის შეშლისკენ“;

კერძოდ:

- ▶ შს სამინისტროს ქმედებებმა გამოძიების საწყის ეტაპზე,
- ▶ პროკურატურის გულგრილობამ გამოძიებისადმი,
- ▶ სასჯელალსრულების დეპარტამენტის გადანყვეტილებამ ბრალდებულთა ერთ საკანში მოთავსებაზე,
- ▶ ეროვნული სასამართლოების მიერ სასამართლო პროცესის არასათანადოდ ჩატარებამ და მსჯავრდადებულთა ნაადრევმა გათავისუფლებამ,
- ▶ საქართველოს პრეზიდენტის არაგონივრულმა თანაგრძნობამ მსჯავრდადებულთა მიმართ.

თან ერთად იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ბრალდებული მიხეილ ბიბლოურიძე ოქროყანაში არ უნახავს და ოქროყანაში მყოფი მეოთხე ადამიანი ოლეგ მელნიკოვი იყო.

საქმის ძირეული განხილვისას სასამართლოს ბუხაიძის მიერ მელნიკოვის ამოცნობის ფაქტი არ გაუთვალისწინებია.

ეს გარემოება ქართულმა მხარემ ევროპის სასამართლოსაც დაუმალა.

2011 წლის 26 აპრილს გამოტანილ განაჩენში ევროპის სასამართლომ პირდაპირ დაადანაშაულა საქართველოს ხელისუფლების ის უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ევროსასამართლოსთან თანამშრომლობაზე. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოთხოვნილი მასალები საქართველომ ზოგ შემთხვევაში დაგვიანებით, ზოგ შემთხვევაში კი არასრულად წარმოადგინა.

„სასამართლო შეძრა სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ერთობლივმა ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო მკვლელობის ამ შემადრწუნებელ საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებისათვის ხელის შეშლისკენ,“ – ნათქვამია ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ჩემიამ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი ნახევრად ცარიელ დარბაზში გამოაცხადა. განაჩენის გამოცხადებამდე სანდრო გირგვლიანის დაცვის მხარემ, ახლობლებმა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს.

მთავარ ბრალდებულს, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი განყოფილების ყოფილ უფროსს გია ალანას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენ სამ ბრალდებულს – ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ლაჭავას და მიხეილ ბიბლოურიძეს 7 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

„არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ადამიანებს რამდენს მიუსჯიდნენ. სასამართლო გამოძიებამ ყველაფერი გააკე-

თა იმისათვის, რომ ამ საქმეზე ნახევარი სიმართლე თქმულიყო“, – განაცხადა გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

საქართველოს ბოლო დროის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული საქმე – სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესი, რომლის მიმართ საოცრად მაღალი იყო საზოგადოების ინტერესი, ათ დღეში დასრულდა. ექვსივე სხდომას ოჯახის წევრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების და ოპოზიციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სასამართლოს შენობის გარეთ კი არ წყდებოდა საპროტესტო აქციები.

გირგვლიანის საქმე ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 8

■ 2009 წლის 7 სექტემბერს, ოქროყანაში მომხდარი მკვლელობიდან სამნახევარი წლის შემდეგ, გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებმა საპატიმრო დატოვეს. ელენე თევდორაძის განცხადებით, ისინი პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეინყალა.

დეკემბერს საქმის განხილვა დაიწყო. 11 დეკემბერს კი განაჩენი გამოიტანა – ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2009 წელს ტელეკომპანია „მექსტროს“ ეთერში გასულმა კადრებმა დაადასტურა ეჭვი, რომ დაკავებულებს – ალანასა და სხვებს ხელისუფლება მფარველობდა. ფარული კამერით გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ რა განსაკუთრებულ პირობებში იხდიდნენ სასჯელს გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებული ოფიცრები. სასჯელს ისინი იზოლირებულ, სპეციალურად მათთვის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე იხდიდნენ. მათთან ხშირად დადიოდნენ მნახველები, ღია ცის ქვეშ

ენყობოდა პიკნიკები, წვავდნენ მწვადებს. კადრებში ჩანს, რომ დაკავებულებს რამდენიმე ადამიანი ემსახურებოდა კიდევც.

2009 წლის 7 სექტემბერს, ოქროყანაში მომხდარი მკვლელობიდან სამნახევარი წლის შემდეგ, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულმა შსს-ს ოთხმა ოფიცერმა საპატიმრო იმ 384 პატიმართან ერთად დატოვა, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 24 ნოემბერს შეინყალა.

შეწყალების კომისიის ყველა წევრი კატეგორიულად უარყოფდა გირგვლიანის მკვლელების შეწყალებაში საპარლამენტო კომისიის მონაწილეობას. ორმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა კომისია პროტესტის ნიშნად დატოვა. შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ კი განაცხადა, რომ გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდადებული 4 ყოფილი მაღალჩინოსანი პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეინყალა.

„სასამართლო შეძრა... საქართველოს პრეზიდენტის არაგონივრულმა თანაგრძნობამ მსჯავრდადებულთა მიმართ,“ – წერს ევროპის სასამართლო 2011 წლის 26 აპრილის განაჩენში.

ქართული მედია აცხადებდა, რომ საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ ოთხივე ყოფილი მსჯავრდებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო. ტელევიზიით გავრცელდა სამების საკათედრო ტაძარში გადაღებული კადრები, სადაც ოთხივე ყოფილი მსჯავრდადებული სანთლებით ხელში დგას.

მას შემდეგ ინფორმაცია გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულთა შესახებ მედიაში გაქრა. ევროპის სასამართლოს განაჩენი, რომელსაც ნერტილი უნდა დაესვა უკანასკნელი პერიოდის ყველაზე სკანდალური მკვლელობის საქმისთვის და დაედგინა ქართული სახელმწიფოს და მართლმსაჯულების სამართლიანობა, ისევ მიიჩქმალა. დოკუმენტი, რომელსაც საზოგადოება 4 წლის განმავლობაში ელოდა, ნაციონალურ არხებზე გაშუქდა როგორც 26 აპრილს მომხდარი ერთ-ერთი რიგითი მოვლენა, რომელიც საინფორმაციო გამოშვებებში მესუთემეექვსე ამბად გავიდა. **■**

სტუდენტური თვითმმართველობა

"ჯანსახანის" სტუდენტების ხავერდი

სტუდენტური თვითმმართველობა – მხოლოდ პლატფორმა პოლიტიკური კარიერისთვის, თუ სტუდენტურ პრობლემებზე ზრუნვაც?

რუსუდან ფანოზიშვილი

„თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“ – ასე ერქვა ინტელექტუალურ თამაშს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში 2010 წლის 1 დეკემბერს გაიმართა. თამაშში სხვადასხვა კურსის სტუდენტებით დაკომპლექტებულმა ოცმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას, ჯამში, 2 ათასამდე სტუდენტი დაესწრო. საღამოს საპატიო სტუმრები ეთერ კაკულია და გივი სიხარულიძე იყვნენ.

გივი სიხარულიძე უნივერსიტეტს ერთი თვით ადრეც სტუმრობდა. 2 ნოემბერს სტუდენტებს მასთან შეხვედრა მოუწყვეს. იმავე საღამოს სიხარულიძემ თავისი ახალი წიგნის „ანეკდოტილი სიცოცხლის“ პრეზენტაცია გამართა.

ორივე ღონისძიება თსუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა. იმავე პერიოდში გაიმართა შემდეგი ღონისძიებებიც: პოეზიის საღამო „სამი თაობა“ (სტუმრები ჯანსახანის ჩარკვიანი, მაყვალა გონაშვილი, ლექსო დორეული), ასევე პოეზიის საღამო „შემოდგომის ფოთლები“, რომელზეც სტუდენტები საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ და „კომედი შოუს“ მსახიობების შეხვედრა ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებთან.

სწავლის მზარდი გადასახადი, სახელმძღვანელოების სიმწირე, ელექტრონული ბიბლიოთეკის არარსებობა, სილაბუსების გაუმართაობა – თსუ-ს თვითმმართველობას ხშირად ადანაშაულებენ ხოლმე სტუდენტებისთვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემების იგნორირებაში. მართლაც, თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში სწორედ პოეზიის



საღამოები, კონცერტები და ექსკურსიები ჭარბობს. მაგალითად, 2010 წელს თსუ-ს თვითმმართველობის ანგარიშზეა 14 ექსკურსია, 28 კულტურული და სპორტული ღონისძიება და მხოლოდ 4 საგანმანათლებლო სემინარი.

თსუ-ს თვითმმართველობაში ამბობენ, რომ პროექტების შესახებ გადაწყვეტილებას რიგითი სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით იღებენ. შემდეგ კი თითოეულ პროექტს ადმინისტრაციას უთანხმებენ. თანხასაც ღონისძიებების დასაფინანსებლად სასწავლებლის საფინანსო განყოფილება ურიცხავთ. მაგალითად, „შემოდგომის ფოთლებისა“ და სხვა შარშანდელი ღონისძიებების მოწყობისთვის თვითმმართველობამ, მისი პრეზიდენტის თქმით, ჯამში, დაახლოებით, 350 ათასი ლარი დახარჯა.

კულტურული პროექტების სიმრავლესა და მათ მსხვილ ბიუჯეტს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის თვითმმართველობაშიც სტუდენტების დაინტერესებით ხსნიან. „ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მიერ ორგანიზებულმა შეხვედრამ პოეტ გენრი დოლიძესთან და მწერალთა კავშირის სხვა პოეტებთან. 600-კაციანი დარბაზი ბოლომდე სავსე იყო“, – ამბობს თვითმმართველობის პრეზიდენტი გიგა სორდია.

„სწავლის მერე, ალბათ, ყველაზე მეტად გართობა სჭირდებათ სტუდენტებს“, – ასე ესმის თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი მისია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტს გიორგი კულდუნიშვილს და ისიც დასძენს, რომ პროცენტულად მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს შორის

სპორტული და გასართობი პროექტები ქარბობს.

„ჩვენი სტუდენტური კავშირი მოუნოდებს უნივერსიტეტს, გაზარდოს სასტიპენდიო დაფინანსება და ყველაზე ღარიბი სტუდენტებისთვის არსებულ დონეზე გაყინოს სწავლის გადასახადი“, – ეს კი უახლესი განცხადებაა უკვე ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის ვებგვერდიდან. ოქსფორდის სტუდენტური კავშირიც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან ფინანსდება. შეთავაზებული თანხით

ლად არის ქცეული. „ჩვენთან კი 70 წელი საბჭოთა კავშირი იყო და კომკავშირი მოქმედებდა. დამოუკიდებელი და ძლიერი სტუდენტური ორგანიზაციის ტრადიცია, უბრალოდ, არ გვქონია. საიდან მოვიდოდა ეს ტრადიცია ახლა?“ – კითხვას სვამს ლიკა ლლონტი.

დღევანდელი საუნივერსიტეტო თვითმმართველობა მართლაც საბჭოთა სტუდენტური კავშირების მემკვიდრეა, რომლის საფუძველიც, თავის მხრივ, კომკავშირი იყო. თუმცა, განსხვავება მათ შორის პრინცი-

ალიზებაში; სტუდენტთა დასვენებისა და შრომითი მოღვაწეობის დასაკმაყოფილებლად დისკუსიების, ტრენინგების, ინტელექტუალური თამაშების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიულ ცოდნად რჩება, რადგან მათ სასწავლებლებში სტუდენტების 70 პროცენტმა თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ თითქმის არაფერი იცის.

2010 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტემპუსის ოფისის მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა, რომელშიც საქართველოს 17 უმაღლესი სასწავლებლის 500-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. ამ კვლევის მიმდინარეობის დროს, ფოკუს ჯგუფებში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ თქვა, რომ მათი საჭიროებები თვითმმართველობების პროექტებში არ აისახება.

„4 წელია, აქ ვსწავლობ და არც ერთი ჩემი პრობლემის გადაწყვეტაში თვითმმართველობა არ დამხმარებია. კარგად ვხედავდი, რასაც აკეთებდნენ, ეს იყო ექსკურსიებზე სიარული, წვეულებების მოწყობა, ცოტა გაურკვეველ და ბუნდოვან თემებზე კონფერენციები – ევროკავშირის კვირეული, ნატოს დღეები...“, – ამბობს მეოთხეკურსელი თინა ყიფშიძე „ლიბერალთან“ საუბარში.

„სტუდენტური თვითმმართველობა ასე მესმის – ეს არის სტუდენტების ხმა რექტორატში. მე კი მხოლოდ რამდენიმე კონცერტი და ექსკურსია მასხენდება მათ მიერ მოწყობილი“, – ამბობს მეოთხეკურსელი ნატა. მისი თქმით, პრობლემა, რომელიც დამოუკიდებელმა სტუდენტურმა დაჯგუფებამ „თარგმნე“-მ ცოტა ხნის წინ წამოჭრა, პირველ რიგში, სწორედ თვითმმართველობას უნდა წამოეჭრა. „პრინციპში, თვითმმართველობას ჰქონდა რეაქცია, ოღონდ პირიქით – ნეგატიური, წარმოუდგენელი და დაუშვებელი“, – დასძინა ნატა.

„თარგმნე“ სამი თვის განმავლობაში ემზადებოდა იმისთვის, რომ საკუთარი სამართლიანი პრეტენზია ადმინისტრაციისთვის დასაბუთებულად წარედგინა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ დამოუკიდებელი ორგანიზაციის წევრები უცხო ენაზე არსებული სასწავლო ლიტერატურის ქართულად თარგმნას სთხოვდნენ.



■ „4 წელია, აქ ვსწავლობ და არც ერთი ჩემი პრობლემის გადაწყვეტაში თვითმმართველობა არ დამხმარებია. კარგად ვხედავდი, რასაც აკეთებდნენ, ეს იყო ექსკურსიებზე სიარული, წვეულებების მოწყობა, ცოტა გაურკვეველ და ბუნდოვან თემებზე კონფერენციები – ევროკავშირის კვირეული, ნატოს დღეები...“, – ამბობს მეოთხეკურსელი თინა ყიფშიძე „ლიბერალთან“ საუბარში.

კი ეს ორგანიზაცია არა მხოლოდ სწავლის გადასახადთან და საგამოცდო სესიებთან დაკავშირებულ პრობლემებს უგვარებს სტუდენტებს, არამედ სათავეში უდგას რამდენიმე დამოუკიდებელ კამპანიას, მათ შორის: კულტურული და რასობრივი თანასწორობის კამპანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა კამპანია და გეი, ლესბოსელ, ბისექსუალ და ტრანსსექსუალ სტუდენტთა საბჭო.

განათლების ექსპერტი, ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი, ლიკა ლლონტი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ქართული სტუდენტური ბრიტანულ, ამერიკულ ან გერმანულ კავშირებს შევადაროთ, რადგან დასავლურ ქვეყნებში ძლიერი სტუდენტური ორგანიზაციები და მათი გავლენა მიმდინარე პროცესებზე – ეს უკვე კულტურისა და ტრადიციის ნაწი-

პულია – ახლანდელ თვითმმართველობას ზურგს მაქსიმალურად ლიბერალური და პროსტუდენტური კანონმდებლობა უმაგრებს. ლიკა ლლონტი დასძინა: „არ მახსოვს, რომელიმე სხვა ქვეყანაში კანონით იყოს ასე მკაფიოდ დეფინირებული სტუდენტთა უფლებები. ჩვენთან კანონი ავალდებულებს უმაღლეს სასწავლებლებს, ჰქონდეთ სტუდენტური თვითმმართველობა და ხელი შეუწყონ სტუდენტთა უფლებების დაცვას. მაგრამ რეალობაში რას ვიღებთ, ეს სხვა საკითხია“.

თეორიულად, სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედება ხელმძღვანელებმა საზეპიროები და ციტატები იციან დებულებიდან, რომელიც მათ უფლება-მოვალეობებს ადგენს: სტუდენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვა და წარმოდგენა; მათი ხელშეწყობა თვითრე-



ნოდარ ხადური, ირაკლი გოგავა, გიორგი შარაშიძე, ლევან ვეფხვაძე – სტუდენტური თავმჯდომარის არჩევნები, 1997

სტუდენტური დღეები – გამარჯვებულთა დაჯილდოება

თუმცა 15 აპრილს გამართულ პრეზენტაციაზე, რომელსაც სტუდენტები, ლექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საქმის გარჩევა დაიწყო და „თარგმნეს“ მხარდამჭერი სტუდენტების ცემაში გადაიზარდა. „თარგმნეს“ წევრები ამტკიცებდნენ, რომ მათ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები გაუსწორდნენ – „რეალურად, თვითმმართველობა უნდა იყოს ის, ვინც ჩვენ გვიცავს და არა ის, ვინც გვირტყამს“ – ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული, მეორეკურსელი ლაშა ქავთარაძე.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, დაჩი გუბაძე ამტკიცებს, რომ საქმის გარჩევამი მისი ორგანიზაციის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ და მით უმეტეს, არავინ უცემიათ. გუბაძე ამბობს, რომ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის საკითხი თვითმმართველობამ ბევრად ადრე წამოჭრა და ამ თემაზე რეპორტაჟსაც კი შეხვდნენ.

უცხოური ლიტერატურის თარგმნა მნიშვნელოვანი, თუმცა მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალ პრობლემას შორის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში, წლებია, მოუგვარებელი რჩება.

ამ პრობლემების მოუგვარებლობის მხოლოდ თვითმმართველობებისთვის გადაბრალება, გულუბრყვილობა იქნება, თუმცა ის, რომ სტუდენტების მიერ არჩეული თვითმმართველი ორგანო ამ საკითხების აქტიურად დაყენებას არც კი ცდილობს, სტუდენტთა დიდ ნაწილში უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების მიზეზი ხდება.

„ვერ ვიტყვი, რომ როგორც სტუდენტს, ეს ინსტიტუტი რამეში წამადგა. შეიძლება ჩემი ინერტულობის და არააქტიურობის ბრალიც იყოს, მაგრამ არა მგონია, თსუ-ს რომელიმე სტუდენტი გააჩეროთ და თავისი კმაყოფილება გაგიზიაროთ“, – ამბობს მეოთხეკურსელი ნატა.

სტუდენტების ინერტულობა ცალკე პრობლემაა. 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების 73 პროცენტმა თქვა, რომ თვითმმართველობისთვის საკუთარი ინიციატივით არასდროს მიუმართავს; 70 პროცენტმა არ იცის, რა უფლებები გააჩნია თვითმმართველობის წევრებს, მხოლოდ 33 პროცენტს არასდროს მიუღია მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

„ნამდვილად პასიურები ვართ, თარგმნეს“ ინციდენტის შემდეგ მონყობილი საპროტესტო აქციისთვის 500 სტუდენტიც კი ვერ ავიყოლიეთ. სხვა უნივერსიტეტიდან უფრო მეტი გვიჭერდა მხარს, ვიდრე თსუ-დან“, – ამბობს ლაშა ქავთარაძე.

განათლების ექსპერტები საკითხს ასე აყენებენ: უმაღლეს სასწავლებელში წლობით მოუგვარებელი პრობლემები არაა მხოლოდ ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის ბრალი. სტუდენტებსა და მათ მიერ არჩეულ ორგანოს შორის დიალოგის არარსებობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუკი, თვითმმართველობა უვარგისია, სტუდენტებს შეუძლიათ, წამოაყენონ სხვა კანდიდატურა, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავდა. ასევე შეუძლიათ, კრიტიკის

გარდა, საკუთარი განსხვავებული ინიციატივებითაც გამოვიდნენ, მაგრამ ასე თითქმის არ იქცევიან.

თუმცა, თვითონ სტუდენტები ინერტულობის მიზეზად ხშირად თვითმმართველობასა და ადმინისტრაციას შორის ჰარმონიულ ურთიერთობას ასახელებენ და ამბობენ, რომ „აზრი არ აქვს, ინიციატივის წამოყენებას, რადგან თვითმმართველობა საერთო ენას ადმინისტრაციასთან უფრო იოლად პოულობს, ვიდრე – სტუდენტებთან, რომლებიც რეალურად მათი ამომრჩევლები არიან“.

„თვითმმართველობა რისთვის გვინდა? იმისთვის, რომ ადმინისტრაციამდე მიიტანოს ჩემი სათქმელი და თქვას, რომ ამდენ სტუდენტს აქვს ესა და ეს პრობლემა და საჭიროა მათი მოგვარება. თვითმმართველობამ აქტიური ლობირება უნდა გაუწიოს ჩემს პოზიციას, სინამდვილეში კი ადმინისტრაციასთან ძალიან შეხმატებულები არიან“, – ამბობს თინა ყიფშიძე.

2010 წელს ჩატარებულ კვლევაში, სტუდენტების 42 პროცენტი ამბობს, რომ მათი აზრით, უნივერსიტეტის თვითმმართველობაზე გავლენას, პირველ რიგში, ადმინისტრაცია ახდენს. იმავე კვლევით დასტურდება ისიც, რომ ადმინისტრაციები თვითმმართველ ორგანოებს თითქმის ყველა ინიციატივასა და პროექტს უყოყმანოდ უფინანსებენ. „საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი დაიყვანება მარტო „კავეენებსა“ და სილამაზის კონკურსებამდე, რადგან, ალბათ, ადმინისტრაციასაც არაფერში აწყობს, რომ მაკრიტიკებელი ორგანო



ჯგუფ „სახეს“ კონცერტი უნივერსიტეტის ბაღში (დათო ხუფაძე, დათო ფორჩხიძე, გოგა ხაჩიძე) - 1999

■ „ბევრ პოლიტიკურ პარტიას ჰქონია მცდელობა, გავლენა მოეხდინა, მოდიოდნენ სხვადასხვა პარტიის ლიდერებიც. ამბობდნენ, ჩვენი ახალგაზრდული ფრთისთვისაც მოგვანოდეთ თქვენი კადრებიო“, – ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტი, გიორგი კულდუნიშვილი.

ჰყავდეს“, – ამბობს ლიკა ლლონტი.

ადმინისტრაციის ზოგიერთი გადაწყვეტილების კრიტიკოსისა და სტუდენტების უფლებების დამცველის როლი თვითმმართველობებმა დღემდე რომ ვერ მოირგეს, განათლების ექსპერტები ამასაც საბჭოური მენტალიტეტის გადმონამუთად მიიჩნევენ.

„ჩვენი სურვილი იყო თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოში გვეცხოვრა, გვეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობდნენ ახალგაზრდები დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში. თუმცა, რა თქმა უნდა, იყვნენ „ჰალსტუხიანი“ სტუდენტებიც, რომლებიც ახალგაზრდა ასაკიდანვე კარიერაზე და კაბინეტურ მომავალზე ზრუნავდნენ“, – ასე იხსენებს სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მწერალი დათო ტურაშვილი თსუ-ში სწავლის პერიოდს, ახლანდელი სტუდენტები კი ამბობენ, რომ „ჰალსტუხიანი“ თანაკურსელები, რომლებიც თვითმმართველობას პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად იყენებენ, ახლაც ბევრი ჰყავთ.

„კომკავშირთან შედარება არ მინდა, მაგრამ კარიერული თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ზუსტად ასე ითვლებოდა – სტუდენტების თავმჯდომარეობა ეს იყო ტრამპლინი კარიერული წინსვლისთვის. ამიტომ იყო ამ პოსტზე ყოველთვის ძალიან დიდი კონკურენცია და ჩემი არჩევნებიც ძალიან დაძაბულად ჩატარდა“, – იხსენებს გიორგი შარაშიძე, რომელიც თსუ-ს სტუდენტების 1997-2001 წლებში ხელმძღვანელობდა.

„ერთ-ერთ სტუდენტურ შეხვედრაზე რალაც იდეას ვაკრიტიკებდი და დანარჩენებს ვუთხარი, თუ წესდება ამის საშუალებას არ გვაძლევს, მოდი, შევცვალოთ წესდება. ერთ-ერთმა მიპასუხა – ახლა ჩვენ ვერაფერს შევცვლით, მაგრამ მე რომ პარლამენტში შევალ, მე შევცვლი. გაკვირვებულმა ვკითხე, შენ აპირებ პარლამენტში შესვლას-მეთქი და რატომაც არა, რა, შენ არ გინდაო? ჩემს გარშემო მართლაც ბევრს აქვს იმის მოლოდინი, რომ აუცილებლად დეპუტატი გახდება, ანდა თანამდებობის პირი“, – ამბობს თინა ყიფშიძე.

სტუდენტური კავშირი აპოლიტიკურ, ნეიტრალურ უწყებად ბევრ სხვა ქვეყანაშიც არ ითვლება, მაგრამ ასეთი პირდაპირი პოლიტიკური გავლენა ამ ორგანიზაციებს იშვიათად ეტყობათ. ყველაზე თვალშისაცემი ეს გავლენა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე ხდება ხოლმე. განსაკუთრებული სიმძაფრით კი მაშინ გამოვლინდა, როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებში ამბიციური პრეტენზია გაჩნდა – ძველი სტუდენტების ნაცვლად სრულიად ახლებური ფუნქციისა და მისიის მქონე და დემოკრატიული სტუდენტური კავშირი – თვითმმართველობა უნდა შეექმნათ.

დაჩი ცაგურია, რომელიც 2004-2006 წლებში ერთ-ერთი სტუდენტური მოძრაობის „სტუდენტური ლიგის“ წევრი იყო, თვითმმართველობის ერთ-ერთ პირველ არჩევნებს ასე იხსენებს: „ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წევრები და მათი მხარდამჭერები, დათო კირიკაძე, ზაზა

გოროზია და სხვები მოდიოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს სტუდენტები არ იყვნენ, საარჩევნო პროცესში აქტიურად ერეოდნენ. ყოფილა შემთხვევები, როცა საარჩევნო უბანზე დაგვიჭერია მათი მხარდამჭერები, როცა ყუთში ყალბ ბიულეტენებს ტენიდნენ, ერთი ყუთი გაიტაცეს კიდეც. ამ მეთოდებით მიდიოდა მაშინ „საარჩევნო პროცესი“.

„ბევრ პოლიტიკურ პარტიას ჰქონია მცდელობა, რომ პროცესში ჩართულიყო, გავლენა მოეხდინა. 2001 წლიდან ასეთი ფაქტები ხშირად ყოფილა. მოდიოდნენ სხვადასხვა პარტიის ლიდერებიც. ამბობდნენ, მოდი, პარტია ძლიერია, ჩვერთოთ, თვითმმართველობაც გავაპიროთ, ჩვენი ახალგაზრდული ფრთისთვისაც მოგვანოდეთ თქვენი კადრებიო“, – ამბობს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტი, გიორგი კულდუნიშვილი და ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა კადრებს არავის აწვდიდა. „ახლაც ასეა, თუ სტუდენტს თვითონ გაუჩნდება სურვილი, წავიდეს“.

წლების განმავლობაში მსგავსი სურვილი ბევრს გაუჩნდა. 1994 წელს თსუ-ს პირველი სტუდენტების თავმჯდომარე ნოდარ ხადური ორი წლის შემდეგ ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე გახდა, მოგვიანებით კი განვერდიანდა პარტიაში „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“. ხადურის შემდეგ არჩეული თავმჯდომარე, ირაკლი გოგავა – „მოქალაქეთა კავშირის“ ცნობილი სახე გახდა, მესამე თავმჯდომარე – ლევან ვეფხვაძე

კი – „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის წევრი. დავით მესხიშვილი, რომელიც სტუდენტების ბოლო თავმჯდომარე იყო, მომავალში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნაურდა. უკვე თვითმმართველობად გადაკეთებული ორგანიზაციის პრეზიდენტმა, გიორგი ავალიანმა კი ჯერ

გუბერნატორ ლადო ვარძელაშვილის მოადგილის პოსტი დაიკავა, შემდეგ ვარძელაშვილის მოადგილეობა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განაგრძო.

ახლა, „თარგმნეს“ ინიციატივის შემდეგ, უნივერსიტეტელები ლაპარაკობენ

იმაზეც, რომ წლების განმავლობაში არც ის მეთოდის შეცვლილა, რითაც თვითმმართველობის წარმომადგენლები კონფლიქტებსა და გაუგებრობებს აგვარებენ. თსუ-ს ურსდამთავრებული გიორგი ჩითარიშვილი 2007 წელს მომხდარ შემთხვევას იხსენებს, როცა სტუდენტურ მოძრაობა „ახალგაზრდულს“ თვითმმართველობის ბიუჯეტის შესწავლაში ეხმარებოდა. „მაშინ გვექონდა ეჭვები, რომ ბიუჯეტი ძალიან გაუმჭვირვალე იყო. ამიტომ გამოვითხოვეთ კიდეც მასალები და შევისწავლეთ. მახსოვს, საღამოს 6 საათზე თსუ-ს მეორე კორპუსში პრესკონფერენცია უნდა გაგვემართა, მაგრამ პრესკონფერენციის დაწყებამდე თვითმმართველობის მამინდელი პრეზიდენტი, რამდენიმე წევრი და მათი მეგობრები მე და ჩემს მეგობარს დაგვხვდნენ და გვცემეს“. ჩითარიშვილი ამბობს, რომ შემდეგ ტვინის შერყევით საავადმყოფოში იწვა.

ერთ-ერთ ამერიკულ საუნივერსიტეტო ბლოგზე ავტორი სტუდენტური კავშირის ფუნქციის ასე განმარტავს: „დაახ, არაჩვეულებრივი იქნება, უნივერსიტეტში ახალი საცურაო კომპლექსი გვექონდეს, ანდა პრეზერვატივებთან ერთად კოკაინი იყიდებოდეს, მაგრამ ეს ოცნებები არა მხოლოდ არარეალურია, არამედ სტუდენტური პოლიტიკისთვის შეუფერებელიც. ჩვენ ვლაპარაკობთ კავშირზე. სტუდენტურ კავშირზე. წარმომადგენლობაზე. კოლექტიურ შეთანხმებაზე. სტუდენტური კავშირი – ეს უნდა იყოს ბრძოლისთვის შექმნილი ორგანიზაცია. ამ ბრძოლებიდან ზოგი მოსაწყენი და მეორეხარისხოვანი იქნება, ზოგიც – მასშტაბური და აღმავრუნის მომტანი, საბოლოო ჯამში კი, ორივე ტიპის ბრძოლა სტუდენტს კონკრეტულ, ხელშესახებ შედეგს მოუტანს“.

საკუთარი მისიისა და ფუნქციის ასე გააზრებისგან ქართული უმაღლესი სასწავლებლების თვითმმართველობები ჯერ შორს არიან. მათი ძველმოდური ფასეულობების გამო კი, დღეს საქართველოში მთელი იმ ინსტიტუტის დისკრედიტაცია ხდება, რომელსაც შეეძლო, სტუდენტური აქტივიზმის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა. **■**



შეხვედრა მოძღვართან



შეხვედრა პოეტ თემურ ჩალაბაშვილთან



შეხვედრა გივი სიხარულიძესთან და ეთერ კაკულიასთან

■ „ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენ მიერ ორგანიზებულმა შეხვედრამ პოეტ გენრი დოლიძესთან და მწერალთა კავშირის სხვა პოეტებთან. 600-კაციანი დარბაზი ბოლომდე სავსე იყო“, – ამბობს თვითმმართველობის პრეზიდენტი გიგა სორდია.

სტატიაზე მუშაობდა ნინო ჩიმაკაძე.

ბანახიბუდი "პოპუდი" საბამოფენო სანახში

მექსიკური სამზარეულო, ხორცის ფართო ასორტიმენტი და საუკეთესო ქართული პროდუქცია – სიახლე, რომელსაც „პოპული“ გთავაზობთ

„პოპულიმ“ მომხმარებელს კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა. წერეთლის გამზირზე, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე მდებარე „პოპული XL“-ში მისულ სტუმრებს მაღაზიაში ბევრი ნოვაცია დახვდათ.

ლიკა მიქაუტაძე, (კომპანია „პოპულის“ მარკეტინგული კომუნიკაციების მენეჯერი): „ჩვენ გადავწყვიტეთ ბევრი სიახლე დაგვეწერა „პოპულის“ მაღაზიაში, რომელიც წერეთლის №118 მდებარეობს, რათა ამ მაღაზიით ისარგებლონ არა მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობამ, არამედ მაღაზიაში მომხმარებელი თბილისის სხვა უბნებიდანაც მოვიდეს. სიახლეების დაწერვამდე ვანარმოეთ შესაბამისი კვლევა და შედეგების საფუძველზე შევარჩიეთ ის სერვისი და მომსახურება, რაც ყველაზე მეტად სჭირდება მომხმარებელს.

„პოპულში“, რომელიც საგამოფენო ცენტრის ტერიტორიაზე მდებარეობს, სხვა ჩვენი მაღაზიებისგან განსხვავებით, გვექნება მექსიკური სამზარეულო. ჩვენი მზარეულები, იქვე მომხმარებლის თვალწინ, გრილზე მოამზადებენ ცნობილ მექსიკურ კერძებს. მომხმარებლისთვის მომზადების პროცესიც საინტერესო სანახაობაა, რომელსაც სიამოვნებით ადვენებს თვალს. კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც მომხმარებელს „პოპულის“ ამ მაღაზიაში შევთავაზებთ, იქნება

ხორცის ფართო ასორტიმენტი, რომელსაც გამოცდილი ყასაბი წარუდგენს მომხმარებელს და, რაც მთავარია, თბილისში ყველაზე ხელსაყრელ ფასად.

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ განსაკუთრებულად მექსიკური სამზარეულო წარმოგეჩინათ განახლებულ „პოპულში“?

– ქართველ გურმანებს ძალიან მოსწონთ მექსიკური სამზარეულო. ქართველებს გვიყვარს და ხშირად მოვიხმართ ქათმის პროდუქტებს, ლობიოს, კარტოფილს, სიმინდს და ეს ინგრედიენტები კი ძალიან პოპულარულია მექსიკურ სამზარეულოში. და რაც ყველაზე მთავარია, მექსიკური კერძები ძალიან ნოყიერი, გემრიელი და ეგზოტიკურია. მანამ, სანამ ამ სიახლეს დავენერგავდით მომხმარებლის ტესტირება ვანარმოეთ და აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნების კერძებს შორის ყველაზე დიდი მოთხოვნით მექსიკური სამზარეულო სარგებლობს. სხვათა შორის, მექსიკური ფაზიტასი, რომელიც ქათმის ფილესა და სიმინდის მარცვლებისაგან მზადდება, ქართველ გურმანებში ისეთი პოპულარულია, რომ „პოპულის“ ცხელი კერძების ძირითად მენიუში გვაქვს შეტანილი.

– რაც შეეხება ხორცის ფართო ასორტიმენტს, ყასაბი მომხმარებელს დაეხმარება შესაბამისი კერძისთვის საუკე-

თესო ნაჭრების შერჩევამ?

– ადამიანი, რომელიც ხორცპროდუქტების დახლთან იდგება, რეკომენდაციას გაუნეწვს მომხმარებელს, რომელი კერძისთვის ხორცის რა ნაჭერი შეიძინოს. გარდა ამისა, გვაქვს კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ერთნაირად გაახარებს როგორც პატარებს, რომლებსაც ხშირად ასეირნებენ მშობლები საგამოფენო ცენტრის ტერიტორიაზე, ასევე „პოპულში“ ბავშვებით მოსულ მომხმარებელს. ყოველ შაბათ-კვირას ჩვენ მოვანყოფთ ბავშვებისთვის სპეციალურ გასართობ პროგრამებს: ხატვის კონკურსებს, მოწინვეთ სხვადასხვა მულტფილმის გმირებს. ასე, რომ ჩვენთან საყიდლებზე მოსული მომხმარებელი, მშვიდად მიაბარებს ბავშვს გასართობი პროგრამის ლიდერს და მანამ, სანამ მისი შვილი ერთობა, მშვიდად „იშოპინგებს“ „პოპულიში“. 



თვალსაზრისი

სახელმძვანაო ჰინსიზები მანიფესტანსტოთვის



ვის შეუძლია იყოს საპროტესტო აქციის მონაწილე, ან მის ორგანიზებაზე და ჩატარებაზე პასუხისმგებლობის მქონე პირი? რა ფორმა უნდა ჰქონდეს აქციას?

ვახუშტი მენაბდე

საქართველოში არის კანონი, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების წესებს ადგენს. სწორედ ამ კანონში, 2009 წლის ზაფხულში შევიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მაშინ სახალხო დამცველის და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. მას შემდეგ, რაც პარლამენტში არსებით შედეგს ვერ მიაღწიეს, მათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და არა მარტო ახალი ცვლილებები, არამედ ძველი წესების ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობაც მოითხოვეს.

სასამართლოში 8 სუბიექტის 4 სარჩელი შევიდა. საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა. სასამართლომ წელიწადნახევარზე მეტი ხანი მოანდომა მსჯელობას და 2011 წლის 18 აპრილს გადაწყვეტილება გამოაცხადა.

ჩამოვთვალთ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რის უფლება აქვთ ადამიანებს საქართველოში.

ვის შეუძლია იყოს აქციის მონაწილე, მის ორგანიზებაზე და ჩატარებაზე პასუხისმგებლობის მქონე პირი?

▶ შეკრების ან/და მანიფესტაციის ინიცირების უფლება აქვს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს.

▶ შეიარაღებულ პირს, გარდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლისა, არ აქვს უფლება, იმყოფებოდეს აქციაზე.

▶ საქართველოს სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს, ისევე, როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს, ეკრძალებათ,

როგორც ორგანიზების, ისე მონაწილეობის უფლება.

▶ აქციის მონაწილე, მის ორგანიზებაზე და ჩატარებაზე პასუხისმგებლობის მქონე პირი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი. თუმცა, თუ აქცია წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, სახელმწიფო უფლებამოსილია, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი შეზღუდოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებაში.

რა ფორმა უნდა ჰქონდეს აქციას?

▶ საჯარო სივრცეში – იქ, სადაც საამისოდ არ არის გამოყოფილი სპეციალური ადგილი, დაუშვებელია ნახატების, წარწერებისა და სიმბოლოების თვითნებურად გამოსახვა, ეს აკრძალვა მოიცავს, როგორც სხვადასხვა ურბანულ კონსტრუქციაზე, ისე ხეებსა და მიწაზე ხატვას.

▶ იმავე ქმედების ჩადენა საჯარო დაწესებულებების ფსადებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე უფრო მძიმე გადაცდომაა. „მიმდებარე“ ის ტერიტორია, რომელიც უკავშირდება დაწესებულებას, მის პერიმეტრს, სივრცობრივად მის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მოიცავს ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის საგალ ნაწილს.

▶ საჯარო სივრცეში სიმბოლოების განთავსება დაშვებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანხმობის შემთხვევაში.

▶ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება აუცილებელია, თუ აქცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

▶ აქციის მონაწილეებს მხოლოდ მაშინ



ფოტო: თემო ხაჩიკიანი/სპლენდორი

აქვთ უფლება, გადავიდნენ ტრანსპორტის საგალ ნაწილზე, თუ ისინი ტროტუარზე ვერ ეტევიან.

▶ დაუშვებელია აქციის მონაწილეთა მიერ გზის საგალი ნაწილის დაკავება მაშინ, როდესაც არ არის მონაწილეთა საკმარისი რაოდენობა.

▶ თუმცა, ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, კანონი არ იძლევა აქციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველს, არამედ თვითმმართველობის წარმომადგენელმა მონაწილეებს უნდა მისცეს საშუალება, აქცია კანონით დადგენილ ფარგლებში გააგრძელონ. ხელისუფლების ქმედება არ იქნება პროპორციული, თუ ის აქციის შეწყვეტას დაუყოვნებლივ მოითხოვს.

▶ უფლებამოსილების მქონე პირის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის სიმძიმის და იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელსაც კანონსაწინააღმდეგო შეკრება საზოგადოებრივ წესრიგს უქმნის, ხელისუფლება უფლებამოსილია, შეზღუდოს შეკრების უფლების რეალიზება და აღადგინოს ტრანსპორტის მოძრაობა ან/

და მოითხოვოს შეკრების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

▶ თვითმმართველობის წარმომადგენლის გადანყვეტილება მანიფესტანტთა ტროტუარზე დაბრუნების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, სადაც მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს დაეკისრება.

▶ აქციის მონაწილეებს არ აქვთ ქუჩის სხვადასხვა საგნებით ბლოკირებისა და გადაკეტვის უფლება.

ლიმიტის ფარგლებში და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით მოძრაობენ.

▶ აქციის მონაწილეებს არ აქვთ უფლება, მოახდინონ დაწესებულების ბლოკირება;

▶ ზოგიერთი ტიპის დაწესებულების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში აქციის კანონით აკრძალვა არაკონსტიტუციურია; თუმცა ეს არ გამოირიცხავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყო-

სასამართლო გადანყვეტილების კრიტიკის აკრძალვას.

რა შეიძლება იყოს აქციის მიზანი?

▶ განცხადება, რომელიც ძალადობრივი ან/და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ მოუწოდებს, ყველა შემთხვევაში არ არის აკრძალული. თუ მოწოდება ძალადობის ენას შეიცავს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკურია, სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარ-



▶ რაც შეეხება დროებითი კონსტრუქციების აღმართვის უფლებას, რომელიც არ იწვევს სავალი ნაწილის სრულ გადაკეტვას, მაგრამ აუცილებელია შეკრების ორგანიზებისა და განხორციელებისთვის, ამ ტიპის კონსტრუქციების აგება დამშვებულია.

▶ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობა არ დაიშვება, თუ ის გზის სავალი ნაწილის სრულ დაკავებას ან/და მის ფაქტობრივ ბლოკირებას იწვევს.

▶ ასევე აკრძალულია ორგანიზებული კოლონის მიერ გზის სავალი ნაწილის სრულად დაკავება. გზის სავალი ნაწილი სრულად დაკავებული არ არის, თუ სატრანსპორტო საშუალებებს თავისუფალი გადაადგილების, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე მანევრირების შესაძლებლობა აქვთ.

▶ მიუხედავად ზემოთქმულისა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მანიფესტაცია დასაშვებია, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები, საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, დაშვებული სიჩქარის

ფის მიზნით, მისი ფუნქციური დანიშნულების, სპეციფიკის ან/და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს აქციის ჩატარების შესაფერისი ადგილი ისე, რომ კონსტიტუციური უფლების არსი არ იყოს უგულვებლყოფილი.

▶ თუ კონკრეტული რადიუსის დადგენა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, მაშინ ამ მიზნით ზოგიერთი ტიპის დაწესებულების სიახლოვეს აქციის გამართვის აკრძალვის დადგენა გამართლებული შეიძლება იყოს, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა ამით უფლების არსის უგულვებლყოფა (მაგ.: სამხედრო ნაწილი, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნები ან პენიტენციური დაწესებულება);

▶ როგორც პროტესტის, ისე სოლიდარობის აქციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუშვებელია. „საცხოვრებელი ადგილი“ გულისხმობს საცხოვრებელი სახლის ან სადგომის უშუალო სიახლოვეს მდებარე ტერიტორიას.

▶ ეს არ გულისხმობს, ზოგადად, მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან

მოადგენს, იგი დაშვებულია.

▶ მოწოდება, როდესაც (1) მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო ძალადობრივი შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას და (2) არსებობს ძალადობის საფრთხე, დაუშვებელია. სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს და შეწყვიტოს აქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწოდება ორივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

▶ ძალადობის ცალკეული ფაქტი ვერ გამოიწვევს კონკრეტული შეკრებისა და მანიფესტაციის პროცესში ჩარევას. ამ შემთხვევაში კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა დგება.

▶ „დამხობისკენ“ ან/და „ძალადობრივი გზით შეცვლისკენ“ მოწოდება ან ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს აქციის შეწყვეტის საფუძველი თუ მან რეალური და მასობრივი ხასიათი მიიღო.

ეს ის ძირითადი სტანდარტებია, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა. ეს წესები კონსტიტუციის ნაწილია და სხვაგვარ ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება. [Q]



სოფლის მეურნეობა

წყანალაბუდი მინები

„კახეთი სანიმუშო რეგიონი უნდა გახდეს, რადგან გასაცდენი მინა ჩვენ არ გვაქვს, მინების ასი პროცენტი უნდა იყოს დამუშავებული“, – ასეთია ხელისუფლების დეკლარირებული პოზიცია. თუმცა, თანხა იმ გლეხების დასახმარებლად, რომელთა სახნავ-სათეს მინასაც, უკვე 8 წელია, ადიდებული ალაზანი ტბორავს, ხელისუფლებას არ აქვს.

მაია ნიკლაური



მდინარე ალაზანი ყოველდღიურად შთანთქავს მკვიდრი მოსახლეობის მიწებს, 27აპრილი 2011

აპრილის დასაწყისში გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში ადიდებულია ალაზანმა კიდეც ორი მეტრი სახნავ-სათესი მიწა ჩამოშალა. შარშანდელი მასშტაბური დატბორვის შემდეგ ეს ადგილობრივებისთვის ბოლო დარტყმა აღმოჩნდა.

„წარმომიდგენია, მთაში თოვლი დნობას რომ დაიწყებს და წყალი ადიდდება, მერე რა იქნება. ალბათ, მაისის შუა რიცხვებამდე ახლა სადაც ვდგავართ, ეს მიწაც აღარ იქნება“, – ამბობს დაზარალებული გლეხი, გაიძამუკაშვილი, რომელსაც წელს ადიდებულია ალაზანმა ის მცირედი მიწაც წაართვა, რაც შარშანდელ სტიქიას გადაურჩა.

ძამუკაშვილთან ერთად უმინოდ ვაზისუბნის კიდეც 13 მოსახლე დარჩა. სოფელში, სადაც 2000-მდე ოჯახი ცხოვრობს, გლეხების მთავარ საარსებო წყაროს სიმინდის, ვაზის, ატმის, მარწყვისა და ლობიოს მოყვანა წარმოადგენს. მათ ნაწილს სახნავ-სათესი მიწები ვაზისუბნიდან 12 კილომეტრში, ალაზნის გასწვრივ აქვთ. თუმცა, მიწების უმეტესობა მიტოვებულია – „აბა, რა აზრი აქვს ჩვენს მუშაობას,

წყალი მიწას ალბობს და შლის. ჩვენს ნათესებს ყოველდღიურად რამდენიმე სანტიმეტრი აკლდება“, – ჰყვებიან ადგილობრივები.

ალაზნის სეზონური ადიდება ვაზისუბნელების პრობლემად მას შემდეგ იქცა, რაც მდინარის კალაპოტი გადაადგილდა და წყლის ნაკადმა მიმართულება შეიცვალა. ამის გამო, ბოლო რვა წლის განმავლობაში ვაზისუბნელმა გლეხებმა 15 ჰექტარი ნაკვეთი და ნარგავები დაკარგეს.

„აი, წყალში პატარა კუნძულივით რომ მოჩანს, ეგ ჩვენი მიწების ნაგლეჯებია“, – გვეუბნება ადგილობრივი ზაქრო ღარიბაშვილი და ხელს ნაპირიდან 300-400 მეტრში, შუაგული მდინარისკენ იშვერს, სადაც მიწის პატარა ნაფლეთი მოჩანს, წყალში აქა-იქ ამოჩხერილი გამხმარი ხის ტოტებითა და ქვა-ღორღით. ვინც ამ სურათს ნახავს, ვერაფრით იფიქრებს, რომ ზაქროს და მის მეზობლებს რამდენიმე წლის წინ ვაზი, სიმინდი თუ ატამი ნამდვილად იქ მოჰყავდათ, სადაც ახლა მდინარე მიედინება.

ზუსტად ადიდებული მდინარის ადგილზე, 2010 წლის 16 ივნისამდე ზაქრო ღარიბაშვილს 380 ძირი ატამი ჰქონდა გაშენებული. სწორედ მაშინ, როცა მეოთხე წელიწადს პირველი მოსავალი – მისი ვარაუდით, 15 ტონა ატამი უნდა აეღო, ალაზნამა მიწა წაართვა.

„ატამის მოსაკრეფად ხალხი წამოვიყვანე, მაგრამ აღარც ატამი დამხვდა, აღარც – მიწა, ყველაფერი წყალს მიჰქონდა. ამოდენა მოსავალი და შრომა წყალს გავატანე, ეგ იყო ჩემი ოჯახის იმედი“, – ჰყვება ზაქრო ღარიბაშვილი, რომელმაც 15 ათასი ლარი იზარალა და უკვე წყალნალეული მიწის დასამუშავებლად ბანკიდან აღებულ კრედიტს დღემდე იხდის.

გარემოს დამცველთა თქმით, იმისათვის, რომ ადიდებულმა ალაზნამა მომავალშიც არ წაიღოს მიწები, აუცილებელია, მდინარის გასწვრივ დროულად და ეფექტიანად დამონტაჟდეს სტიქიის შემაკავებელი ჯებირები. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომად-

■ თუ ალაზანი ადიდება და სახნავ-სათეს მიწებს კიდევ 400 მეტრის სიგრძეზე დაფარავს, გურჯაანის წყალმომარაგების ნაგებობაც დაზარალდება.

გენელთა განცხადებით, ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაც სოფელ ვაზისუბანში შარშან ჩატარდა, საკმარისი არ იყო და მდინარე დღემდე უქმნის საფრთხეს არა მხოლოდ გლეხების ნაკვეთებს, არამედ გურჯაანის წყალმომარაგების სათავო ნაგებობასაც.

გურჯაანის გამგეობამ ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად თანხა 8 წლის განმავლობაში პირველად შარშან დეკემბერში გამოყო. 80 ათასი ლარით დამონტაჟდა 750-ტონიანი ჯებირი, რომელსაც, პირველ რიგში, საფრთხისგან წყალმომარაგების სათავო ნაგებობა უნდა დაეცვა. გამგეობაში აცხადებენ, რომ ჯებირმა თავისი ფუნქცია შეასრულა. თუმცა, გარემოს დამცველებთან ერთად, მოსახლეობაც ფიქრობს, რომ პრობლემა მაინც ვერ მოგვარდა.

„რა გავიკეთა იმ ჯებირმა? მიწა ისევ იშლება. რაში გადაყარეს ამდენი ფული? ჩვენთვის მოეცათ ნორმალური კომპენსაცია და საქმეს მივხედავდით“, – ამბობს მარიკა აბაზაშვილი.

ადეკვატურ კომპენსაციას მარიკა და მისი თანასოფლელები შარშანდელი ზაფხულიდან ამოდ ელიან. მათ 2010 წლის ივნისში გაუგზავნეს წერილი გურჯაანის რაიონის გამგეობას და დახმარება თხოვეს. ისინი ითხოვდნენ ალტერნატიული სახნავ-სათესი მიწით დაკმაყოფილებას და თანხას, რომელიც მიწის პირველადი დამუშავებისთვის იქნებოდა საჭირო. თუმცა გამგეობამ მათ სხვა, გაცილებით უფრო შორს მდებარე სოფლებში – შაშინში, მუკუზანსა და კალაურში შესთავაზა ნაკვეთები, გლეხები კი სახლიდან ასე

დამორებულ მიწაზე სამუშაოდ ვერ წავიდნენ.

„საბუთები მოგვამზადებინეს, წყალნალეული ნაკვეთები გაგვაფორმებინეს, მაგაში ცალკე ფული დავხარჯეთ. მერე გვითხრეს, თანხები არ გვაქვსო. ბოლოს, ერთი კვირის წინ განგვიცხადეს, 1 ჰექტარი მიწის შესაძენად 2 ათას 500 ლარს მოგცემთ“, – ამბობს ფიქრია ობოლაშვილი.

თუმცა გლეხები ფიქრობენ, რომ ეს თანხა მიწის შესასყიდად არ ეყოფათ და ითხოვენ, სახელმწიფომ ჰექტარზე 5 ათასი ლარი მაინც გადაუხადოს, რათა მიწის პირველადი დამუშავების ხარჯებიც დაფარონ. მით უმეტეს, რომ ვაზისუბნელებს კარგად ახსოვთ, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე 6 დღით ადრე როგორ დიდსულოვნად დაეხმარა ცენტრალური ხელისუფლება 8 დაზარალებულ ოჯახს – ვისაც სტიქიამ 1 ჰექტარი მიწა წაართვა, 5 ათასი ლარი გადაუხადეს. ჯამში, მათთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 22 750 ლარი გამოყვეს.

წელს კი, ზუსტად იმ დღეებში, როცა ადიდებული მდინარის გამო კიდევ ერთხელ დაზარალებული ვაზისუბნელები გამგეობისგან პასუხს დახმარების შესახებ ამოდ ელოდნენ, სალამოს საინფორმაციო გამოშვებაში ქვეყნის პრეზიდენტისგან მოისმინეს ის, რაც მათი რეალობისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა: „თუ ხელს გაანძრევ და იმუშავებ, ყველაფერი იქნება. კახეთი სანიმუშო რეგიონი უნდა გახდეს. გასაცდენი მიწა ჩვენ არ გვაქვს. მიწების ასი პროცენტი უნდა იყოს დამუშავებული“.

გურჯაანის გამგეობაში გლეხებს პირდაპირ ეუბნებიან, რომ თითო გლეხზე 5 ათასი ლარის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდის საშუალება არ აქვთ.

„გამგეობა ვერ უზრუნველყოფს, იმას, რომ სტიქიური უბედურების შედეგად სრული კომპენსაცია მისცეს ვინმეს. ამ ადამიანების მიმართ ჩვენ ვალდებულება არ გვაქვს, გამგეობის კეთილი ნებაა ის, რომ სარეზერვო ფონდიდან მათ მდგომარეობას ვამსუ-



ფოტო: მარიაა უჩინაშვილი

სოფელ ვაზისუბნის სახნავ-სათესი მიწები, 27 აპრილი 2011

ბუქებთ. დამეწყრილი ზონებისთვისაც ვერ მიუხედავს სახელმწიფოს. თუმცა რითაც შეგვიძლია, ყველას ვეხმარებით. მეტის საშუალება არ გვაქვს“, – ამბობს გურჯაანის გამგებლის მოადგილე, გიორგი პეტროზაშვილი.

თუმცა პეტროზაშვილი აღიარებს იმას, რომ შარშან დამონტაჟებული ჯებირი პრობლემას არ შევლის. ის ვარაუდობს, რომ თუ ალაზანი ადიდდება და სახნავ-სათეს მიწებს კიდევ 400 მეტრის სიგრძეზე დაფარავს, გურჯაანის წყალმომარაგების ნაგებობაც დაზარალდება.

„მოვამზადეთ 300 ათას ლარიანი პროექტი, რომელიც მთავრობას გადავუგზავნეთ დასამტკიცებლად. გვინდა, რომ მდინარის ნაკადს მიმართულეა შევუცვალოთ, თუმცა მხოლოდ ორი ჯებირი საკმარისი არ იქნება. ამიტომ პროექტი ითვალისწინებს კიდევ ერთი

■ ალაზნის სეზონური ადიდება ვაზისუბნელების პრობლემად მას შემდეგ იქცა, რაც მდინარის კალაპოტი გადაადგილდა და წყლის ნაკადმა მიმართულება შეიცვალა. ამის გამო, ბოლო რვა წლის განმავლობაში ვაზისუბნელმა გლეხებმა 15 ჰექტარი ნაკვეთი და ნარგავები დაკარგეს.

მოზრდილი ჯებირის მშენებლობას ალაზანზე“, – ამბობს პეტროზაშვილი.

თუმცა დამატებითი ჯებირების მშენებლობას 2011 წლის ცენტრალური ბიუჯეტი არ ითვალისწინებს. ვიდრე ხელისუფლება პრობლემის მოგვარებას დაიწყებს, ადგილობრივები თავის გატანას მარტო ცდილობენ.

ზაქრო ლარიბაშვილმა ახალი მიწის შესაძენად კიდევ ერთი კრედიტი აიღო. ის ისევე ატმის გამწვანებას აპირებს და ფიქრობს, რომ მეოთხე წელიწადს, პირველივე მოსავლით, ვალებს დაფარავს. „აბა, ჩემს ძველ მიწას რაღას ვუშველი?! გამგეობაში დაცინვით მეუბნებიან – იმ ადგილას, სადაც მიწა გქონდა, რაც კი მდინარე ჩამოდის, სულ შენიაო. რად მინდა, მდინარე პლაჟს ხომ არ გავიკეთებ, თევზაობის უფლებას კი არ მაძლევენ“, – ასე გვიხსნის თავის მდგომარეობას ზაქრო ლარიბაშვილი. **■**



ტურიზმი

მთიდან ზღვაზე

როგორ ემზადება აჭარა ახალი ტურისტული სეზონისთვის?

მანანა ვარდიაშვილი



ფოტო: რაულ კნუბი

ტურიზმის ეროვნული სააგენტო წელს სამთო-სათხილამურო კურორტებზე „ცხელ“ სეზონს წინასწარმეტყველებდა. სააგენტოს პროგნოზი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამართლდა — უჩვეულოდ თბილი ამინდების გამო ზამთრის კურორტებზე თოვლი 20 იანვრის შემდეგ მოვიდა, რის გამოც სათხილამურო პერიოდიც შემცირდა და სამთო-სათხილამურო კურორტებზე ტურისტული ბიზნესის მოცულობაც. ხელისუფლების ბოლო იმედი აჭარა: აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2011 წელს 1 500 000 ვიზიტორს ელოდება და გრანდიოზული ღონისძიებებისთვის ემზადება.

„ტურიზმი არის საშუალება, ყველაზე მოკლე ვადებში გამოვაცოცხლოთ ეკონომიკა საქართველოს ისეთ რეგიონებში, რომლებშიც დღეს უმუშევრობა და დეპრესია დასადგურებული. ამიტომ, სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობით და კერძო სექტორთან ინტენსიური თანამშრომლობით, იქმნება ახალი კურორტები და ვითარდება ტრადიციული ტურისტული კერები. ჩვენი გეგმა ამბიციურია, მაგრამ მას აუცილებლად შევასრულებთ — 2015 წლისთვის საქართველოში წლიური ვიზიტორების რაოდენობა 5 მილიონს მიაღწევს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას.

ხელისუფლება ახალ ტურისტულ ზონებში ინვესტირებისთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნას გეგმავს: ანაკლია-ზუგდიდი და ქობულეთი თავისუფალ ტურისტულ ზონებად გამოცხადდა. კანონის თანახმად, ინვესტიციები, რომლებიც თავისუფალ ტურისტულ ზონებში ჩაიდება, გადასახადებისგან გათავისუფლდება. ის, ვინც სვანეთში სასტუმროს ააშენებს, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მიწას სიმბოლურ ფასად — 1 ლარად მიიღებს. თუმცა, ანაკლიისა და ქობულეთისგან განსხვავებით, გადასახადებისგან არ გათავისუფლდება.

მილიონობით ლარი ხმარდება შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. პრე-

ზიდენტის განცხადებით, წელს ქობულეთში — 20, ხოლო ანაკლიაში 15 ახალი სასტუმრო შენდება. აჭარა ტურისტული სეზონისთვის განსაკუთრებულად ემზადება.


ახალი ტურისტული სეზონის დაწყებამდე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში რეორგანიზაცია გამოცხადდა. დეპარტამენტის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. ამბობენ, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე ტურიზმის დეპარტამენტის მუშაობით უკმაყოფილო იყო.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვაჟა დიასამიძე ამბობს, რომ წელს აჭარა 1,5 მილიონი ტურისტის დასახვედრად ემზადება და ვიზიტორთა გაზრდილი ოდენობის ფონზე დეპარტამენტის მიმართ ახალი მოთხოვნები ჩნდება. ამიტომაც, დეპარტამენტში სამუშაოდ ახალ თანამშრომლებს კონკურსის წესით შეარჩევენ.

2011 წლის ზაფხულისთვის აჭარაში განსაკუთრებულად ემზადებიან. ზღვის სეზონისთვის მზადება პოტენციურ ბაზრებზე აჭარის ტურისტული პროდუქტების რეკლამირებით დაიწყო. სტრატეგიულ ბაზრებზე — სომხეთსა და აზერბაიჯანში სარეკლამო აქტივობა მაისიდან დაიწყო. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ირანს და ისრაელს დაეთმო. ირანის ცენტრალურ სატელიტურ არხზე აჭარის რეკლამა 15 დღის განმავლობაში გადიოდა. ისრაელის წამყვან ტურისტულ კომპანია Eshet-tour-თან კი კონტრაქტი გაფორმდა. კონტრაქტის თანახმად, რეკლამები წამყვან გაზეთებში და ინტერნეტ-საიტებზე უნდა განთავსდეს, ჩატარდეს პრესკონფერენციები და პრეზენტაციები მოეწყოს. სარეკლამო კამპანიის ბიუჯეტი 50 000 აშშ დოლარია.

ამ ძვირადღირებული სარეკლამო კამპანიის ფონზე, 2011 წლის 7 აპრილს ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბმა საქართველო საზიფათო ქვეყნების ჩამონათვალში

შეიყვანა. შტაბი აცხადებს, რომ საქართველოში არსებობს „კონკრეტული საფრთხე“, რომელიც განპირობებულია მისი მჭიდრო კავშირით ირანთან. ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი ისრაელის მოქალაქეებს ურჩევს, რომ თავი შეიკავონ საქართველოში ვიზიტისაგან. ეს განცხადება შესაძლოა, უარყოფითად



აისახოს იმ მასშტაბურ სარეკლამო კამპანიაზე, რომელიც საქართველოს ტურისტული ღირსშესანიშნაობების რეკლამირებისთვის ისრაელში ჩატარდა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვაჟა დიასამიძე ამბობს, რომ 2011 წლის ზაფხული „ლონისძიებებით დატვირთული იქნება“. ივნისში „MTV Georgia live“ არის დაგეგ-

მილი. კონცერტი ახალ ბულვარში ჩატარდება. 3 ივლისს კი პიაცას მოედანზე კონცერტს ცნობილი ბრიტანელი მომღერალი სტინგი გამართავს. სტინგთან ერთად მაყურებლის წინაშე მესაყვირე კრის ბოტი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი წარსდგება. 19-24 ივლისს ბათუმში „Black Sea Jazz Festival-2011“-ს უმასპინძლებს. ზაფხულში დაგეგმილ ღონისძიებათა პროგრამაში შედის

ფოლკლორული, ღვინის და ლუდის ფესტივალების ჩატარებაც. ტურისტული სეზონის გახანგრძლივების მიზნით მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების მოწყობა შემოდგომაზე და ახალი წლისთვისაც იგეგმება.

ივნისიდან ბათუმში ახალი პროექტი – „ბათუმი ველო“ ამოქმედდება. ეს პროექტი ველოტურიზმის განვითარებას და საზოგადოებრივი ველოსისტემის მოწყო-



ფოტო: ირაკლი სოსელია

სიფხავი



2011 წლის პირველ კვარტალში ქვეყანას 486 ათასზე მეტი უცხოელი მოგზაური ესტუმრა. თუმცა, დასვენების მიზნით საქართველოში ვიზიტორების მხოლოდ 32 პროცენტი, ანუ 155 520 ტურისტი ჩამოვიდა.

უცხოელი ტურისტების 47 პროცენტი ღამის გასათევად ნათესავის ბინას, ხოლო 45 პროცენტი სასტუმროებს იყენებს. საქართველოში ისინი საშუალოდ 10 ღამით რჩებიან. უცხოელი მოგზაური ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ 1502 აშშ დოლარს ხარჯავს. ყოველდღიურად საშუალოდ დახარჯული თანხის რაოდენობა კი 337 აშშ დოლარს შეადგენს.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2010 წელს აჭარაში ჩასულ ვიზიტორთა რაოდენობამ 970 ათასს გადააჭარბა.

ვიზიტორთა რაოდენობის 43,1% (125 946 ტურისტი) თურქეთზე მოდის. მეორე ადგილზეა 33%-ით (96 294 ტურისტი) სომხეთი. 17,8%-ით (40 192 ტურისტი) მესამე ადგილზე აზერბაიჯანელია. 2010 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ირანიდან ჩამოსულ ვიზიტორთა რაოდენობაც. გასულ წელს ირანიდან აჭარაში 4 122 ტურისტი ჩამოვიდა, მაშინ, როცა 2009 წელს აჭარაში სულ 229 ირანელმა დაისვენა.

საქართველოში წელს 3 მილიონი ტურისტის ჩამოსვლას ელიან.

ბას გულისხმობს. პროექტის ღირებულება დაახლოებით 200 ათასი ევროა და მის ოპერირებას, სავარაუდოდ, ფრანგული კომპანია Intercycles-ი განახორციელებს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ „ბათუმი ველო“ ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ქალაქში მოძრაობის განვითარებას. დიასამიძე ამბობს, რომ „ბათუმის ველოსისტემა იაფად და უსაფრთხოდ გადაადგილების და ქალაქის დათვალიერების ყველაზე კარგი საშუალება იქნება“.

ქუჩებზე ველოსიპედისტებისთვის განკუთვნილი ბილიკები უკვე დახაზულია. ტრასას პირველი ეტაპისათვის 10 ტერმინალი და 120-მდე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ველოსიპედი მოემსახურება. ველოსისტემით სარგებლობა 24 საათის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. მომხმარებელს საშუალება ექნება, ველოსიპედი ნებისმიერ ტერმინალში დაიქირავოს და შემდეგ ის მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ ტერმინალში დატოვოს. ანგარიშსწორება სპეციალური ბარათების საშუალებით მოხდება. ბარათიდან თანხა გამოყენებული დროის მიხედვით ჩამოიჭრება. თუ პარიზში ველოსიპედის 1 სთ-ით დაქირავება 1 ევრო ღირს, ბათუმში მისი დაქირავება უფრო იაფი იქნება (მომსახურების ფასი ჯერ დადგენილი არ არის). საზოგადოებრივი ველოსისტემა სამომავლოდ ქობულეთის ბოლომდე დაგრძელდება.

ივლისიდან აჭარაში ჩასულ დამსვენებელს საშუალება ექნება სპეციალური ფასდაკლების ბარათით – „სითი კარტით“ ისარგებლოს. ბარათს თან მოჰყვება ბუკლეტი, რომელშიც „სითი კარტის“ სისტემაში ჩართული ტურისტული ობიექტების და მომსახურების ჩამონათვალია. ბარათზე მომხმარებლის პირადი მონაცემები შევა. „სითი კარტის“ მეშვეობით ტურისტი ბუკლეტში შეტანილ ტურისტულ ობიექტებსა და პროდუქტზე ფასდაკლებას, ან უფასო მომსახურებას მიიღებს.

„სითი კარტის“ მფლობელი უფასოდ შევა მუზეუმებში, გონიოს ციხეში, ბოტანიკურ ბაღში. ამ სისტემაში ჩართულ

რესტორნების ქსელში 15-პროცენტის ფასდაკლებით ისარგებლებს. ბარათის მფლობელები ფასდაკლებით ისარგებლებენ გარკვეულ სასტუმროებშიც. დამსვენებელი ბუკლეტის მეშვეობით აჭარის ღირსშესანიშნაობების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს. ეს ბუკლეტში შეტანილი ობიექტებისთვის ერთგვარი რეკლამა იქნება. დამსვენებელი თავისუფალ დროს დაათვალიერებს ბუკლეტს და შეიძლება ის ობიექტიც მოინახულოს, რომლის შესახებ მანამდე არაფერი იცოდა, უფასო მომსახურების გამო კი მუზეუმებსაც ეწვიოს. ამ პროექტით ბათუმში ევროპული ტიპის სერვისი შემოგვაქვს. ამ სერვისის დაწერვა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და ჩვენი ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას“, – ამბობს დიასამიძე.

„სითი კარტის“ მომსახურებაში მინიმალური სადაზღვევო პაკეტიც შევა. სადაზღვევო კომპანია „იმედი L“ დამსვენებელს 10-ლარიან სადაზღვევო პაკეტს შესთავაზებს. ბარათის მფლობელები ფასდაკლებას გარკვეულ მედიკამენტებზეც მიიღებენ.

ბარათის შექმნა შესაძლებელი იქნება სარფის გამშვებ პუნქტთან, აეროპორტში და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში. საინფორმაციო ბუკლეტში შევა იმ ობიექტების ნუსხა, რომლებიც ამ აქციაში მონაწილეობენ, ასევე მათი მხრიდან დამსვენებლებისთვის შეთავაზებული ფასდაკლების ზუსტი ოდენობაც. ბარათის სავარაუდო ფასი 30-40 ლარია, სარგებლობის ვადა კი – 10 დღე.

ახლა ბათუმი ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონს ჰგავს. აქ მუშაობა არც დასვენების დღეებში წყდება და არც უამინდობისას. ძველ ბათუმში ქვაფენილს აგებენ და ღამის განათება მონტაჟდება. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვაჟა დიასამიძე პირობას დებს, რომ „წელს ბათუმი ტურისტებისთვის გაცილებით კომფორტული იქნება. ძველი ბათუმის რეაბილიტაცია თითქმის დასრულებულია. გადაადგილების პრობლემა და ის დისკომფორტი, რაც შარშან იყო, აღარ იქნება“. ■



ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

ენო ბაქიშვილის ბლოგი
„მცირადი შიშვლომაგი“
თუ „გაოგნეაზული“
სტრასპურგის
სასამართლო


არაფერს ვიტყვი ახალს, თუ დაგნერ, რომ უკვე კარგა ხანია, ნაციონალური ტელემაუნყებლები ინფორმაციას ხელისუფლების სასარგებლოდ ფილტრავენ. ის თემები, რაც საზოგადოებისთვის შეიძლება ყველაზე მეტად მტკივნეული და საინტერესო იყოს, ხშირად მათი ყურადღების მიღმა რჩება ან ცალმხრივად და ფრაგმენტულად შუქდება.



ენო ლომაძის ბლოგი
შნგრული სიბოლოოები

– მუზეუმი ორმაბათობით დაკეტულია, – მეუბნება დაცვის თავაზიანი თანამშრომელი, როდესაც ამჩნევს როგორ ვეჯაჯგურები „ტერორის სახლის“ მასიური კარის სახელურს და იქვე გაკრული განრიგისკენ მიმითითებს, – თუ ტერორის ისტორიის დათვალიერება გინდათ, სხვა დღეებში გამოიარეთ.

მულტიმედია
გიგო ბაბაშვილის
ფოტო-გამოფენა



ბასა ჯანიკაშვილის ბლოგი
გამოგონილი ინტარკვიუ
იუსტიციის მინისტრის
მოადგილასთან, თინა
ბურჯალიანთან

ბასა ჯანიკაშვილი – ქალბატონო თინა, გილოცავთ!

თინა ბურჯალიანი – რას მილოცავთ, ბატონო ბასა?

ბ.ჯ. – მინისტრის პორტფელს.

თ.ბ. – ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მე მხოლოდ მინისტრის მოადგილე ვარ.

ბ.ჯ. – ნუ ლეღავთ, თქვენ ისე გულმოდგინეთ გააანალიზეთ ევროპის სასამართლოს გადწყვეტილება, რომ მინისტრობა არ აცდებთ.

თ.ბ. – უი, გმადლობთ. მე დიდი ხანია მინისტრობა მინდა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. მინისტრობა დიდი პასუხისმგებლობაა და რადაც არ უნდა დამიჯდეს, მე ამას მივალწევ.




თამარ ალავერდიის ბლოგი
SIZE 0

გემრიელი საკვები 0%-იანი ცხიმით – კარგია.

სესხი 0%-იანი საპროცენტო განაკვეთით – კიდევ უკეთესი. და სამოსი, წარწერით ეტიკეტზე – SIZE 0? პირველწყაროდ ვერ გამოვდგები, ამ ზომის სამოსი არასდროს შემიძენია – ძირითადად 4-6-ის პერიმეტრში ვმოძრაობ. მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი – „ნულოვანი კატეგორიის“ მოდელების სილამაზის იდეალად წარმოჩენა ჯანსაღი აზრი ნამდვილად არ არის. და ამ პოზიციაზე მართო არ ვარ.

მულტიმედია
სტუდენტური პროტესტი
ხალხის აზრი



ოჯახი

მხოლოდ შენ! და შენ! და შენ!

მსოფლიოში ახალი სექსუალური რევოლუცია იწყება. პირადი ურთიერთობების არასტანდარტული ფორმის – პოლიამორიის მიმდევრები სულ უფრო მეტნი არიან. პოლიამორია ერთზე მეტი პარტნიორის ყოლას გულისხმობს, თანაც ისე, რომ ერთმანეთის შესახებ ყველა პარტნიორმა იცის.

ეკა ჭითანავა

ქალ A-ს შეუყვარდება კაცი B. წყვილი ძალიან ბედნიერია და ყველაფერი გადასარევეად აქვთ, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ სუსხიან დილას, პარკში ძაღლის გასეირნების დროს, ბატონი B ახალგაზრდა ქალს C-ს არ გადაეყვარება. ეს ქალი მას თავბრუს ახვევს და შეუყვარდება. ნაცვლად იმისა, რომ პარტნიორს ეჭვიანობის სცენები მოუწყოს ან მეტოქე თმებით ითრიოს, ქალბატონი A სახლში წვეულებას აწყობს, სადაც ეპატიჟება თავის ბოიფრენდს B-ს, მის ახალ სიყვარულს C-ს და კიდევ ერთ ძალზე სიმპათიურ ახალგაზრდა მამაკაცს D-ს, რომელიც გასულ თვეს მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო და მას შემდეგ გულში ჩაუვარდა. იმ საღამოს ოთხივენი კარგ დროს ატარებენ, ერთმანეთი ძალიან მოეწონებათ და გადანწყვეტენ, სასიყვარულო ურთიერთობები ერთად გააგრძელონ. ამასთან ინტიმურ კავშირს ერთმანეთთან C და D-ც გააბამენ, ხოლო A და B კი არ შორდებიან, არამედ უფრო მეტად უყვარდებათ ერთმანეთი. ოთხივენი ბედნიერად და ჰარმონიულად ცხოვრობენ. ფქვილი აქა, ქატო – იქა.

დაიბენით? შესაძლოა, ბევრისთვის ეს მართლაც უმაღლესი მათემატიკაა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ტრადიციული ჩარჩოებისა და სიყვარულის ექსკლუზიურობის მოთხოვნის გარეშე ურთიერთობის ფორმას, რომელსაც მეცნიერები პოლიამორიას, ანუ „მრავალსიყვარულიანობას“ უწოდებენ.

პოლიამორია სიყვარულზე ეთიკური



შეხედულებების სისტემა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს რამდენიმე სასიყვარულო პარტნიორის ერთდროულად ყოლას, თუმცა მთავარი აქ ის არის, რომ ამის შესახებ ყველა პარტნიორმა იცის და პრობლემა არ აქვს.

A, B, C და D-ს ისტორია პოლიამორიული კავშირის კლასიკური სქემაა. თუმცა არსებობს „მრავალსიყვარულიანობის“ სხვადასხვა ფორმა და „პოლიამორისტებიც“ განსხვავდებიან

ერთმანეთისგან. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა დიდი ხნის პარტნიორები ან ცოლ-ქმარი ერთმანეთს უფლებას აძლევენ, სექსობრივი კავშირი სხვა ადამიანებთანაც ჰქონდეთ. პოლიამორიის მომხრეები ამბობენ, რომ ხშირად მათ ცხოვრებაში ახალი პარტნიორის გამოჩენა ვიტამინივითაა, რომელიც ურთიერთობას უფრო ჯანსაღს და მრავალფეროვანს ხდის.

„მე ახლა ორი პარტნიორი მყავს,

რომლებთანაც პერიოდულად მაქვს სექსი. ჩვენ, პირველ რიგში, მეგობრები ვართ. ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობენ, თუმცა ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იციან. ამავე დროს, მე საერთოდ მესამე ადამიანი მიყვარს, რომელთანაც თეორიულად ვერაფერი მექნება, რადგან საზღვარგარეთ არის და დაოჯახებულია,“ – ჰყვება 26 წლის ნატალი, რომელიც თბილისში ცხოვრობს.

„ჩემს პარტნიორებთან დაახლოებით ასეთი ურთიერთობა მაქვს, – განაგრძობს იგი – მაგალითად, ვეუბნები ერთ მეგობარს: „გუშინ მქონდა სექსი „იმასთან“. ჩემი მეგობარი მპასუხობს – „კარგია, გილოცავ!“ – ყველანაირი ეჭვიანობისა და ისტერიკის გარეშე. ჩემი პარტნიორებიდან ერთს ცოლი ჰყავს. მეორე გამუდმებით რაღაცის ძიებაშია. ზოგჯერ ჰყავს გოგოები, თუმცა ძალიან იშვიათად. დაქორწინებულს კი, ჩემს გარდა, ზოგჯერ სხვასთანაც აქვს ურთიერთობა“.

ნატალის თქმით, ასეთი ურთიერთობის უპირატესობა იმაშია, რომ ამ სასიყვარულო ურთიერთობების არცერთ წევრს ეგოისტური გრძნობები არ ანუხებს. „ერთს 10 წელია ვიცნობ, მას ერთ დროს „სხვანაირადაც“ ვუყვარდი, ერთმანეთს ვხვდებოდით, იყო ეჭვიანობაც და წყენაც. ახლა კი კარგი მეგობრები ვართ. მეორეს დიდი ხანი არაა, რაც ვიცნობ, მაგრამ იგივენაირი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ ყველაფერ ამაზე ვსაუბრობთ, განვიხილავთ და ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. ჩემი აზრით, მტკიცება იმისა, რომ ადამიანი მონოგამიურია ან პოლიგამიური, არასწორია. არიან ერთნიც და მეორენიც, და ეს ნორმალურია“.

ნატალი თავის ურთიერთობას მეგობრებს არ უმალავს, და ისინი მას ამისთვის არ აკრიტიკებენ. თუმცა, სხვა ამბავია, როგორ აღიქვამენ მისი ცხოვრების წესს უცნობი ადამიანები. „დარწმუნებული ვარ, ვერ გამიგებენ, და მაშინვე მსუბუქი ყოფაქცევის ქალის იარლიყს მომაკერებენ. ამიტომ ჩვენ ურთიერთობას აფიშირებას არ ვუკეთებთ“, – ამბობს იგი.

ერთდროულად ერთზე მეტი პარტ-



ილუსტრაცია: რუსლან ბაჩიძე

ნიორის ყოლის პრაქტიკა კაცობრიობის დასაბამიდან არსებობს. თუმცა პოლიამორია, როგორც სოციალური ფენომენი, უფრო გვიან ჩამოყალიბდა. 1848 წელს ნიუ-იორკში თეოლოგმა ჯონ ჰამფრი ნოისიმ შექმნა უტოპიური ონეიდას კომუნა. ნოისი სქესთა შორის თანასწორობასა და პრინციპს – „ნებისმიერი მამაკაცი – ნებისმიერი ქალის ქმარია“ ქადაგებდა. მას სჯეროდა, რომ „კომუნალური“ ცხოვრების წესს ქალსა და მამაკაცს შორის კონფლიქტების მოგვარება და ურთიერთობისთვის ჰარმონიული გარემოს შექმნა შეეძლო. ამ კომუნაში ორივე სქესის წარმომადგენლებს მმართველობის თანაბარი უფლებები ჰქონდათ.

თუმცა მოდა პოლიამორიაზე გასული საუკუნის 60-70 წლებში დაიწყო, თავად ტერმინი კი 90-იან წლებში გაჩნდა. 2006 წელს მისი განმარტება ვებსტერისა და ოქსფორდის ლექსიკონებშიც შეიტანეს. პოლიამორიაზე კიდევ ერთხელ მას შემდეგაც განახლდა მსჯელობა, რაც საფრანგეთის პირველმა ლედიმ, კარლა ბრუნიმ საჯაროდ განაცხადა,

რომ „გახსნილი“, „ღია“ ურთიერთობების მომხრეა. ბრუნი თავის ადრინდელ ინტერვიუებში აღიარებდა, რომ პოლიამორიულ ურთიერთობებში თავს უფრო კომფორტულად გრძნობდა.

პოლიამორისტები ამბობენ, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო პოლიგამიასთან, რადგან მათი ურთიერთობები გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული, პოლიგამია კი ტრადიციული გაგებით, მრავალცოლიანობას ნიშნავს.

სიყვარულის ამ ფორმისადმი ლტოლვას პოლიამორისტები იმით ხსნიან, რომ ნებისმიერ ადამიანს ურთიერთობისას შეიძლება გაუჩნდეს კითხვა – „შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს ჩემი ყველა მოთხოვნილებისა და ინტერესის დაკმაყოფილება? ადამიანი სავსეა კომპლექსებით და ეს კომპლექსები ხელს უშლის მას, რეალურად გამოხატოს გრძნობები“. პოლიამორისტები ფიქრობენ, რომ მონოგამიური სამყარო ერთხელაც მივა იმ დასკვნამდე, რომ სიყვარულისა და თანაცხოვრების ბევრად მეტი საშუალება და ფორმა არსებობს.

ესთერ პერელი, ავტორი ნიგნისა *Mating in Captivity*, ამბობს: „მესამის არსებობა უბრალოდ გარდაუვალია, თუ როგორ გავუმკლავდებით ამას, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. შეიძლება შიშმა შეგვიპყროს და თავი ავარიდოთ ურთიერთობას. ან შეგვიძლია იგი გარდავსახოთ ცნობისმოყვარეობასა და ინტრიგის გრძნობაში... მესამის აღიარება ნიშნავს პარტნიორის სხვასთან გაყოფას. გამოდის რომ ადამიანის სექსუალობა, სხეული ჩვენ არ გვეკუთვნის. და ეს მართლაც ასეა.“

პოლიამორიის ერთ-ერთი ფორმა – პოლი-ოჯახი, მინიმუმ, სამი წევრისგან შედგება. ყველა წევრს შორის მტკიცე ემოციური, სექსუალური და სოციალური კავშირია. ისინი ერთმანეთზე ზრუნავენ და მეგობრულად ცხოვრობენ ცალ-ცალკე ან ერთ ჭერქვეშაც კი.

ტერეზა და მისი ბოიფრენდი მეთი, სიეტლის ერთ-ერთ ღია რესტორანში ჭარხლის კარპაჩოს მიირთმევენ და მზეს ეფიცებიან. მეთს ტერეზას ხელი უჭირავს, ამ დროს 6 წლის ბიჭი მათ შორის ძვრება, რომ ტერეზას ლოყაზე აკოცოს. ბავშვის დედა – ვერა იქვეა. იგი უყურებს შვილს და ელიმება. ვერასთან ერთადაა მისი ბოიფრენდი ლარიც, რომელიც ასევე ტერეზას ბოიფრენდიცაა, ისევე როგორც მეთია ამავდროულად ვერას ბოიფრენდი. ტერეზას და მისი მეგობრების პოლიამორიულ სიყვარულსა და ცხოვრების დეტალებს ვრცელ სტატიას უძღვნის ჟურნალი „ნიუსვიკი“.

ამ პოლიამორიულ ჯგუფში ყველა პეტეროსექსუალია. „მე მიყვარს მრავალფეროვნება, ასე იმიტომ ვცხოვრობ, რომ, უბრალოდ, მომწყინდა,“ – ამბობს 41 წლის მსახიობი და კინორეჟისორი ტერეზა.

პოლიამორიის მხარდამჭერების რიცხვი მთელ მსოფლიოში სულ უფრო მატულობს. მკვლევართა შეფასებით, აშშ-ში ნახევარ მილიონზე მეტი ღიად პოლიამორიული ოჯახი ცხოვრობს. გასულ წელს რამდენიმე ნიგნი გამოვიდა, რომელთა ავტორები ცდილობენ „პოლის“ ფენომენი და მისი მხარედი პოპულარობა ამოხსნან. პოლიამორისტების

■ პოლიამორისტებისთვის ურთიერთობის მთავარი

უპირატესობა ასე ფორმულირდება: „ღალატის სჯობს

თუ გულწრფელობა? რატომ უნდა გავექცეთ იმას, რაც ბუნებრივია?“

პოლიამორიის სიმბოლო



პოლიამორისტების ერთ-ერთი გავრცელებული სიმბოლოა „პოლი სიამაყის დროშა“, რომელიც ლურჯი, წითელი და შავი პორიზონტალური

ზოლებისგან შედგება. ლურჯი ზოლი განასახიერებს ღიაობას და პატიოსნებას პარტნიორების მიმართ. წითელი – სიყვარულსა და ვნებას. ხოლო შავი – სოლიდარობას იმ ადამიანების მიმართ, ვინც იძულებულია საზოგადოებრივი წნეხის გამო, თა—ვისი ურთიერთობა დამალოს. დროშის ცენტრში

ოქროსფრად დახატულია ბერძნული ასო (π), რომელზეც სიტყვა პოლიამორია იწყება. ოქროსფერი სიმბოლურად გამოხატავს მათ ღირებულებებს. როგორც პოლიამორისტები აცხადებენ, ისინი ასეთი ურთიერთობის ფორმას არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ემოციური სიახლოვის გამო ირჩევენ.

ინტერნეტ-ჟურნალს Loving More 15 ათასი რეგულარული მკითხველი ჰყავს.

პოლიამორისტები არ ცდილობენ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას. ისინი ხუმრობით ამბობენ, მათი მრავალფეროვანი პირადი ცხოვრება პოლიტიკისთვის დროს არ ტოვებს. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ადრე თუ გვიან მათ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა მოუწევთ, რადგან, მაგალითად, რელიგიური ფუნდამენტალისტები აშშ-ში უკვე საჯაროდ კიცხავენ პოლიამორიას და მას გარყვნილებას უწოდებენ.

ერთსქესიანი ქორწინების მომხრეები, თავის მხრივ, ცდილობენ დისტანცირდნენ პოლიამორიისგან, რათა თავიანთ მონინალმდებლებს კრიტიკისთვის ზედმეტი არგუმენტი არ გაუჩინონ. პოლიამორიას ადამიანი შეგნებულად ირჩევს, პომოსექსუალური ორიენტაციით კი იბადება, თავს იმართლებენ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები.

პოლიამორისტებს კანონის კუთხითაც ბევრი პრობლემა ექმნებათ. „მრავალსიყვარულიანობით“ ტკობა, შვილზე მეურვეობის უფლების ჩამორთმევიანაც კი შეიძლება დასრულდეს. მაგალითად, 1999 წელს ტენესის შტატის მცხოვრებ 22 წლის ქალბატონს საკუთარი შვილის აღზრდის უფლება ჩამოერთვა მას შემდეგ, რაც MTV-ს ეთერში თავისი პოლიამორიული ცხოვრების შესახებ მოჰყვა.

ბავშვებზე უარყოფითი ზეგავლენა სწორედ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია, რასაც პოლიამორისტების წინააღმდეგ იყენებენ. თუმცა იმის გამო, რომ ჯერ არც ერთი სერიოზული სოციოლოგიური კვლევა არ დასრულებულა, იმის მტკიცება რომ ბავშვები ასეთ ოჯახში აღზრდისგან ფსიქოლოგიურ სტრესს იღებენ, მეცნიერულად დასაბუთებული არაა.

მიუხედავად ამისა, პოლიამორისტების საზოგადოების ვებ-საიტზე წერია: „თუ თქვენს პოლი-ოჯახში გყავთ შვილები, ნუ დააყენებთ ნურც ბავშვებს და ნურც ოჯახს რისკის წინაშე, და ნუ გაასაჯაროებთ თქვენს ურთიერთობას პრესის საშუალებით.“

თავისუფალი სიყვარული



ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ „სვინგერობა“ ამერიკაში პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს საჰაერო ძალების პილოტებსა და მათ ცოლებს შორის დაიწყო. ამ მოსაზრების მომხრეებს არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ მეუღლის დაღუპვის შემთხვევაში მეგობარი თავს ვალდებულად თვლიდა, ქვრივზე ეზრუნა. „თავისუფალი სიყვარულის“ იდეა კი პოპულარული პირველად 1960-იან წლებში გახდა, როცა ეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ბობი, კაროლი, ტედი და ელისი“. ფილმში სასიყვარულო ოთხკუთხედის თავბრუდამხვევი ისტორიაა აღწერილი. პოლიამორისტები თავიანთ თავს ტიპური სვინგერებისგან განასხვავებენ. სვინგერებს ზოგჯერ „ცოლების გამცვლელებსაც“ უწოდებენ. პოლიამორისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ სვინგერობისგან განსხვავებით, პოლიამორიაში სექსი არაა მთავარი და ისინი აქცენტს უფრო მეგობრულ ურთიერთობაზე აკეთებენ.

პოლიამორისტებისთვის ურთიერთობის მთავარი უპირატესობა ასე ფორმულირდება: „ღალატს სჯობს თუ გულწრფელობა? რატომ უნდა გავექცეთ იმას, რაც ბუნებრივია?“

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ პოლიამორია ხშირად ეჭვიანობას სულაც არ გამოიწვევს. იმ საზოგადოებაში, სადაც მონოგამია სოციალურ ნორმადაა აღიარებული, ეჭვიანობა პოლიამორიული ურთიერთობების დასაწყისში

ბუნებრივად ჩნდება.

თუკი ზოგიერთ შემთხვევაში პოლიამორია სტრესს ამცირებს, ხშირად პირიქითაც ხდება. დაბნეულობამ, შინაგანმა დაძაბულობამ ან სოციალურმა ფაქტორებმა შეიძლება ადამიანი იმაზე მეტად ააფორიაცოს, ვიდრე ასეთი ურთიერთობების დაწყებამდე იყო.

დროის მენეჯმენტი პოლიამორისტებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. განსაკუთრებით მრავალწევრიან ჯგუფში ყველამ თავი სასურველად და სრულფასოვნად რომ იგრძნოს, დრო სათითაოდ უნდა გაუნაწილონ ერთმანეთს. ეს კი თანამედროვე სამყაროში არცთუ ისე ადვილია.

„დააკმაყოფილო ყველა პარტნიორის მოთხოვნილება, იზრუნო შვილებზე, იმაზე, რომ ამ ურთიერთობისას არავინ დაზიანდეს – მე ხშირად ამას პოლიამორიას კი არა „პოლიაგონიას“ ვუწოდებ,“ – ამბობს ინდოეთში კისნის უნივერსიტეტის მკვლევარი ჰასლამი, რომელიც თვითონაც პოლიამორისტია. „ზოგისთვის ეს გადასარევად მუშაობს, ზოგისთვის კი უბრალოდ კატასტროფა“.

სოციოლოგები უკვე აღიარებენ, რომ ოჯახურ და ინტიმურ ურთიერთობებში ახალი ტენდენციების ერა დადგა. ისინი ახალი სექსუალური რევოლუციის მოლოდინში არიან. მეცნიერები ბევრს საუბრობენ ოჯახის ინსტიტუტის კრიზისზე და სწორედ ამ კრიზისს ბრალდება სასიყვარულო ურთიერთობების ახალი ფორმების გაჩენაც. მტკიცებულებად სოციოლოგებს დანგრეული ოჯახების სტატისტიკა მოჰყავთ, რომელიც წლიდან წლამდე მთელ მსოფლიოში კატასტროფულად იზრდება.

ზოგიერთი მეცნიერი იმასაც არ გამოიციხავს, რომ დროთა განმავლობაში პოლიამორია, შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობების ერთადერთ ფორმად ჩამოყალიბდეს.

თუმცა, ფსიქოლოგების ნაწილი ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში, ადამიანებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ძალიან ზარმაცები ვართ და ერთ ადამიანთან სრულფასოვანი ურთიერთობების აწყობა არ შეგვიძლია. **□**

ოჯახი

ხონსხაქბი, ძვირფასო, ხონსხაქბი!

საქორწინო კონტრაქტი – უხერხული შეთავაზება თუ პრაგმატული ნაბიჯი ურთიერთობის გადასარჩენად?

ნინო ნატროშვილი

ღვინის ჭიქები, 6 ცალი – მზითვი
ლარნაკი ანგელოზებით – მზითვი
ბროლის ჭალი – მულის საჩუქარი
ქორწილში
მაგიდის გადასაფარებლები – დის საჩუქარი

ეს იმ ნივთების არასრული სიაა, რომელთა გასაყოფად განქორწინების მსურველმა წყვილმა სასამართლოს მიმართა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წელს განქორწინების 243 საქმე განიხილა. ქონების გაყოფისას წყვილი ყველა ნივთზე ცალ-ცალკე დავობს. ხშირად, საცხოვრებელ სახლზე სარჩელის განხილვის დასრულების შემდეგ, ყოფილი მეუღლეები ახალ განაცხადს აგარაკის გაყოფაზე წარადგენენ, მომდევნო დავის საგანი კი უკვე მანქანა, სამკაულები ან სხვა ნივთია. თბილისის საქალაქო სასამართლოში ისეთი შემთხვევებიც ახსოვთ, როცა ცოლ-ქმარს შორის სადავო ნივთებს შორის საქორწინო კაბა და ის ლეიბი მოხვდა, რომელზეც მათ ერთ დროს ტკბილად ეძინათ.

ბევრ ჩვენგანს ჰგონია, რომ განქორწინებამდე საქმე არასოდეს მივა და, გაყრის შემთხვევაშიც კი, ქონებრივი პრეტენზიები ახალშერთულ მეუღლეს არასოდეს ექნება და საკითხი უმტკივნეულოდ მოგვარდება. სინამდვილეში კი, განქორწინებათა უმრავლესობა კონფლიქტით, მათი ნაწილი კი ხმაურიანი სასამართლო პროცესითაც კი გრძელდება.

არადა, ამ უსიამოვნო პროცედურის თავიდან აცილება ერთი მარტივი დოკუმენტით – საქორწინო კონტრაქტით არის შესაძლებელი.

საქორწინო კონტრაქტს, რომელიც

მეუღლეთა შორის ურთიერთობების დარეგულირების ყველაზე თანამედროვე საშუალებად ითვლება, დიდი ისტორია აქვს – მსგავს შეთანხმებას ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში აფორმებდნენ. დოკუმენტში მომავალი მეუღლეები ქონებრივ ურთიერთობებს აღწერდნენ და მომავალი ერთობლივი ქონების მემკვიდრეობის საკითხებსაც განიხილავდნენ. ქრისტიანობის გაძლიერების შემდეგ კი მეუღლეებს შორის კავშირის მთლიანად ეკლესია არეგულირებდა.

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის აღდგენა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში, ბრიტანეთში, გერმანიასა და ავსტრიაში დაიწყო. 1882 წელს ინგლისის პარლამენტმა გათხოვილი ქალების საკუთრების შესახებ სპეციალური კანონი მიიღო, რითაც ქალს უფლება მიეცა თავის საკუთრებასთან დაკავშირებით შეთანხმება გაეფორმებინა, ან იგი მემკვიდრეობით, საკუთარი სურვილის მიხედვით გადაეცა. სამოქალაქო ქორწინების შემოღებასთან ერთად, საქორწინო ხელშეკრულება ევროპის ქვეყნებში იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად იქცა.

თანამედროვე კონტრაქტებში მეუღლეები, ქონებრივთან ერთად, ზოგად უფლებებსა და მოვალეობებსაც დეტალურად აღწერენ ხოლმე. ამ მოდის ფუძემდებლებად ამერიკელები ითვლებიან. დღეს ამერიკულ საქორწინო კონტრაქტებით ისეთ შეთანხმებასაც შეხვდებით, როგორცაა როდის, რამდენჯერ, რა პოზაში და რა ფერის თეთრეულში უნდა დაკავდეს ცოლ-ქმარი სექსით, რამდენი უნდა იყოს სექსუალური აქტის ხანგრძლივობა, კვირაში რამდენჯერ

უნდა დარეცხოს ქმარმა ჭურჭელი, რა სასაჯელი ელოდებოდა მეუღლეებს ლალატის შემთხვევაში და სხვა. კონტრაქტები აკრძალვებსაც შეიცავს. მაგალითად, ცოლებს ეკრძალებათ სექსზე უარის თქმა, წონაში მომატება და 60 კილოს გადაჭარბება. ქმრებს ამავე დოკუმენტით ზედმეტი ალკოჰოლის მიღება, მონევა და არასპორტული ცხოვრება ეკრძალებათ. იყო შემთხვევა, როდესაც ქალი მომავალ მეუღლეს კონტრაქტით ფრანგული ენის შესწავლას აიძულებდა.

ამერიკაში, კანადასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კონტრაქტი ქორწინების განუყოფელი ატრიბუტია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ წყვილები მდიდარი ან ცნობილი ადამიანები არიან.

საუკუნის გარიგება – ასე უწოდეს ჟურნალისტებმა კონტრაქტს, რომელიც ჟაკლინ კენედისა და ბერძენ მაგნატს არისტოკრატულ ონასისს შორის გაფორმდა. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ჟაკლინს ავალდებულებდა, ყველა კათოლიკური დღესასწაული და საზაფხულო შვებულება ქმართან ერთად გაეტარებინა. როგორც ყვითელი პრესა წერდა, ჟაკლინმა აღნიშნული პუნქტის სანაცვლოდ ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებისგან თავი დაიძვრინა, საქორწინო ცერემონიალის დასრულებისთანავე 3 მილიონი დოლარი მიიღო, დამატებით თითო-თითო მილიონი კი მისი შვილების ანგარიშზე ჩაირიცხა. ხელშეკრულების მიხედვით, მეუღლის სიკვდილის ან განქორწინების შემთხვევაში, ჟაკლინი ყოველწლიურად 200 ათას დოლარს მიიღებდა.

კინოვარსკვლავმა ჯეინ ფონდამ და მედიამაგნატმა ტედ ტერნერმა დაქორწინებამდე 107-გვერდიანი კონტრაქტი გააფორმეს. ტერნერმა მეუღლისგან

სამზარეულოში ფუსფუსი მოითხოვა: ფონდას ქმრისთვის კვირაში ორჯერ მისი საყვარელი კერძი უნდა მოემზადებინა.

დასტინ ჰოფმანს მეუღლემ ლაიზა ჰოტზეგენმა კონტრაქტით არათუ ერთი კვირის სტრატეგიაში გადაღება, ფილმში პარტნიორი მსახიობი ქალების კოცნაც კი აუკრძალა.

ჰოლივუდის სამაგალითო წყვილის მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა ჯონსის ხელშეკრულებით, თუკი ოდესმე კეტრინს მეუღლე უღალატებს, იგი 5 მილიონ დოლარს მიიღებს, გაყრის შემთხვევაში კი დუგლასი ცოლს მასთან გატარებული ყოველი წლისთვის მილიონ დოლარს გადაუხდის. თუმცა მსახიობმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ასაკით ბევრად უმცროს მეუღლეს შესაძლოა ოდესმე მასთან ცხოვრება მოზეზრდეს, ამიტომ კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტით, თუ განქორწინება კეტრინის ინიციატივით მოხდება, იგი მხოლოდ მინიმალური თანხის მიღებას შეძლებს.

ჟურნალისტებს განსაკუთრებით დაამახსოვრდათ მადონასა და გაი რიჩის კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, რეჟისორს მეუღლის სულიერი და ემოციური ცხოვრების გამდიდრებაზე უნდა ეზრუნა, კაბალისტური ტექსტები მასთან ერთად ეკითხა და პრობლემების გადაჭრის კონსტრუქციული გზებიც მოეძებნა. ბრიტანული პრესა წყვილის ერთად ყოფნის დროს წერდა, რომ კონტრაქტში ის სიტყვებიც კი იყო გათვალისწინებული, რომელიც გაის მეუღლესთან კამათის დროს უნდა ეთქვა: „შეინარჩუნე სიმშვიდე და თქვი: მესმის, რომ ჩემმა საქციელმა გაგალიზიანა, მოდი, ეს პრობლემა ერთად გადავწყვიტოთ“.

ამას გარდა, გაის აუცილებლად უნდა გამოეყო გარკვეული დრო სექსუალური ცხოვრების გამდიდრებისთვის. პრესა წერდა, რომ მადონამ საქორწინო ხელშეკრულება ნიუ-იორკის ბინაში თვალსაჩინო ადგილას დაკიდა და როდესაც მეუღლეებს ურთიერთობა ეძაბებოდათ, მომღერალი აუღელვებლად იმეორებდა ფრაზას: „კონტრაქტი, ძვირფასო, კონტრაქტი!“

ხელშეკრულება გააფორმეს პრინცმა უილიამმა და მისმა საცოლემ ქეთით მიდლტონმა. ცნობილია, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი ბრიტანულმა კომპანიამ – Spears-მა მოამზადა, თუმცა სამეფო კარი მათ პირობებს მკაცრად ასაიდუმლოებს. ცნობილი ერთია – თუკი ქეთით მიდლტონი კონტრაქტის დე-

ტალებს ოდესმე გაამხელს, სოლიდურ ჯარიმას გადაიხდის. ხელშეკრულებაში ეს საკითხი ცალკე პუნქტადაა შესული.

საქართველოს კანონმდებლობით, საქორწინო ხელშეკრულება პირადი ურთიერთობების რეგულირებას არ ითვალისწინებს. იგი მხოლოდ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს აწესრიგებს.

ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება კონტრაქტის გარდა სამოქალაქო კოდექსითაც რეგულირდება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე მუშაობდა და შეჰქონდა ოჯახში ფული, თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება მაინც ერთობლივად ითვლება. ხოლო ერთობლივი ქონება განქორწინების შემთხვევაში, მეუღლეებს შორის თანაბრად იყოფა.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს საშუალება ეძლევათ, კანონით დადგენილი ეს წესი საკუთარი სურვილისამებრ შეცვალონ. კონტრაქტის დადება შეიძლება როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მის შემდეგ, ნებისმიერ დროს, როგორც არსებულ, ისე შექმნილ ქონებაზე. საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

იგი შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

საქორწინო კონტრაქტის გაფორმება ადვილი პროცედურაა – მხოლოდ პირადობის მოწმობა და ნოტარიუსთან მისვლაა საჭირო. მოწმის მიყვანა აუცილებელი არ არის. მომსახურების საფასური საქართველოში 60 ლარიდან იწყება და იმ ქონების მიხედვით ფასდება, რომელიც მეუღლეებს აქვთ გადასანაწილებელი.



■ მომსახურების საფასური საქართველოში 60 ლარიდან იწყება და იმ ქონების მიხედვით ფასდება, რომელიც მეუღლეებს აქვთ გადასანაწილებელი.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საქონლით კონტრაქტს ბევრი არ მიმართავს. ბოლო სამი წლის მონაცემებით, სულ 23 საქონლით ხელშეკრულება გაფორმებული: მიმდინარე წელს-1, გასულ წელს – 7 და 2009 წელს – 15.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარეს, ნინო ხოფერიას, 4 საქონლით კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ერთ შემთხვევაში წყვილი უცხოელი იყო, დანარჩენ შემთხვევებში კი შერეული – ორჯერ ქართველი გოგონები უცხოელი ქმრების მოთხოვნით აფორმებდნენ კონტრაქტს, ერთხელ კი პირიქით – ქართველ ქალბატონს, რომელსაც გარკვეული ქონება ჰქონდა, არ სურდა მისი უცხოელი ქმრისთვის გაყოფა.

ნინო ხოფერია ამბობს, რომ ოთხივე შემთხვევაში კონტრაქტში ჩაინერა პუნქტი, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ანუ ის, რაც მიუღწევს დაქორწინებამდე ჰქონდათ, არ ჩაითვლებოდა საერთო საკუთრებად. მიუღწევები დოკუმენტში ასევე აკონკრეტებდნენ, განქორწინების შემდეგ რომელი ქონება და ნივთის სახელზე დარეგისტრირდებოდა და როგორ მოხდებოდა მათი გაყოფა. იყო შემთხვევა, როდესაც უცხოელმა ქმარმა ერთობლივი ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების მხოლოდ მის საკუთრებად დარეგისტრირება მოითხოვა და ქართველი ქალბატონი ამას დათანხმდა.

„ოჯახში ბიზნესი ხომ არ მაქვს, რომ კონტრაქტი დავდო? ეს მიუღწევს შეურაცხყოფა“, – ამბობს 32 წლის ლევანი. იგი 13 წელია დაქორწინებულია და 2 შვილი ჰყავს. „ისეთი ქართული ოჯახის დედა ვატირე, კონტრაქტს რომ გააფორმებს. ჯერ ერთი, ამდენი წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ახლა ამ კონტრაქტის დადება სისულელე მგონია, თანაც თუ საქმე განქორწინებამდე მივიდა, ყველა საკითხი კონტრაქტის გარეშეც მოგვარდება სამოქალაქო კოდექსით“.

ლევანის მსგავსად, ქართველების უმრავლესობას ცოლ-ქმარს შორის კონტრაქტის დადება მიუღწევს თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნია. მათი ნაწილს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების გაფორმება უნდობლობის, განქორწინების

და ქონების მითვისების სურვილის დემონსტრაციაა. „ამორალობაა, ოჯახი არ გქონდეს შექმნილი და უკვე განქორწინებაზე ფიქრობდე, ან ქონებას და ფულს ყოფდე. ამ კონტრაქტით ადამიანი უკვე ემზადება გაყრისთვის, იმ დროს, როცა, წესით, სამუდამო ქორწინებაზე უნდა ფიქრობდეს. ეს დასავლური რაღაცეები, მათ შორის კონტრაქტიც, საქონლით კავშირის დასასუსტებლადაა მიმართული“, – ამბობს 46 წლის მიხეილი.

სპეციალისტების აზრით კი, ქონების ღია და ორმხრივი განხილვა იმ დროს, როდესაც ურთიერთობები აბსოლუტურად მყარია, განქორწინების შემდგომ არასასიამოვნო სიურპრიზების თავიდან აცილების გარანტიაა.

„ლიბერალის“ რესპონდენტთა შორის კონტრაქტის მომხრეთა უმრავლესობა ქალბატონი აღმოჩნდა. „კონტრაქტი აუცილებლად უნდა გაფორმდეს. ამ საკითხზე მიფიქრია და უპრობლემოდ წამო-

■ ქონების ღია და ორმხრივი განხილვა იმ დროს, როდესაც ურთიერთობები აბსოლუტურად მყარია, განქორწინების შემდგომ არასასიამოვნო სიურპრიზების თავიდან აცილების გარანტიაა.



ვაცენებ ჩემს აზრს იმიტომ, რომ ოჯახის დანგრევის შემთხვევაში, ქმრის კეთილ ნებაზე დამოკიდებული არ უნდა ვიყო“, – აღნიშნავს 32 წლის ნანა.

„მე აუცილებლად გავაფორმებ იმიტომ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თუ ერთად აღარ ვიცხოვრებთ, კონტრაქტით ყველაფერი გაადვილდება და სასამართლოში სირბილი, დაძაბულობა და კონფლიქტი აგვცდება. ამიტომ ვეცდები დავარწმუნო საქმრო, რომ ორივესთვის ასეა უკეთესი“, – ამბობს 28 წლის მაია.

„უხერხულობის განცდა არც მე მექნება“, – ამბობს 29 წლის ირმა: „ბევრი ქალი ჩემ ირგვლივ კონტრაქტს არ აფორმებს, მაგრამ სახლის ყიდვის დროს ქმარს სთხოვს, ბინა მის სახელზე გააფორმოს, რომ რამე რომ მოხდეს, ცარიელი არ დარჩეს. იცით, რამდენი ვიცი ასეთი ქალი? გაიფორმებენ ბინას და მერე მშვიდად სძინავთ. ეგ ხომ იგივე ანგარებაა, არ ჯობს, ადამიანურად გავარკვო ყველაფერი და ხელშეკრულებაში დააფიქსირო?“ – კითხულობს ირმა.

ქალებს, იმის შიშით, რომ მომავალმა მიუღწევს რამე „ისე“ არ იფიქროს, კონტრაქტის გაფორმების შეთავაზება უჭირთ: „საქმროს რომ ვუთხრა, კონტრაქტის დადება მინდა ქორწილამდეო, მეტყვის, არ მენდობი, ან ჩემთან დაშორებას აპირებ და მხოლოდ ქონების გამო გამომყვით. ანუ, ამის თქმა უკვე პრობლემაა“, – აღნიშნავს 26 წლის ნინი.

საქართველოში საქონლით კონტრაქტების სიმცირის მთავარ მიზეზად ნინო ხოფერიასაც მენტალიტეტი მიაჩნია: „წლების განმავლობაში ვატარებდი საინფორმაციო კამპანიას, სატელევიზიო გადაცემებიც ამ თემას მივუძღვევით, მაგრამ უშედეგოდ... ორი ადამიანი ქორწინდება და რა დროს ქონებაზე საუბარია? ამ დროს, ყოველი განქორწინება არასასიამოვნო პროცედურებთანაა დაკავშირებული და როგორც წესი, ეს ყველაზე მეტად ქონებრივ საკითხებს შეეხება“, – აღნიშნავს ხოფერია.

ნოტარიუსთა პალატა საქონლით კონტრაქტის პოპულარულობის გაზრდის მიზნით წელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად კიდევ ერთ საინფორმაციო კამპანიას ჩაატარებს. ■

ხელოვნება ქახსანაში

მიტოვებულ ფაბრიკებსა და რკინიგზის სადგურებს არტისტები ბევრ ქვეყანაში კულტურული პროექტებისთვის იყენებენ. ქართველი ხელოვანები კი ამ მნიშვნელოვან რესურსს ვერ ითვისებენ. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართული სუბკულტურა ყოფილ ინდუსტრიულ ობიექტებში განვითარდეს?

დანიელ ნიჩი



ყოფილი შოკოლადის ქარხნის ერთ-ერთი დარბაზი, თბილისი, 27 აპრილი 2011

საქართველოს სსრ-ის ფოტო

ბოქლომდადებული რკინის კარის გაღებისთანავე თვალწინ სვეტებიანი, ვრცელი დარბაზი გადაგმულბათ, ჩამსხვრეული ფანჯრებითა და მტვრიანი, მეტლახაყრილი იატაკით. თუმცა, ჭუჭყისა და სიცარიელის მიუხედავად, მანაც დაგრჩებათ შთაბეჭდილება, თითქოს, საბჭოთა კავშირის დროს ერთ-ერთ უმსხვილეს საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურში“ მუშაობა ცოტა ხნის წინ შეწყვიტეს: უზარმაზარ დანადგარებს, რომლებიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ დღევდნენ შოკოლადის თხევად მასას და სრესდნენ ინდოეთიდან ექსპორტირებულ სხვადასხვა

სახეობის თხილს, დღემდე აქეთ მიმხმარი შოკოლადის ნარჩენები. თაროებზე შუშის საზომი კოლბები, კაკაოს ფხვნილის შესაფუთად გამზადებული მუყაოს კოლოფები (სათაურით „კაკაო ოქროს იარლიყი, ფხვნილი“), ე.წ. „პლიტკა“ შოკოლადების მეტალის ყალიბები და საბჭოთა დროს დაბეჭდილი ფურცლები დევს. ზოგს აწერია Шоколад СКАЗКИ ПУШКИНА; ზოგს – Конфеты КРАСНАЯ ШАПОЧКА; ზოგსაც – Шоколад АЛЕНКА თავისი Масса Нетто-თი და ГОСТ-ით.

ბოლო პარტია შოკოლადი აქ 1998 წელს

დაამზადეს. მას შემდეგ რამდენიმე ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული ფაბრიკის ზოგიერთი ნაწილი ხის და კაფელის საამქროებსა და პროფილაქტიკებზე გაქირავდა, ნაწილი კი – წლობით ბოქლომდადებულია. ერთ-ერთ ასეთ გაუკაცრიელებულ დარბაზში ექვსი თვის წინ მხატვრების ჯგუფმა geoAIR-მა, რომელიც საერთაშორისო კულტურულ პროექტებზე მუშაობს, სემინარი ჩაატარა. ლაიპციგის ხელოვნების დამოუკიდებელი ინსტიტუტის, LIA-ს წარმომადგენელმა ანა-ლუიზ კრამჩა სახელდახელოდ დასუფთავებულ დარბაზში შეკრებილ სტუ-



ყოფილი აბრეშუმის ქარხნის მიტოვებული სივრცე, თბილისი, 27 აპრილი 2011



ფოტოები: თამარ ბარბაქაძე

მრებს უამბო, როგორ იყენებენ არტისტები გასული საუკუნის ინდუსტრიულ შენობებს კულტურული პროექტებისთვის.

ანა-ლუიზა კრანის მოსმენის შემდეგ, ქართველ მხატვრებსაც გაუჩნდათ იდეა, „მზიურის“ მეორე სართულზე, დიდი დარბაზი დროებითი გამოყენების მოსაწყობად, ანდა სულაც სახელოსნოების ფუნქციით თვითონაც გამოეყენებინათ. „აქ განათებაც საუკეთესოა, სივრცეც უზარმაზარია და ამ შენობის ისტორიაც თავისებურად გმუხტავს“, – ამბობდნენ მხატვრები და გეგმავდნენ, „მზიურის“ მფლობელთან შეთანხმება გაეფორმებინათ – ისინი არ გადაიხდიან შენობის ქირას, სამაგიეროდ, მოუვლიან მეორე სართულს და დაფარავენ კომუნალურ გადასახადებს და რაც მთავარია, შენობის მფლობელის პირველივე თხოვნისთანავე, დატოვებენ საკონდიტრო ფაბრიკის ტერიტორიას. თუმცა, ეს იდეა ჯერჯერობით მხოლოდ იდეად რჩება. „მზიური“ დღეს კოლექტიურ საკუთრებაშია და აქციებს ფაბრიკის 300-მდე ყოფილი თანამშრომელი ფლობს. ამხელა კოლექტივთან შეთანხმების მიღწევა კი საკმაოდ რთულია.

თუმცა, „მზიური“ მხოლოდ ერთ-ერთია იმ ასობით ფაბრიკა-ქარხანას, საამქროსა და დაუმთავრებელ კორპუსს შორის, რომლებიც წლებით უქმად დგას. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 1970-იანი წლებიდან მოყოლებული სწორედ ასეთ ნაგებობებში

მართავენ კონცერტებს, პერფორმანსებს, აწყობენ კლუბებს, მაგალითად, სკეიტერებისთვის, მოცეკვავეებისთვის ან საბრძოლო ხელოვნების დაუფლების მსურველთათვის. საინტერესოა, რატომ ვერ ითვისებენ ამ მნიშვნელოვან რესურსს ქართველი არტისტები კულტურული პროექტების მოსაწყობად? რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს შენობები სუბკულტურამ საქართველოშიც გამოიყენოს?

ერთ-ერთ მიზეზად ქართველი მხატვრები მკაცრ საკანონმდებლო ბაზას ასახელებენ. არსებული კანონმდებლობით, საქართველოში აუცილებლად მფლობელის თანხმობა საჭირო იმისთვის, რომ მიტოვებული შენობა გარკვეული წესების დაცვით არტისტებმა კულტურული პროექტებისთვის გამოიყენონ, სახელმწიფო კი მცირე კულტურული პროექტების მხარდაჭერით არ გამოირჩევა. ჰოლანდიაში და ნაწილობრივ, დიდ ბრიტანეთშიც ნებისმიერ შეუძლია, დაიკავოს ის შენობა ან ფართი, რომელსაც ერთ წელზე მეტი ხანია, არავინ იყენებს. ნაგებობის დროებით მომხმარებლებს რამის დანგრევის უფლება არ აქვთ, ქონების კანონიერ მფლობელს კი შეუძლია, საკუთრება ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს. ეს ურთიერთობა, რომელსაც კანონი არეგულირებს, ორივე მხარისთვის ხელსაყრელია: შენობის მფლობელს ეძლევა შანსი, ნაგებობაზე ზრუნვა სხვებს მიანდოს, არტისტები კი – შენობას,

რომლის დაქირავებაც სხვა შემთხვევაში ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ, აბსოლუტურად კანონიერად, მარტივად და მინიმალური დანახარჯებით იკავებენ.

თუკი ეს ურთიერთობა მხატვრებს, კერძო საკუთრების მფლობელებსა და სახელმწიფოს შორის ევროპაში დღეს ასე ჰარმონიულად არის დარეგულირებული, პირველ რიგში, თვითონ არტისტების აქტიურობის დამსახურებაა. ვიდრე მუნიციპალიტეტები აუთვისებელი შენობების შესახებ კანონმდებლობას შეამსუბუქებდნენ, არტისტები ყოფილ ქარხნებსა და სხვა მიტოვებულ ნაგებობებს თვითნებურად, არალეგალურად იკავებდნენ.

1976 წელს ვენის მიტოვებული სასაკლაო ახალგაზრდა არტისტებმა უნებართვოდ დაიკავეს. 4 თვის განმავლობაში აქ გამართულ კონცერტებს, დისკუსიებს, პროზისა და პოეზიის საღამოებს, დაახლოებით, 200 000 ადამიანი დაესწრო. ცნობილ გამოსვლელებსა და შემსრულებლებს შორის კი მომღერალი ლეონარდ კოენიც იყო. ქალაქის მერიამ აქტივისტებთან მოლაპარაკებები დაიწყო შენობის დატოვების შესახებ, მაგრამ შემდეგ წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა და შენობის დემონტაჟს შეუდგა. სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტმა ხელოვნებას ახლოს მდებარე მიტოვებული ქარხანა გამოუყო, რომელიც სუბკულტურის ახალ თავშესაფრად იქცა და



მთელი საქართველოს მასშტაბით უამრავი ასეთი

შენობაა, მაშინ როცა ახალგაზრდა მუსიკოსები რეპეტიციებისა და კონცერტებისთვის სცენის ქირაობას ვერ ახერხებენ.

როკკონცერტების უმრავლესობა დღემდე სწორედ აქ იმართება (ეს ადგილი ტარანტი-ნოს ბლოკბასტერში „მზის ამოსვლაშიც“ კი ფიგურირებს).

ათობით ასეთი არალეგალური შეჭრის შემდეგ ვენის მერიამ გამოუყენებელი შენობების „კულტურულ“ ათვისებაში სარგებელი თვითონაც დაინახა და მსგავსი პროექტების მხარდაჭერა დაიწყო. მაგალითად, 1998 წლიდან ვენაში „მრავალჯერადი გამოყენების“ პროექტი მოქმედებს. პროექტის თანამშრომლები მაკლერების პრინციპით მუშაობენ – მიტოვებული შენობების მფლობელებს და დაინტერესებულ ჯგუფებს ერთმანეთთან აკავშირებენ, რათა ორმა მხარემ პირობები უშუალოდ ერთმანეთს შეუთანხმოს.

ევროპული ქალაქების მუნიციპალიტეტებს ეს შეთანხმებები იმიტომაც მოსწონს, რომ კულტურული ღონისძიებების საშუალებით ე.წ. „ცუდი უბნების“ პრესტიჟი მაღლდება. რაიონები, სადაც ბევრი მიტოვებული შენო-

ბა დგას, როგორც წესი, მოსახლეობისთვის არამომზიდველი და საშიშია. მას შემდეგ კი, რაც ეს რაიონები კულტურული თავმჯდომარის არენად იქცევა, მათი პრესტიჟიც მატულობს, საკუთარი უბნით ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხიც იზრდება, დანაშაულის შემთხვევები კი იკლებს. უფრო მეტიც, კულტურულ არენად ქცეულ ყოფილ ქარხნებში ფესტივალების გამართვა და სუბკულტურის გაჩენა იქ ტურისტებსაც იზიდავს.

თბილისელებს კი გამოუყენებელი შენობის კულტურულ არენად გადაქცევის თითქმის ერთადერთი შემთხვევა ახსოვთ. ეს რამდენიმე წლის წინ აბრეშუმის ფაბრიკაში მოხდა. როგორც მხატვარი, ლუიზა ლაფერაძე იხსენებს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები რამდენიმე წლის განმავლობაში ფაბრიკის დაცარიელებულ ოთახებს სახელოსნოებისა და გამოფენებისთვის იყენებდნენ, იქვე იმართებოდა პანტომიმის წარმოდგენები, 1991-1995 წლებში კი იქვე კონცერტებს ლადო ბურდული და სხვა მომღერლებიც მართავდნენ. ხუთი წლის წინ აბრეშუმის ფაბრიკა გაიყიდა. ხელოვანები მის ახალ მფლობელთან ვერ შეთანხმდნენ და ფაბრიკის დატოვება მოუხდათ. შენობა კი ახლაც ცარიელი დგას, მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

ხელოვანები ამბობენ, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით უამრავი ასეთი შენობა დგას უქმად და ეს იმ ფონზე, როცა ახალგაზრდა მუსიკოსები რეპეტიციებისა და კონცერტებისთვის სცენის ქირაობას ვერ ახერხებენ, მოქანდაკეებისა და მხატვრებისათვის კი სახელოსნოებისა და გამოფენებისათვის ფართის გამოჩახვა პრობლემურია. არტისტების ნაწილი პასიურობისთვის, პირველ რიგში, სახელმწიფოს აკრიტიკებს – მასშტაბური და ძვირადღირებული ღონისძიებების მოწყობაზე (მაგალითად, თუნდაც, სახალწლო კონცერტი ბათუმში) ბევრი ფული იხარჯება მაშინ, როცა მცირე კულტურული პროექტების ავტორები სახელმწიფო მხარდაჭერას თითქმის ვერ იღებენ.

თუმცა, საბოლოო ჯამში, ინიციატივა ჯერ მაინც კულტურული ჯგუფებისგან უნდა მოდიოდეს. თუკი არტისტები გააქტიურდებიან და ვთქვათ, რეალურად ეცდებიან, კულტურული პროექტებისთვის ქალაქის აუთვისე-

ბელი ობიექტების გამოყენებას, შესაძლოა, სახელმწიფო მიდგომაც მცირე კულტურული პროექტების მიმართ შეიცვალოს და მუნიციპალიტეტი ქალაქის არაპრესტიჟული რაიონების განვითარების პერსპექტივითაც მოიხიბლოს ისე, რომ ძველი შენობების დანგრევა მისთვის ერთადერთი გამოსავალი არ გახდეს.

ძველი სამრეწველო უბნებისთვის პრესტიჟის ამაღლება ხომ მუზეუმებსა და უნივერსიტეტებსაც შეუძლიათ. მაგალითად, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი 1997-2004 წლებში ქუინსის ძველ ინდუსტრიულ უბანში გადაიტანეს, რამაც ამ ტრადიციულად „ცუდ“ რაიონს ბევრი სარგებელი მოუტანა და განავითარა. ისტორიული ძეგლების მოვლისა და შენახვის ბევრი საინტერესო მაგალითი აქვს ვენასაც. მაგალითად, მე-19 საუკუნეში აგებული ვენის ბუნებრივი აირის ტანკერები ისტორიული ძეგლების სიაშია შეტანილი, თუმცა, საკუთარ ფუნქციას ეს ნაგებობები 1980-იანი წლებიდან აღარ ასრულებს. დახურვის შემდეგ ისინი ჯერ კულტურული პროექტების არენად აქციეს, ნელს კი ოფისებად, საცხოვრებელ ბინებად და სავაჭრო ცენტრად გადააკეთეს – გარეგნული იერსახე შეუნარჩუნეს, თუმცა, თანამედროვე ფუნქცია მიანიჭეს.

იმის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითი, თუ როგორ გაცოცხლა ქალაქმა ფაბრიკა-ქარხნები კულტურული პროექტებისთვის, ბერლინია. მეტიც, მსგავსი პროექტები ბერლინმა საკუთარი დევიზის შესაქმნელად გამოიყენა და ყველაზე ახალგაზრდა და კრეატიული ქალაქის სახელი დაირქვა. ცუდი რეპუტაციის მქონე ინდუსტრიული ქალაქების კულტურულ ცენტრებად გარდაქმნა თვალმისაცემი ტენდენციაა ბილბაოში, ბელგრადში და ბრიტანულ ქალაქებში – ლივერპულსა და ბრისტოლში.

კარგი იქნება, თბილისმაც განსაზღვროს თავისი ოფიციალური დამოკიდებულება ხელოვნებისა და კულტურის მიმართ: დედაქალაქის მერია აპირებს, მხოლოდ მაღალი კლასის, ძვირადღირებულ ღონისძიებებს დაუჭიროს მხარი, როგორც ეს ახლა ხდება, თუ პატარა და ინოვაციურ პროექტებსაც – ანუ აირჩიოს ის მიდგომა, რომელმაც ბერლინი ახალგაზრდულ, მუდმივად განვითარებად და კრეატიულ ქალაქად აქცია? **■**

2012 წლის აშშ-ის საჰომობილური აქტივისტების მოძრაობაში



მერყევი ამომრჩეველი, ერთი მხრივ, რესპუბლიკელების მიერ გადასახადების შემცირების რიტორიკას არის აყოლილი და მეორე მხრივ, არ სურს სახელმწიფო ხარჯვა მისთვის აუცილებელ სექტორებში შემცირდეს.

გიორგი ცხადაია

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება, მართალია, ორივე პარტიამ შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ დასაწყისიდანვე ჩანს, რომ ამერიკელებს წინ პოლიტიკური ბატალიებით და სკანდალებით დახუნძლული ორი წელი ელით. არჩევნები 2012 წლის ნოემბერში გაიმართება. დემოკრატიული პარტიის კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტი ბარაკ ობამა იქნება, რესპუბლიკელების რჩეული კი 2012 წლის რესპუბლიკურ პრაიმერებში გაირკვევა.

დღევანდელი გადმოსახედიდან პროგრესების გაკეთება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. შეგვიძლია მხოლოდ იმაზე ვისაუბროთ, თუ რა იქნება ძირითადი თემები და ვინ იქნებიან ძირითადი კანდიდატები. რა თქმა უნდა, თითოეული კანდიდატის პიროვნული მონაცემები და ქარიზმა არჩევნების შედეგზე გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს, მაგრამ ამავე დროს, არსებობს ზოგადი სტრუქტურული (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული) ფაქტორებიც, რომლებიც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით მოხდება მთავარი თემების და კანდიდატების შერჩევა.

ვაშინგტონში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ყველა არჩევნების ბედს ე.წ. „მერყევი ამომრჩეველი“ წყვეტს. ამ ფენომენის ასახსნელად ორი მთავარი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური. პოლიტიკური ფაქტორი გულისხმობს ამერიკულ პოლიტიკაში არსებულ რიტორიკულ არათანმიმდევრულობას. მაგალითად, დემოკრატების რიტორიკაში წამყვანი როლი ენიჭება მუშათა და საშუალო კლასების ინტერესების წარმოდგენას, მაგრამ ამავე

დროს, დემოკრატი პრეზიდენტი არაფერს იშურებს „უოლ სტრიტის“ ბანკების და მსხვილი კორპორაციების გადასარჩენად. მსგავსი პოლიტიკა საშუალებას აძლევს მემარჯვენე პოპულისტებს, რომ ისაუბრონ შეთქმულებაზე ლიბერალურ ელიტებსა და ფინანსურ ელიტებს შორის.

მერყევი ამომრჩევლის ფენომენის ასახსნელად უნდა გავითვალისწინოთ ამერიკული საზოგადოების სოციო-ეკონომიკური სურათიც. მუშათა კლასის და უმცირესობების ხმები შედარებით მყარია. ე.წ. „დამოუკიდებლები“, ძირითადად, ისეთ სექტორებში არიან დასაქმებულები, სადაც მთავრობის პოლიტიკა შედარებით ნაკლებ გავლენას მოახდენს, ან ისინი ფლობენ ისეთ სპეციალურ უნარებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებენ სამსახურის იოლად შოვნას. მათთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ინფლაციის, ანუ ფასების ზრდის კონტროლი და პოსტმატერიალური ღირებულებები (გარემოს დაცვა, ფემინიზმი, LGBT უფლებები). იქიდან გამომდინარე, რომ ეს თემები პარტიებს შორის იყოფა, ამომრჩეველიც გაორებულია.

ინფლაციასთან და ეკონომიკურ რეცესიასთან ერთდროულად გამკლავების ერთადერთი გზა ამერიკის მოსახლეობის ზედა ფენისთვის (ვინც წელიწადში 250 000 დოლარზე მეტს გამოიმუშავებს) გადასახადების გაზრდაა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს საშუალება ექნება ხარჯოს ბევრი, ანუ გაანეიტრალოს რეცესიის ყველაზე უარყოფითი შედეგები და ამავდროულად, არ გამოიწვიოს ფასების საყოველთაო მომატება. ამ გზით, მთავრობა ბიუჯეტს გაზრდილი გადასახდებით შეავსებს და ახალი ფულის ბეჭდვის საჭიროებას თავიდან აირიდებს.

მერყევი ამომრჩეველი, ერთი მხრივ, რესპუბლიკელების მიერ გადასახადების შემცირების რიტორიკას არის აყოლილი და მეორე მხრივ, არ სურს სახელმწიფო ხარჯვა მისთვის აუცილებელ სექტორებში შემცირდეს (ძირითადად, ჯანდაცვა და განათლება). დემოკრატებმა განსაკუთრებით რომ მოინდომონ და გადასახადების გაზრდა სცადონ, მაინც ვერაფერს გააწყობენ, რადგან კონგრესის წარმომადგენლობით პალატას რესპუბლიკელები აკონტროლებენ და ისინი ამ დათმობაზე არასდროს წავლენ.

ამომრჩეველების დაბნეულობას ორივე პარტია სხვადასხვა მხრიდან უდგება.

რესპუბლიკელების მთავარი სტრატეგია პრობლემურ ეკონომიკურ პრობლემებზე დებატების თავიდან აცილება და „კულტურული“ საკითხების წინა პლანზე წამოწევაა. რესპუბლიკელებისთვის ერთადერთი ლეგიტიმური ეკონომიკური მოთხოვნა საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებაა.

დეფიციტის შემცირების იდეას ბოლო გამოსვლებაში პრეზიდენტი ობამაც დაეთანხმა და ამისთვის ხარჯვის შემცირებაც დაგეგმა. ბოლომდე გაუგებარია, როგორ უნდა მოახერხოს, ამ შემთხვევაში, ობამამ წინასაარჩევნო დანაპირების – უმუშევრობის შემცირების – შესრულება, თუ გადასახადების გაზრდის საკითხს რიტორიკიდან მთლიანად ამოიღებს და სახელმწიფო ხარჯვის შემცირებაზე ასე იოლად დათანხმდება.

ამ ფონზე, დემოკრატებისთვის მერყევი ამომრჩევლის გულის მოგების ორი გზა არსებობს: გადასახადების გაზრდის საკითხის მეორე პლანზე გადაწევა და საერთო ღირებულებებზე კონცენტრირე-

ბა (ცენტრისტული მიდგომა, რომელსაც ახლანდელი ადმინისტრაცია მიმართავს), ან ე.წ. „პროგრესისტული პოპულიზმი“. თუ მემარჯვენე პოპულიზმი ორიენტირებულია „დიდი სახელმწიფოს“ შემცირებაზე და „სოციალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაზე, პროგრესისტულმა პოპულიზმმა თავისი მტერი – კორპორატიული ინტერესები უნდა „მოძებნოს“. ვინაიდან, მეორე ვარიანტი კონფრონტაციულია და მეინსტრიმ დემოკრატი პოლიტიკოსები საზოგადოებაში ვნებათაღელვის გამოწვევას ერიდებიან, მსგავს რიტორიკას იშვიათად მიმართავენ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წინასაარჩევნო რბოლის მოახლოებასთან ერთად, ობამამ რამდენიმე მსგავსი „პოპულისტური“ ნაბიჯი უკვე გადადგა: მაგალითად, კონგრესის ლიდერებს მისწერა წერილი, სადაც მოს-

თხოვა ნავთობის და გაზის ინდუსტრიისთვის გადასახადებისგან გათავისუფლების აქტის გაუქმება და გამოთავისუფლებული რესურსების ეკოლოგიურად სუფთა ენერჯისა და ენერჯის ალტერნატიული წყაროების შექმნაში ინვესტირება.

თუ დემოკრატები კონფრონტაციულ ტონს ყველანაირად თავს არიდებენ, რესპუბლიკელები „კეთილი-ბოროტი“ ტიპის რიტორიკას ხშირად მიმართავენ და არც აბსურდული და დაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენებას ერიდებიან. მაგალითად, ერთ-ერთი სავარაუდო რესპუბლიკელი კანდიდატი, მილიარდერი დონალდ ტრამპი ბოლო ხანებში ე.წ. „Birther“-ების მოძრაობას ჩაუდგა სათავეში და ობამას დაბადების მოწმობის ჩვენება მოსთხოვა (იმის დასადასტურებლად, რომ პრეზი-

დენტი ამერიკის ტერიტორიაზე დაიბადა). მართალია, სრულიად წარმოუდგენელია, არჩევნებში მონაწილეობა მიეღო კანდიდატს, რომელიც მსგავს მოწმობას არ წარმოადგენდა, მაგრამ რესპუბლიკელებისთვის ეს თემა მაინც სპეკულაციის საგნად იქცა. ობამას დაბადების მოწმობის მოთხოვნა კარგად ეხმიანება რადიკალურად განწყობილი კონსერვატორი ამომრჩევლის სენტიმენტებს – შავკანიანი პრეზიდენტის განსხვავებული კულტურის ნაწილად აღქმას (და ზოგიერთ შემთხვევაში, რასიზმს).

მართალია, ტრამპის საქციელი მეინსტრიმ რესპუბლიკელების ნაწილმა დაგმო, მაგრამ მეორე ნაწილი ჯერ კიდევ სდუმს, რადგან ჩაის მსმელებისა და „birther“-ების გაღიზიანების ეშინია. შედარებით უფრო რესპექტაბელურ რესპუბლიკელ კანდიდატებს მიეკუთვნებიან: მინესოტის ყოფილი გუბერნატორი ტიმ პოლენტი, მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორი მიტ რომნი, არიზონას ყოფილი გუბერნატორი მაიკ ჰაკაბი, ალასკის ყოფილი გუბერნატორი სარა პეილინი, წარმომადგელობითი პალატის უმრავლესობის ყოფილი ლიდერი ნიუტ გინგრისი, ლიბერტარიანული პარტიის ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატი რონ პოლი, კონგრესმენი და ჩაის მსმელების ორგანიზაციის წევრი მიშელ ბაქმენი, პენსილვანიის ყოფილი სენატორი რიკ სანტორუმი და სხვ.

რონ პოლის გარდა, რესპუბლიკელი პარტიის ყველა სხვა ძირითადი კანდიდატი მთავარ აქცენტს დემოკრატების პოლიტიკის კულტურულ და ნაციონალურ ასპექტებზე გაამახვილებს. ეკონომიკურ ნაწილზე კი, სავარაუდოდ, ყველა რესპუბლიკელი ორი მთავარი ლოზუნგის „დეფიციტის შემცირების“ და „მცირე სახელმწიფოს“ გარშემო გაერთიანდება. ობამამ ამასობაში ლიბერალური ამომრჩევლის გული გარემოს დაცვის სააგენტოს შენარჩუნებით, ჰომოფობიური კანონების გაუქმებით და ჯანდაცვის რეფორმით, ნაწილობრივ, მოიგო.

მომავალ თვეებში ვნახავთ, შეძლებენ თუ არა ამერიკის მეინსტრიმ პოლიტიკოსები საყვარელი ცენტრისტული პოზიციის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური ბატალიები უფრო რადიკალურ სახეს მიიღებს. ■

■ ვაშინგტონში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ყველა

არჩევნების ბედს ე.წ. „მერყევი ამომრჩეველი“ წყვეტს.



შავი, შიშვანი და ამაზიზანი



ვახო სვანიძე

გაზაფხული შემოსულა, ლენ? დიახ, და თანაც როგორი?! კვლავ რევოლუციის მოლოდინი; მთვარის მოახლოება (გადავრჩით!); „გარყვნილი“ იაპონია; ნატოს კუთხე; ხორვატიას შეწირული მინაშეილი; გახშირებული ინსულტები; ფეშენ და რეზერვ უიქები; იპოვნე 10 000! ოქრუაშვილი დაბრუნდება! ფასების ზრდა; ქურდებს — სიცოცხლე, ბოზებს — სიკვდილი! ტროტილი ქუთაისში; ჭამა და სექსი; თქვენ გაქვთ სამი „არა“! რეალი თუ ბარსელონა? მგზავრები; ნაკლი — დრო; სიმპათიური აპატურაი; ტალახიანი წვიმა; 30-ლარიანი ვაუჩერი; რუსეთის მოსალოდნელი პროვოკაცია... ამ ყველაფერს თუ გაუძლებ გულო, გაზაფხულზე სიყვარულისთვისაც მოიცლი და ასეთ დროს, კარგ Love Song-საც ნამდვილად არაფერი სჯობს. ჩვენში კიდევ მაგათ რა დალევს. თუმცა, ამჯერად ტრადიციულ ქართულ თემატიკას გვერდს ავუვლი (ასტამურა, „შაბათი ხომ შაბათია“, სევდა, გზა, მონატრება, ცრემლი, შენი თვალები, ღრუბელი, მზე, წვიმა და პოლიცია) და ერთ ძველ, გემრიელ სიმღერაზე შევჩერდები.

I Put Spell On You (მე შენ მოგაჯადოვე, გაგთვალე) - ვის არ უმღერია. ქანთორიოკერებს „Credence Clearwater Revival“-დან, ინგლისელ „მხეცს“ ერიკ ბერდონს, ვან მორისონს, ალან პრაისს, სათვალეებიან „Manfred Mann“-ებს და ბევრ სხვას, ვისაც არ დაეზარა. რა თქმა უნდა, ყველაზე ცნობილი ვერსია ნინა სიმონუნმა შექმნა და ისეთი მაგარი გამოუვიდა, სიმღერის ავტორი ყველას დაავიწყა. მე დღეს ამ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას შევეცდები და მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სიმღერის შემქმნელს

– Screamin Jay Hawkins-ს (შემდგომში „ჯეის“) გავიხსენებ.

„კაცი არსაიდან“ — ასე მოიხსენიებენ ჯეის დღესაც, რადგან მის ცხოვრებისეულ დეტალებზე დანამდვილებით საუბარი ბევრს უჭირს. მუსიკოსის ბიოგრაფიის წერაც ვერავინ ითავა, შესაბამისად, თუ რამეს გაგება სურთ, მის ძველ ინტერვიუებში იქექებიან. მაგრამ აქაც ჩიხია, რადგან ყველაფრის უზომოდ გაბუქება და გადაჭარბება ჩვეოდა. შესაბამისად, ჯეის მოგონებები 2-ზე ან 3-ზე უნდა გაყო, მეტ-ნაკლები სიზუსტით რომ გაიგო, რა კაცი იყო. გავყავი და აი, რა მივიღე:

მამით არაბი აფროამერიკელი, ინ-

დიელებთან გატარებული ბავშვობის წლებით; ჯეელობაში ყოფილი მოკრივე, თანაც ალიასკის ორგზის ჩემპიონი საშუალო წონაში; მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, სადაც თვეები იაპონელთა ტყვეობაში გაატარა. არშემდგარი ქმარი — 8 ოფიციალური ქორწინებით (რვის მერე, პრინციპში, აღარც დაუთვლია); ტანზე უამრავი ნაიარევი, ნაწილი იაპონელების წყალობით, დანარჩენი ერთ-ერთი ცოლისაგან სახსოვროდ; უამრავი საყვარელი ყველა კონტინენტზე და ჯამში 55 შვილი ამერიკაში, ფილიპინებზე, ჰავაიზე, იაპონიასა თუ საფრანგეთში.

ბევრი ქალი გაუმწარებია. მიტოვებულებს მიუძახებიათ კიდევ, შენი კუბო



დავდგო! საკუთარ კუბოს კი სცენაზე ნამდვილად დგამდა, იქიდან ამოხტებოდა ხოლმე „ნიგროვი“ კოსტიუმსა და წვეტიან თეთრ ფეხსაცმელებში გამოწყობილი. ცხვირს გარეული ღორის ეშვები „უმშვენებდა“, თვალებს გადმოკარკლავდა, კანიბალივით გადაიხარხარებდა და ვუდუს ჯოხს მოიქნევდა. ჯოხზე თავის ქალა ჰქონდა წამოცმული, მისი განუყრელი მეგობარი, სახელად ჰენრი. ხანდახან უბიდან გველს ამოაძვრენდა, თვალეში ჩახედავდა და დაუღრიალებდა: „ეს სიმღერა სიყვარულზეა, გაიგე უწმინდურო?“ მერე კი ამღერებოდა, თანაც ისეთი ძლიერი ხმით, ძარღვებში სისხლს უყინავდა მსმენელს.

ერთი შეხედვით, აბსოლუტურ ფსიქოპათთან გვაქვს საქმე, რომლის სცენურ გამოსტომებთან შედარებით, ოზი ოსბორნისა თუ მერლინ მენსონის თანამედროვე „შოკ-როკული“ ეპატაჟურობა, ბავშვური ცანცარია და მეტი არაფერი. დაუჯერებელია, რომ ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ბალადა „I Put Spell On You“, სწორედ მამალმა გიჟმა შექმნა და არა ვინმე თვალეხატულა, ტუჩებდაბუ-

თქულმა მამაკაცმა, დღეს რომ ორგაზმული კნავილით მღერიან ხოლმე სიყვარულზე. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. 1956 წლის ერთ მშვენიერ დღეს პატარა ჩამწერ სტუდიაში უამრავი სასმელი მიიტანეს: ღვინო, ვისკი, ბურბონი, არაყი, ჯინი, რომი. ყველა უგონოდ დათვრა, ხმის რეჟისორისა და პროდიუსერის ჩათვლით. გიტარისტი მიკი ნეიკერი ფეხზე ძლივს იდგა, საქსოფონისტი სემ ტეილორი მუნდშტუკს წვალეებით პოულობდა. ჯეი კი 100-პროცენტით სპირტს სვამდა, ვისკის აყობებდა და მორიგი სიყვარულით მთვრალი, მამაკაცური ვნების ჰიმნს ქმნიდა.

27 წლის ასაკში ჩანერილმა ამ ბალადამ, ცხოვრების ბოლომდე უმდიდრეს ადამიანად აქცია, თუმცა, „მოაჯადოვა, გათვალა“ და ერთგვარი სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა. შემდეგი 43 წლის განმავლობაში ჯეი შემოქმედებითი მწვერვალთან ნელ-ნელა ეშვებოდა, რადგან კონცერტებზე ხალხს მხოლოდ ამ სიმღერის მოსმენა სურდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. ნინა სიმოუნმა კი საბოლოოდ „ბოლო მოუღო“ მუსი-

კოსს, საკუთარი ლირიკული ვერსიით. სწორედ ამ ქალის შესრულებით და არა საავტორო ვარიანტით გახდა ბალადა უკვდავი (მიუხედავად ნინასადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, მაგრად ჩაიჭრა, როცა საკუთარ ავტობიოგრაფიას „I Put Spell On You“ დაარქვა და წიგნში ჯეი ერთხელაც არ მოიხსენია).

ჯეის დარჩენილი ცხოვრება კი ერთი გრანდიოზული წარმოდგენა იყო, შავ სულსა თუ ხმაში მთელი სამყაროს სიგიჟეს უყრიდა თავს, ინვოდა და ნელ-ნელა კვდებოდა სცენაზე. უშუალოდ ებრძოდა ჯამბაზის საკუთარ აჩრდილს, რადგან ბევრი მასში მხოლოდ მასხარას ხედავდა, სერიოზულად არ აღიქვამდა და ჯოკერის ნიღბის მიღმა ვერ ამჩნევდა უნიჭიერეს პოეტს, გენიალურ მუსიკოსს, ტრაგიკულ და მარტოსულ ადამიანს.

ასეთი გახლდათ გასული საუკუნის ყველაზე დიდი მონსტრი-მასხარა, რომლის დიაგნოზზეც ამაოდ ინვალა ათობით ფსიქოთერაპევტმა და მის სულიერ სევდას თუ ტკივილს ვერაფერი გაუგო. ჯეიმ ცხოვრების ბოლო წლები პარიზის მახლობლად, ფსიქიატრიულ კლინიკაში გაატარა, საიდანაც ათჯერ მაინც გაიქცა, როგორც ინდიელი ბელადი ფორმანის ფილმიდან. გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე კი ბოლო ინტერვიუ მისცა და აუხდენელ ოცნებებზე ისაუბრა, როგორ უნდოდა გამხდარიყო საოპერო მომღერალი, როგორ სურდა შეესრულებინა ფიგაროს პარტია, ან თუნდაც „ავე მარია“. თავისი სიკვდილის დღეც ზუსტად იწინასწარმეტყველა (2000 წლის 12 თებერვალი) და ცრემლიანი თვალეებით ასე დაემშვიდობა სამყაროს:

„ამ ქვეყანას მოვევლინე შავი, შიშველი და ამაზრზენი... ბევრი ვინვალე, რამე შემეცვალა, მაგრამ ეს მხოლოდ მოკლე მოგზაურობა გამოდგა... ყოველთვის მსიამოვნებდა ბედნიერი ხალხის ნახვა, ამიტომ მთელი ცხოვრება ვცდილობდი, მათთვის პრობლემები დამევიწყებინა, მეტი სიხარული მიმენიჭებინა... ამ ქვეყნიდან წავალ ასევე შავი, შიშველი და ამაზრზენი, თუმცა კმაყოფილი და უზომოდ ბედნიერი...“



თბილისური ელისო



ელისო ვირსალაძისა და ელისო ბოლქვაძის კონცერტები, როგორც იშვიათი კლასიკური ემანაცია

დავით ბუზრიკიძე



ფოტო: ვ. ა. შარვაშიანი

ელისო ვირსალაძე ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ კონცერტზე

შეიძლება ითქვას, რომ აპრილის ბოლო კვირა თბილისში კლასიკური საფორტეპიანო მუსიკის გამონათებას ჰგავდა. 27 აპრილს გაიხსნა ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამალეობამდე“, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მხარდაჭერით იმართება და რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია. მონვეულ სტუმრებს შორის

განსაკუთრებით აღსანიშნავია პიანისტი ვლადიმირ ფელცმანი, რომელიც უკვე დიდი ხანია მოსკოვის კონსერვატორიიდან ნიუ-იორკს გადაბარგდა და იქ ასწავლის საფორტეპიანო ხელოვნებას. მისი სოლო კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა. იმავე დღეს, 27 აპრილს კიდევ ერთი განსაკუთრებული მოვლენა მოხდა – ელისო ვირსალაძემ, რომელიც დაუგეგ-

მავი ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვიდან თბილისში, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში პეტრე ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა. თბილისის სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, სახელოვან სოლისტთან ერთად, შესაძლებლობის ფარგლებში და არცთუ ურიგოდ გაი-სარჯნენ. კონცერტის მეორე ნაწილში კი ასევე ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია

შესრულდა, რომელიც, ვახტანგ კახიძის აზრით, სტილისტურად ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა საკონცერტო სალამოს.

„როცა პატარა ვიყავი, კონცერტის გამო არასდროს ვღელავდი და მიკვირდა კიდეც, როცა ამას მუსიკოსები ამბობდნენ. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო იზრდება პასუხისმგებლობა და ნებისმიერი კონცერტი, გამოსვლა გამოცდაა – გემოვნებაში, ოსტატობაში და აზროვნებაში“, – განაცხადა ელისო ვირსალაძემ. ამ სიტყვების უშუალო დადასტურებად კონცერტი იქცა, რომელშიც გრძნობა და გონება ჰარმონიულად შეერთდა.

არც ერთი ბგერა, არც ერთი ფრაზა არ გამოსცემდა ყალბ და გულისამაჩუყებელ მგრძნობელობას, რაც ასე ხშირია ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის შესრულებისას. არავითა-

ეუფლებოდათ მელომანებსა და მუსიკოსებს 1962 წელს, როცა მოსკოვში გამართულ ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე სრულიად ახალგაზრდა და უნიჭიერეს პიანისტა და მომავალ ლაურეატს - ელისო ვირსალაძეს უსმენდნენ. და რომ არა ჟიურის სუბიექტურობა თუ „ახირება“, ის უთუოდ პირველი პრემიის მფლობელი გახდებოდა.

პიანისტი ნანა ავალიშვილი, რომელიც ელისო ვირსალაძის მსგავსად, მისი ბუბის, სახელოვანი პიანისტისა და პედაგოგის, ანასტასია ვირსალაძის მონაფე იყო, აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩაიკოვსკის კონცერტი მისი საყვარელი ნაწარმოები არ არის, მას ისეთი სიღრმით ასრულებს, თითქოს ბეთჰოვენს, შუმანს ან ბრამსს უკრავდეს“. სრულყოფილება, სიღრმე და

სი. „ფორმისა და აზრის სიცხადე – ეს უმთავრესია, რაც მან ჰენრიჰ ნეიჰაუზისგან მოასწრო ესწავლა“ – წერდა ცნობილი გერმანელი კრიტიკოსი.

საშემსრულებლო მოღვაწეობის გარდა, ელისო ვირსალაძე, ძირითადად, პედაგოგიური საქმიანობითაა დაკავებული. ჰყავს უამრავი სტუდენტი - კორეელი, იტალიელი, იაპონელი... საქართველოდან კი მამიკონ ნახაპეტოვი, რომელიც უკვე დიდი ხანია მისი მეთვალყურეობით მეცადინეობს. თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ორი საქმიანობის შეთავსება არც ისე ადვილია. „დღესაც, ისევე, როგორც მრავალი წლის განმავლობაში, ერთი უმთავრესი პრობლემაა – არსებობენ ცუდი და კარგი შემსრულებლები“, – აღნიშნავს მუსიკოსი.

...ვიდრე მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ელისო ვირსალაძის შესრულებით ჩაიკოვსკის მუსიკა ჟღერდა, თბილისს კიდეც ერთი ცნობილი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ეწვია. ფრანგული ტელეარხი „MEZZO“, რომელიც საქმიანი ვიზიტით საქართველოს და საერთოდ, ამიერკავკასიას პირველად სტუმრობს, ჩაიწერს კონცერტს ელისო ბოლქვაძის მონაწილეობით. კონცერტი უახლოეს მომავალში ევროპის, დაახლოებით, ორმოც ქვეყანაში გადაიცემა.

პირველ მათს, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, კამერულ ორკესტრთან (რომელსაც „საქართველოს სიმფონიეტა“ ეწოდება) და მონვეულ ფრანგ დირიჟორთან, ბენჟამენ ლევისთან ერთად, ელისო ბოლქვაძე ბეთჰოვენის პირველ საფორტეპიანო კონცერტს დაუკრავს. პროგრამაშია, აგრეთვე, მოცარტის მეშვიდე საფორტეპიანო კონცერტი (სამი ფორტეპიანოსთვის – ელისო ბოლქვაძე, ნინო გვეტაძე, ანა ყიფიანი), შუმან-ლისტის „მიძღვნა“ და ლისტის „უნგრული რაფ-სოდია N10“. როგორც აღვნიშნეთ, ეს არის „MEZZO“-ს პირველი ქართული პროექტი, რომლის შესახებაც, ისევე, როგორც ელისო ბოლქვაძის კონცერტზე, დაწვრილებით „ლიბერალის“ მომდევნო ნომერში მოგიტხრობთ. **□**



ელისო ბოლქვაძე

რი აფექტაცია, დაყენებული მანერა, ან სანახავედ „დადგმული“ პასაჟები („აპარტე“, როგორც პიანისტები უწოდებენ). მთელი კონცერტი ზომიერების, სიღრმისა და გრძნობის სიმეტრიას ჰგავდა. როგორც ერთმა მუსიკოსმა თქვა, „ფანტასტიკურად შესრულებული მეორე ნაწილის (ანდანტე) შემდეგ, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დარბაზი ამალდა და მინას მოწყდა“...

ვინ იცის, იქნებ მსგავსი შეგრძნებები

უბრალოება მისი უმთავრესი საშემსრულებლო მანერაა; ერთგვარი საფირმო „ბრენდი“, რომელიც არასოდეს აგერევით სხვა ცნობილ პიანისტ ქალებში – არც მარტა არგერისში, არც კლარა ჰასკილში და არც მარია იუდინაში.

და მიუხედავად იმისა, რომ შუმანისა და შოპენის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება, იგი, კრიტიკოსთა შეფასებით, უფრო კლასიკური ფორმაციის პიანისტია, ვიდრე რომანტიკო-

ფოტო: ელისო ბოლქვაძე, პირალი პატიძი

ონლაინ კინოთეატრი YouTube-ზე



YouTube-ის მფლობელმა Google-მა ჰოლივუდის მსხვილ სტუდიებთან შეთანხმების მიღწევა შეძლო. გარიგების თანახმად, კინოსტუდიები ახალ ფილმებს YouTube-ზე გააქირავებენ. სისტემით სარგებლობა თავდაპირველად ამერიკელი მომხმარებლებისთვის იქნება შესაძლებელი, მოგვიანებით კი სერვისი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახდება ხელმისაწვდომი.

ინტერნეტ-გიგანტმა ონლაინ კინოთეატრის გასაშვებად შეთანხმებები Sony Pictures Entertainment-თან, Universal Pictures-თან და Warner Brothers-თან გააფორმა. ფილმების გაქირავება 2-დან 4 დოლარამდე ეღირება. ახალი კინოსურათები კი YouTube-ზე მათი ოფიციალური DVD ვერსიების გამოშვებისთანავე გაჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოსტინგის მომხმარებლებს მათი ნახვის საშუალება უფრო ადრე ექნებათ, ვიდრე სხვა ონლაინ კინოთეატრებში, მაგალითად, Netflix-ზე ან Hulu-ზე.

სპეციალისტების თქმით, ფილმების გაქირავების ახალი სისტემა YouTube-ზე მომხმარებლების დამატებითი რაოდენობის მიზიდვას შეუწყობს ხელს. თავად სერვისი კი ვიდეოჰოსტინგის პოპულარობის გათვალისწინებით ერთ-ერთი უმსხვილესი და საკმაოდ მომგებიანი გახდება. YouTube-ს შეთანხმება ჯერ მხოლოდ სტუდიების ნახევართან აქვს გაფორმებული: Walt Disney Studios, 20th Century Fox და Paramount Pictures, რომლებიც ამერიკული კინოგაქირავების ბაზრის 60%-ს ფლობენ, ჩამონათვალში არ არიან. უფრო მეტიც, Paramount-ის მფლობელი კომპანია Viacom videohostings სა-

ავტორო უფლებებთან დაკავშირებით სასამართლოშიც უჩივის.

ექსპერტები ამბობენ, რომ YouTube, რომელსაც ჰოლივუდში ამ დრომდე არასერიოზულად უყურებდნენ, მსხვილი კინოსტუდიებისთვის გადარჩენის ერთ-ერთი შანსია. ბოლო პერიოდში ისინი მეკობრეობისა და დისკების გაყიდვის შემცირების გამო სულ უფრო დიდ თანხებს კარგავენ, ინტერნეტში კონტენტის ხარისხიანი, სწრაფი გადატანისა და რეალიზაციის საშუალება კი ამ ეტაპზე არ აქვთ, ამიტომ YouTube თავისი პოპულარობისა და კოლოსალური აუდიტორიის წყალობით, პრაქტიკულად, შეუცვლელი ალტერნატივაა.

ჰაკერები PlayStation-ის წინააღმდეგ

ჰაკერების მასშტაბურ თავდასხმას PlayStation 3-ის 77 მილიონი მომხმარებელი ემსხვერპლა. Sony-ში აცხადებენ, რომ შეტევის შედეგად მათ ხელში მომხმარებლების სახელები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და პაროლები აღმოჩნდა. თავდასხმის შედეგად შეუძლებელი გახდა სერვისის Qriocity-თა და ვიდეოსერვისის Netflix-ით სარგებლობაც. იაპონურმა კორპორაციამ დახმარებისთვის ფედერალური ბიუროს კომპიუტერული დანაშაულებების განყოფილებას უკვე მიმართა.

მსგავსი ინციდენტი აპრილის დასაწყისში მარკეტინგულ კომპანია



Epsilon-საც შეემთხვა. კომპანია ელექტრონული ფოსტის დახმარებით მომხმარებლებს მარკეტინგულ სერვისის სთავაზობს. ჰაკერებმა თავდასხმის შედეგად Epsilon-ის მილიონობით კლიენტის მისამართები და სახელები მოიპარეს. გასულ წელს ონლაინ-შეტევებს

ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი მობილური კავშირის ოპერატორი AT&T-ც ემსხვერპლა. მაშინ ჰაკერების ხელში Apple iPad-ის 100 ათასზე მეტი მფლობელის ელექტრონული ფოსტის მისამართები აღმოჩნდა.

იპირავა ელ-წიგნი!



Kindle-ს მომხმარებლებს უახლოეს მომავალში ონლაინ-ბიბლიოთეკებიდან ელექტრონული წიგნების ქირით გამოტანა შეეძლება. Amazon-ის ცნობით, ახალი ფუნქცია Kindle Library Lending-ის დახმარებით კომპანიის საფირმო ბუკრიდერების მფლობელები ბიბლიოთეკაში სასურველი ელექტრონული წიგნის არსებობის შემოწმებასა და მის ქირაობას შეძლებენ.

Kindle Library Lending წელს ამოქმედდება და Kindle-ს ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება. ამერიკული პრესა წერს, რომ პროგრამაში მონაწილეობას ქვეყნის 11 ათასი ბიბლიოთეკა მიიღებს.

სახალწო Street View Microsoft-ისგან

Google Maps-მა ადამიანების ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა, თუმცა მსგავსი სერვისების განვითარებაში მომდევნო ნაბიჯი არა ინტერნეტ-გიგანტმა, არამედ Microsoft-მა გადადგა. სოფტვერულმა გიგანტმა სერვისი Bing Maps გაუშვა, რომლის რუკებზეც საკუთარი პანორამების დამატება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მთავარი სერვისი Photosynth, რომელიც ფოტოების პანორამად გაერთიანებისთვისაა განკუთვნილი, ჯერ კიდევ 2008 წელს შეიქმნა, ცოცხალი ხნის წინ კი



iPhone-ის, iPad2-ისა და iPod Touch-ისთვის სპეციალური დამატება შემუშავდა, რომელიც გარემოს 360 გრადუსიანი პანორამის შექმნის საშუალებას იძლევა. სმარტფონის მოძრაობისთანავე პროგრამა ფოტოების გადაღებას და პანორამების აგებას იწყებს, მათი განთავსება კი Bing Maps-ზეა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ Photosynth-ის პანორამებში მომხმარებლებს სიარული არა მარტო ქუჩაში, არამედ ნებისმიერ შენობაში, მათ შორის, მუზეუმსა და რესტორანშიც შეუძლიათ. „ჩვენ მილიონობით ადამიანს ამ მოწყობილობით მსოფლიო რუკის შექმნის საშუალება მივეცით“, – აცხადებს Bing-ის დირექტორი სტეფან ვეიტცი.

როგორც ცნობილია, Google Street View-ს მუდმივად პირად ცხოვრებაში შეჭრას ადანაშაულებენ, გერმანიასა და ჩეხეთში ეს პროექტი საერთოდ აკრძალულია კიდევ, ამიტომ პანორამული გადაღებების სახალხო ვერსიამ შესაძლოა პროტესტის ახალი ტალღა წარმოშვას.

კუნძული Facebook



ხორვატიაში ერთ-ერთი კუნძულის – ხვარის მერმა პოპულარული სოციალური ქსელის საპატივსაცემოდ მეზობელი კუნძულისთვის Facebook-

-ის დარქმევა მოითხოვა. პერინო ბებიჩმა განაცხადა, რომ საკუთარი იდეის შესახებ მარკ ცუკერბერგს ოფიციალური წერილი უკვე მისწერა და საზაფხულო შევებულების გასატარებლად კუნძულზეც მიიწვია. „საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას მას შემდეგ მივანვდი, რაც ცუკერბერგისგან პასუხს მივიღებთ, რაც ვიმედოვნებთ ძალიან მალე მოხდება“, – აღნიშნა ბებიჩმა.

ალკოტესტი iPhone-სთვის



ამერიკელმა სამანტა დიტერმა iPhone-სთვის სპეციალური დამატება Textalyzer შექმნა. პროგრამა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მომხმარებელს SMS-ის გაგზავნას უკრძალავს. სამანტას თქმით, ნასვამ მდგომარეობაში იგი ყოფილ ბოიფრენდებს ისეთ შეტყობინებებს უგზავნიდა, რომელთა გამოც მეორე დღეს უხერხულ სიტუაციაში ვარდებოდა. „ამ ისტორიების შემდეგ ყოველთვის მინდოდა ტელეფონს ალკოტესტი ჰქონოდა. აქედან გაჩნდა Textalyzer-ის შექმნის იდეა“, – აცხადებს იგი.

საბოლოოდ, სამანტამ ჩანაფიქრის განხორციელება გადაწყვიტა, სოფტვეარულ კომპანიას დაუკავშირდა და ტელეფონის ალკოტესტის იდეა გააცნო. ფირმის წარმომადგენლებს დიტერის შეთავაზება მოეწონათ და Textalyzer-იც შეიქმნა.


პროგრამა შემდეგი პრინციპით მოქმედებს: სპეციალურ ველში მომხმარებელმა იმ ადამიანების სახელები და ნომრები უნდა შეიყვანოს, რომლებსაც ნასვამმა შესაძლოა არასასურველი შეტყობინებები მისწეროს. როდესაც

სმარტფონის მფლობელს „შავი სიის“ წევრისთვის SMS-ის გაგზავნა სურს, დამატება მას 4 ტესტ-თამაშის გავლას სთხოვს და ალკოჰოლზე ამოწმებს. თუკი მომხმარებელი ყველა დავალებას თავს წარმატებით გაართმევს, პროგრამა მას შეტყობინების გაგზავნის უფლებას აძლევს, თუ არა – SMS-ის გაგზავნა შეუძლებელი ხდება.

Samsung-მა ნოუთბუქების გაყიდვები გაზარდა

ნოუთბუქების მსხვილი მწარმოებლების ათეულიდან გაყიდვების მაჩვენებლის გაზრდა მხოლოდ ერთმა კომპანიამ მოახერხა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სამხრეთკორეულმა SamsungElectronics-მა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნოუთბუქების რეალიზაცია 1%-ით გაზარდა. ყველა სხვა მწარმოებლის შემთხვევაში უარყოფითი დინამიკა დაფიქსირდა: Hewlett-Packard-მა 8,8 მილიონი ნოუთბუქი გაყიდა, რაც 20%-ით ნაკლებია 2010 წლის პირველი კვარტლის შედეგებზე, Acer-ის გაყიდვებმა 13%-ით იკლო, Dell-ის შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა 6% შეადგინა, Toshiba-სა და Lenovo-ს კი ნოუთბუქების გაყიდვები 10-10%-ით შეუმცირდა.



ყველა მწარმოებელმა რეიტინგში საკუთარი პოზიციები შეინარჩუნა. შამსუნგ გაყიდული 3,11 მილიონი ნოუთბუქით კვლავაც მეშვიდე პოზიციაზეა. მომდევნო ადგილებზე Apple, Sony და Fujitsu იმყოფებიან. 

მომზადდა ნინო ნატროშვილმა.

ენტოზიასტები



კაბა თოლორდავა

გუშინ საღამოს ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტმა გოგონამ, ერთი შეხედვით, უცნებელი შეკითხვა დამისვა: „რამდენად ესაჭიროება თბილისის ჯაზ-კლუბი?“ ეს მოსაშვილის და ჭაჭაჭაჭადის გამზირის კუთხეში, გახსნის პირას მყოფ, თბილისის ერთადერთ ჯაზ-კლუბში, „ჯაზ-ანლიმიტედში“ მოხდა. მის შეკითხვას ვუპასუხე. მაგრამ ინტერვიუ რომ დასრულდა და ქუჩაში გავედი, კიდევ ერთხელ დაფუსვი საკუთარ თავს იგივე კითხვა და მასზე შესაძლებელი პასუხების გაცემის მცდელობისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ თბილისის ზუსტად იმდენად ესაჭიროება ჯაზ-კლუბი, რამდენადაც ნებისმიერ ქალაქს – იდეალისტი ენთუზიასტების ჯიუტი მიზანდასახულობა.

თბილისი გადაღლილი და იმედგაცრუებული ენთუზიასტების ქალაქია. ყოველდღიურად მარტო ლუკმა-პურის შოვნის მცდელობა ადრეულად ფიტავს და უცრუებს იმედებს ადამიანებს. მხოლოდ ის ერთეულები, ვისაც, ყველაფრის მიუხედავად, ბოლომდე მიჰყავს საქმე (და თუ ეს საქმე მხოლოდ მისი პირადი ცხოვრების მოწყობასთან არაა დაკავშირებული), ახერხებენ საზოგადო სივრცის სახეცვლას. და სწორედ ასეთ შემთხვევებში ჩნდება ბიზნეს გეგმებით და რეიტინგებით გათანაგულ თბილისში, ერთი შეხედვით, „არც-თუ-ისე-აუცილებელი“ ჯაზ-კლუბები თუ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები.

ამ ადამიანების სიმტკიცე და მიზანდასახულობა გასაკვირია, მით უმეტეს, რომ არც ერთი მათგანისათვის (მე ჩემს ნაცნობ ენთუზიასტებზე მოგახსენებთ) ს ა რ ფ ი ძირითადი მამოძრავებელი ძალა არაა. რა თქმა უნდა, ისინი სიხარულით დათანხმდებიან იმის მიღებაზე, რასაც, გამართლების შემთხვევაში, წამოწყებული საქმე მოუტანს, მაგრამ ყველაზე შესაშური მათში მაინც რაღაცისადმი გაუხუნებელი სიყვარულის უნარი და ამ სიყვარულის სხვებისათვის გადაცემის აუცილებლობის შეგრძნებაა.

განვითარებდა ქვეყანაში მცხოვრები რიგითი მოქალაქისათვის ეს ძალიან ძნელი მისაღწევია. სახელმწიფო სტრუქტურებში და ბიზნეს სექტორში მოღვაწე ენთუზიასტებისათვის (დიახ, ასეთებიც არიან!) ეს შედარებით უფრო იოლია, თუმცა ეს ცალკე სასაუბრო თემაა. მათ აქ მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ რ ი გ ი თ ი ენთუზიასტები, ძირითადად, სწორედ მათ მიმართავენ დახმარებისათვის და სწორედ აქ იკვეთება ის ხარისხობრივი შეუსაბამობა, რაც თვალშისაცემად ეტყობა თბილისს. ვგულისხმობ იმას, რომ მიუხედავად ხშირად მოჩვენებითი მარგინალურობისა, იგივე ჩემი ნაცნობი ენთუზიასტების იდე-

ბის ხარისხი ხშირად ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე იმის, რასაც დიდი ფული და კარგად გათვლილი ბიზნეს გეგმები უმაგრებს მხარს. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ თბილისის (რადგანაც დედაქალაქით დავინყუთ) შემდგომი განვითარება, მისი კიდევ უფრო საინტერესო სივრცედ გადაქცევა, გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ნიჭიერ ენთუზიასტს მიეცემა მასობრივად „არასაჭირო“ და „არაპოპულარული“ იდეების განხორციელების საშუალება და, რაც მთავარია, მისი შენარჩუნება.

„არასაჭირო“ ან „არც-თუ-ისე-საჭირო“ ჯაზ-კლუბის, სადაც მხოლოდ ამ მუსიკით დაინტერესებული ადამიანები ივლიან, თბილისში გაჩენა უდავოდ დიდი ფუფუნებაა ჯერ კიდევ ლარიბი ქალაქისათვის, მაგრამ ამავე დროს სრულიად რეალურია ისიც, რომ კლუბმა შეიძლება კიდევ ერთი ბეჭა გოჩიაშვილი და იმპროვიზაციის ხელოვნებით დაინტერესებული არა ერთი და ორი მოზარდი აჩუქოს ქვეყანას; ეს კი, თუ ჯაზის ფარგლებს გავცდებით, უკვე სახეცვლილი რეალობის და გამდიდრებული ინტერესების გარანტიაა.

სწორედ ამიტომ, ასე რომ ვარ მოხიბლული ჯიუტი, ჯერ კიდევ დაუღლები, უკვე საკმაოდ მცირერიცხოვანი თბილისელი ენთუზიასტებით. ისინი თითქმის არასდროს წუნუნებენ, არავის არაფერს აბრალებენ, თუ აბრალებენ, მხოლოდ საკუთარ თავს, ხშირად ნოკაუნიში ყოფნის მიუხედავად, მაინც ფეხზე წამოდგომას ლამობენ და მუდამ ვირუსივით გადამდებ მდგომარეობაში იმყოფებიან, იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ვილაცას თავის ინტერესს „აჰკიდებენ.“ ისინი არასდროს სვამენ შეკითხვას, ესაჭიროება თუ არა მათი ინტერესი ქალაქს, რადგანაც კარგად იციან, რომ ქალაქმა ეს ჯერ კიდევ არ იცის, ხოლო როცა მიხვდება, ნამდვილად არ დაამადლის ერთ ლაზათიან სიგარას და ფუჟერ შამპანურს. ■





თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

